



კომუნიკაციების
კომისია

2022

წლის

ანგარიში

კახა ბეჟაური - კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე	4
მობილურ და ფიქსირებულ ბაზრებზე შესვლის ბარიერების მოხსნისთვის თელეკომ საქმორის კომპლექსური კვლევა	6
მომხმარებლებისთვის ნომრების პორტირების წესის გაპარტივიზება	8
რადიოსიხშირების ეფექტიანად განაწილების მიზნით ახალი ეროვნული გეგმის დამტკიცება	9
ქვეყნის ინტერნეტიზაცია და ციფრული მხარდაჭერა მოქალაქეებისთვის	9
თელეკომ საქმორის განვითარების თანდასვციები	11
მანუფაქტურის საქმორის განვითარების თანდასვციები	58
ქართული ინტერნეტი სივრცე არალეგალური აუდიო-ვიზუალური პროდუქციის გარეშე	66
მედიაინფორმაციის განვითარება	67
<ul style="list-style-type: none">• მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეული• მედიის გასაღები• დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა: კრიტიკული აზროვნების განვითარება სკოლებში• მედიაინფორმაციის ინტეგრირება ფორმალურ განათლებაში• კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“• მედიის ეკონომიკა• Happy Onlife• პროგრამირების სახელმძღვანელო „გამარჯობა რუბი“• მედიაინფორმაციის ონლაინ ჰაბი www.mediatsigniereba.ge	
მედიასაკადემია	74
<ul style="list-style-type: none">• მედიალაბი• მედიასკოლა• მედიაკრიტიკა	
საერთაშორისო და ადგილობრივ კარტნიორებთან თანამშრომლობა	81
თქმლოგობის განვითარების პრესკაქტივიზება საგანმანათლებლო ლიტერატურის მხარდაჭერა	86

დანართები*

- კომუნიკაციების კომისიის სტრუქტურა
- კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი
- მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა
- ლიცენზირება და ავტორიზაცია
- რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა
- კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები
- განხილული დავები
- ადმინისტრაციული კასუსისმგებლობის დაკისრება
- დანებაული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა
- სასამართლო დავები
- აუდიტის დასკვნა



კახა ბექაური

**კომუნიკაციების კომისიის
თავმჯდომარე**

2022 წელს კომუნიკაციების კომისიამ სატელეკომუნიკაციო სფეროს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა და საჭირო გადაწყვეტილებები მიიღო. გვექონდა საინტერესო პროექტები ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარების მიმართულებით, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ComCom-ის მისია და ამოცანაა კომუნიკაციისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ყველასთვის შევქმნათ. 2022 წელს განხორციელებულ პროექტებს დეტალურად ანგარიშში გაცნობით, მანამდე კი, თქვენი ყურადღება რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე მინდა შევაჩერო.

გასულ წელს კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომ სექტორის კომპლექსური კვლევა დაიწყო. ბოლო წლებია მუდმივად ვამბობთ, რომ ტელეკომ სფეროში თამაშის წესები უნდა შეიცვალოს, რათა მცირე და საშუალო კომპანიებისთვის ბაზარზე შესვლის ბარიერები მოიხსნას და კონკურენცია გაიზარდოს. კომუნიკაციების კომისიის მიზანია ბოლომდე გაიხსნას ტელეკომ ბაზარი და ახალმა კომპანიებმა ყოველგვარი ბარიერების გარეშე შეძლონ საქმიანობა, საბოლოოდ კი, მომხმარებლებს უფრო საინტერესო და მრავალფეროვან სერვისებზე ჰქონდეთ წვდომა. სწორედ აღნიშნული მიზნის

მისაღწევად, კომუნიკაციების კომისიის გუნდი, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების დახმარების ოფისთან ერთად, აქტიურად მუშაობს. გვინდა, რომ მობილური და ფიქსირებული მომსახურების ბაზრები სრულყოფილად იქნას შესწავლილი და ევროპული პრაქტიკის შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

რაც შეეხება მაუწყებლობის სფეროს, არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოში მედია პლურალისტური და მრავალფეროვანი, თუმცა ამავდროულად, მკვეთრად პოლარიზებული და პოლიტიკურად მიკერძოებულია. უკვე წლებია მედიის მთავარ გამონწვევად სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაციის გავრცელება და მანიპულაცია რჩება. აღნიშნული პრობლემების ნაწილის მოგვარება 2022 წელს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ევროდირექტივის მოთხოვნის შესაბამისად შესული ცვლილებებით დაიწყო. კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც დარეგულირდა სიძულვილის ენისა და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი გადაცემები და რეკლამები, ასევე, კანონით განისაზღვრა პასუხის გაცემის უფლება და ადამიანს, რომელიც მიიჩნევს, რომ მასთან დაკავშირებით არასწორი ფაქტი გავრცელდა, მიეცემა შესაძლებლობა მაუწყებელს მოსთხოვოს პასუხის გაცემის უფლება. მნიშვნელოვანია, რომ კანონში შესული ცვლილებების ამოქმედებამდე, მაუწყებლებს მიეცათ ექსტრემიზმი გარდამავალი პერიოდი, რათა საქმიანობა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანონ. ცვლილებების მიუხედავად, კვლავ მწვავე პრობლემად და მედიის მთავარ გამონწვევად რჩება ყალბი ინფორმაციის გავრცელება, მანიპულაცია და პოლიტიკური მიკერძოება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ გვითქვამს, რომ საჭიროა ფართო დისკუსია და ევროპული პრაქტიკის შესაბამისად, პრობლემის აღმოფხვრა. აუცილებელია მაღალი მედია სტანდარტის დამკვიდრება იმისთვის, რომ მაყურებელს სწორად ინფორმირებული არჩევანის გაკეთება შეეძლოს.

წლებია მედია სტანდარტის დამკვიდრებასთან ერთად, კომუნიკაციების კომისია და მედიააკადემია ეფექტიანად ზრუნავს ქვეყანაში მედიაინჟინერების განვითარებაზე. გვიხარია, რომ ჩვენი შედეგები და წარმატებები არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო დონეზეც აღიარებულია. 2022 წელს, მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის წევრებმა, კომუნიკაციების კომისიის მიერ მედიაინჟინერების მიმართულებით, მათ შორის, გლობალური მედიისა და ინფორმაციული ინჟინერების კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები, ცნობიერების ამაღლების საუკეთესო მაგალითად დაასახელეს. ჩვენი მთავარი მიზანია, მედიაინჟინერების განვითარების პროცესში კიდევ უფრო მეტი დაინტერესებული მხარე ჩავრთოთ და ერთად გავაძლიეროთ მედიაინჟინერება ქვეყანაში.

ტრადიციულად, მინდა მადლობა გადავუხადო კომუნიკაციების კომისიის ყველა თანამშრომელს. გასულ წლებში მიღწეულმა წარმატებებმა ნათლად დაგვანახა, რომ მაღალი პროფესიონალიზმით ყველა გამონწვევას ღირსეულად და ეფექტიანად შეგვიძლია ვუპასუხოთ.

მობილურ და ფიქსირებულ ბაზრებზე შესვლის ბარიერების მოხსნისთვის თელეკომ სექტორის კომპლექსური კვლევა

თელეკომ ბაზარზე კონკურენციის ზრდა კომუნიკაციების კომისიისთვის პრიორიტეტულ საკითხად რჩება. ფიქსირებული და მობილური მომსახურებების ბაზრებზე შესვლის ბარიერების მოხსნისა და მომხმარებლისთვის საკომუნიკაციო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ ევროპელ ექსპერტებთან ერთად, თელეკომ ბაზრის სრულფასოვანი კვლევა დაიწყო.

კომპლექსური კვლევის ფარგლებში შეფასდება თელეკომ სექტორში არსებული კონკურენცია და საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებისთვის სპეციფიკური ვალდებულებები განისაზღვრება. შეფასდება, ასევე, მომხმარებლებისთვის საკომუნიკაციო მომსახურებების ხელმისაწვდომობა და სექტორის განვითარების შესაძლებლობები.

მობილური და ფიქსირებული საკომუნიკაციო ბაზრების კვლევის საჭიროება რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის, თელეკომ სექტორში არსებულმა საბაზრო სტრუქტურამ და საცალო მომსახურების დაბალკონკურენტულმა შეთავაზებებმა. შეგახსენებთ, რომ გასულ წლებში განხორციელებულმა თელეკომ ოპერატორების ორმა მნიშვნელოვანმა კონსოლიდაციამ - „მათიკომის“ მიერ საქართველოში უმსხვილესი ინტერნეტ პროვაიდერის, „კავკასუს ონლაინის“ საცალო სეგმენტისა და ფიქსირებული ქსელის ოპერატორის, „სილქნეტის“ მიერ „ჯეოსელის“ შესყიდვამ, ბაზარზე ჩამოაყალიბა ორი მსხვილი ოპერატორი, რომლებიც ერთდროულად როგორც მობილური, ისე ფიქსირებული ინტერნეტის სეგმენტებზე ფლობენ მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას.

კომუნიკაციების კომისიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სატელეკომუნიკაციო სფეროს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზისა და სტანდარტების ევროპულ წარმატებულ პრაქტიკასთან სრულფასოვნად შესაბამისობაში მოყვანა, რაც თავის მხრივ, ასოცირების ხელშეკრულებით ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებაც არის. გამომდინარე აქედან, ევროპული რეკომენდაციების შესაბამისად, თელეკომ ბაზარზე კონკურენციის ეფექტიანობის და ქსელის საბითუმო ელემენტებზე დამკვეთის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია თელეკომ ბაზრისა და მომსახურებების ანალიზის პერიოდულად ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების რეგულირებადი ბაზრების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაციის მიხედვით, ფართოზოლოვანი ინტერნეტის ბაზრის „Bitstream“-ის საბითუმო მომსახურების სეგმენტი, რეგულირების მიზნებისთვის სავალდებულოდ შესასწავლი ბაზარია. შესაბამისად, ამავე კვლევის ფარგლებში, საჭიროა აღნიშნული ბაზრის შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების გამოვლენა და მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრა, რაც ფიქსირებული მომსახურებების ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნასა და კონკურენციის ზრდას უზრუნველყოფს.


კვლევის პარალელურად, კომუნიკაციების კომისია მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების განახლებაზე მუშაობს. როგორც ცნობილია, ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კანონი, ევროკომისიის რეკომენდაცია წინასწარ რეგულაციას დაქვემდებარებული ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურებების ბაზრების შესახებ და ამ ბაზრების განსაზღვრის მეთოდოლოგიური წესები, ის საკანონმდებლო და სამართლებრივი საფუძვლებია, რითიც უნდა იხელმძღვანელონ ევროპის მარეგულირებელმა ორგანოებმა ბაზრის ანალიზისა და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრისას.

პროექტი ევროკავშირის დაფინანსებით, კერძოდ, „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების დახმარებით“ („AA Facility“) ხორციელდება. კომუნიკაციების კომისიის გუნდთან ერთად, მობილური და ფიქსირებული მომსახურებების საცალო და საბითუმო სეგმენტებზე, ეკონომიკური, სამართლებრივი და ტექნიკური მიმართულებით ანალიზს ევროპელი ექსპერტებით დაკომპლექტებული ჯგუფი ახორციელებს. ექსპერტებს ბელგიის, ხორვატიის, ბრიტანეთის და სლოვენის სატელეკომუნიკაციო სფეროს მარეგულირებელ ორგანოებში, ევროკომისიაში, BEREC-სა და Cullen International-ში ევროდირექტივების დანერგვისა თუ კვლევით პროექტებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.

აღნიშნული კვლევის ჩარჩო, ყველა საკვანძო ეტაპი და საბოლოო შედეგი შეთანხმებული იქნება ევროკომისიის ექსპერტებთან, რისთვისაც კომუნიკაციების კომისიამ უკვე მოიპოვა ევროკავშირის დახმარება ინსტიტუციონალური განვითარების, ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში. კვლევის ჩარჩოს შემუშავების ეტაპზე TAIEX-ის აქტივობის ფარგლებში, ლიეტუვის, პოლონეთისა და იტალიის მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ექსპერტთა მისიის სამუშაო შეხვედრებზე შემუშავდა რეკომენდაციები კომპლექსური კვლევის შინაარსთან დაკავშირებით, რომელსაც დაეყრდნო AA Facility II-ის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დეტალური გრაფიკი და სამოქმედო გეგმა. პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე პროცესში ტელეკომ კომპანიების წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულნი.

კვლევის მასშტაბურობიდან გამომდინარე, პროექტი რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. პირველ ეტაპს ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო მომსახურებების საცალო ბაზრის კონკურენტული გარემოს ანალიზი წარმოადგენს, ხოლო მეორე ეტაპზე, შესაბამისი საბითუმო ბაზრების ანალიზის საფუძველზე, ამ ბაზრებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების არსებობა შეფასდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც კომპლექსური კვლევის პროცესში შეფასდება, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების დაშვების ვალდებულების საჭიროებაა. შეგახსენებთ, რომ კომუნიკაციების კომისია, ბოლო წლებში აქტიურად მუშაობს მობილური მომსახურების ბაზარზე ვირტუალური ქსელის ოპერატორების განვითარების ხელშეწყობაზე.



2022 წლის ბოლოს კომუნიკაციების კომისიამ შეაფასა ბაზარზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) დაშვების თვალსაზრისით არსებული გარემო და მიმდინარე პროცესები. დაშვების მსურველ კომპანიებსა და ქსელის მფლობელ ოპერატორებს შორის მოლაპარაკებები და პროცესი გაჭიანურდა, თუმცა ორმხრივი მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რასაც დამატებითი დრო სჭირდება. შესაბამისად, მობილური ქსელის საბითუმო სეგმენტზე სავალდებულო დაშვების წინასწარი (Ex-ante) რეგულირების რეჟიმი ძალაში დარჩა, ამიტომაც კომუნიკაციების კომისიამ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის სავალდებულო დაშვების შესახებ რეგულაციის ამოქმედების ვადა 6 თვით გაახანგრძლივა.

შეგახსენებთ, რომ MVNO-ს ქსელთან დაშვების შესახებ გადანყვეტილება კომუნიკაციების კომისიამ 2019 წლის დეკემბერში მიიღო, თუმცა კომპანიებისთვის ვალდებულების ამოქმედების გადავადება რამდენიმე მნიშვნელოვანმა გარემოებამ განაპირობა. კერძოდ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებმა საკუთარ ქსელზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების დაშვების მზაობა დააფიქსირეს, მეორე მხრივ კი, დაშვების მსურველი ოპერატორების მხრიდან გამოითქვა ინტერესი და გადაიდგა ნაბიჯები მობილურ ქსელზე დაშვების უზრუნველსაყოფად. ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, კომუნიკაციების კომისიის ფუნქციები კანონის აღსრულების თვალსაზრისით, უფრო ეფექტიანი გახდა. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაკვირვებოდა პროცესებს, ხოლო მხარეებს მისცემოდათ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ პერიოდში, კომერციულ საწყისებზე ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე დაშვების მხოლოდ ერთი პრეცედენტი დაფიქსირდა - „სილქნეტსა“ და „ეკლექტიკს“ შორის გაფორმდა მობილურ ქსელთან დაშვების ხელშეკრულება და „ეკლექტიკმა“ ბრენდული სახელწოდებით „Hallo“, პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო. რაც შეეხება სხვა მსურველ კომპანიებს, მათ ქსელზე დაშვების უფლება ვერ მოიპოვეს. მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების ასოციაციამ, ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი საჯარო განცხადება გააკეთა, ასევე ოფიციალური წერილებით მიმართა კომუნიკაციების კომისიას, რათა არ გაეუქმებინა სავალდებულო დაშვების გადაწყვეტილება.

კომუნიკაციების კომისია კვლავ აკვირდება მობილურ ვირტუალურ ქსელზე დაშვების მსურველ კომპანიებსა და ქსელის ოპერატორებს შორის მოლაპარაკების პროცესს, ვინაიდან სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნა მნიშვნელოვანია როგორც საცალო მომსახურებების ბაზარზე კონკურენტული გარემოს და ხელმისაწვდომი მომსახურებების შექმნის, ისე ინოვაციური სერვისების განვითარებისთვის. ტელეკომ ბაზრების გახსნა, თავის მხრივ, შესაძლებლობას მისცემს მცირე და საშუალო კომპანიებს ჩამოყალიბდნენ ალტერნატიული მომსახურების ოპერატორებად და გაზარდონ სატელეკომუნიკაციო მომსახურებების პოტენციალი, ხოლო მომხმარებელს - ისარგებლოს დამატებითი მრავალფეროვანი სატელეკომუნიკაციო სერვისებით.


მომხმარებლისთვის ნომრების პორტირების წესის გამარტივება

მომხმარებლებისთვის მობილური და ფიქსირებული სატელეფონო ნომრების პორტირების გამარტივების მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ ახალი წესები დაამტკიცა, რომელიც როგორც ფიქსირებული, ისე მობილური საკომუნიკაციო ქსელებით მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს ეხება.

განახლებული წესების მიხედვით, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მობილური ნომრის პორტირების განაცხადი დისტანციურად, სასურველი მობილური ოპერატორის სერვისცენტრში მისვლის გარეშე გააკეთოს და ახალი ოპერატორის სიმბარათი ნებისმიერ მისამართზე მიიღოს. განაცხადის გაკეთებამდე მომხმარებელს შეუძლია „ცხელი ხაზის“ მეშვეობით მიიღოს ინფორმაცია პორტირების შემაფერხებელი გარემოებების არსებობის შესახებ.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ფიქსირებული ნომრის ახალ ქსელში პორტირებისას, შეეძლება შეინარჩუნონ სატელეფონო ნომერი ქსელის ტექნოლოგიის ცვლილების მიუხედავად - იქნება ეს ტრადიციული, ინტერნეტ, ფიჭური თუ სხვა ტექნოლოგიით მომუშავე ფიქსირებული სატელეფონო ნომერი.


„სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულებაში“ განხორციელებული ცვლილებები ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა და ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის შესაბამისად მომზადდა.



რადიოსიხშირების ეფექტიანად განაწილების მიზნით ახალი ეროვნული გეგმის დამოკიდება

მომხმარებლებისთვის ინოვაციური მომსახურების მიწოდებისა და ქვეყანაში თანამედროვე რადიოსიხშირული სისტემების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა (შემდგომში - ეროვნული გეგმა) განაახლა, რომელიც თანამედროვე ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების დანერგვას, ასევე, ამონურვადი რესურსის ეფექტიან გამოყენებას და მართვას შეუწყობს ხელს.

განახლებული ეროვნული გეგმა ახალი ტექნოლოგიებისთვის, მათ შორის 5G ქსელების განვითარებისთვის, ახალი სიხშირული დიაპაზონების გამოყოფას მოიცავს. ასევე, გათვალისწინებულია ფიქსირებული უსადენო ინტერნეტის ფუნქციონირებისთვის დამატებითი სიხშირული ზოლი. სპეციფიკური თანამგზავრული მომსახურებისთვის განისაზღვრა დიაპაზონები, დაზუსტდა ტექნოლოგიური სტანდარტები და მომსახურებების სახეობები.



კომუნიკაციების კომისიამ ეროვნულ გეგმაში შესატანი ცვლილებები ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციაზე (WRC-19) მიღებული ფინალური აქტების მიხედვით, ასევე ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების ევროპის კონფერენციის (CEPT) და ელექტრონული კომუნიკაციის კომიტეტის (ECC) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე მოამზადა და მიიღო.

ქვეყნის ინტერნეტიზაცია და ციფრული მხარდაჭერა მოქალაქეებისთვის

2022 წელს, საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის - „Log-in Georgia“ - ფარგლებში, რომელიც მსოფლიო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის თანადაფინანსებით ხორციელდება, კომუნიკაციების კომისიის აქტიური ჩართულობით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული საპილოტე პროექტის შემდეგ, 2022 წელს, კომპანია „ოუფენ ნეტმა“ კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერით, დაასრულა ქობულეთის მეორე საპილოტე და ლეჩხუმის პროექტები. ქობულეთში 50 კმ-მდე ოპტიკური ქსელი მოეწყო, რომელიც დამატებით 10,500 მოსახლისთვის და ასევე, კერძო სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას უზრუნველყოფს.

წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის ტერიტორიაზე აშენებული ინფრასტრუქტურა 140 კმ-იან ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალს და სერვისის მიწოდების 29 წერტილს მოიცავს. აღნიშნული მაგისტრალი სრულად ფარავს როგორც ლენტეხისა და ცაგერის ყველა, ასევე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 4 დასახლებულ პუნქტს, სადაც 200 და მეტი მოსახლეა.

საერთო ჯამში, წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის მიმართულებაზე აშენებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა ქმნის 11,000-ზე მეტი მოსახლისთვის ხარისხიან ინტერნეტთან, მაუწყებლობასთან და სხვა ციფრულ სერვისებთან წვდომის შესაძლებლობას.

2022 წელს ქსელის მშენებლობა დაიწყო ტყიბული-ამბროლაური-ონის, წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის, ჩოხატაური-სამტრედიისა და ქობულეთი-ხელვაჩაურის მიმართულებებით. აღნიშნული სამიზნე გეოგრაფიული არეალები ერთობლივად, 570 კმ-იან ინფრასტრუქტურას და 68,000 ადამიანისთვის შექმნილ ახალ შესაძლებლობას გულისხმობს.

გასულ წელს, ოპტიკური ქსელის პროექტირება-მშენებლობის მიზნით, მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურების შესაბამისად, კიდევ ოთხი ტენდერი გამოცხადდა შემდეგი მიმართულებებით: მესტია-ჯვარი, ზუგდიდი-ხოზი, აბაშა-სენაკი და ვარციხე-წყალტუბო-ხონი. მშენებლობის ეს ნაწილი, საერთო ჯამში 810 კმ-იანი ოპტიკური მაგისტრალური ინფრასტრუქტურის აშენებას ითვალისწინებს, რაც 59,200 მოსახლეს ინტერნეტ-თან წვდომის შესაძლებლობას მისცემს.



წარმატებით ხორციელდება პროექტის მეორე კომპონენტიც, რომელიც კომუნიკაციების კომისიის „ციფრული მხარდაჭერის პროგრამას“ გულისხმობს და რომელიც მოსახლეობაში ინტერნეტის პოპულარიზაციასა და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობას ემსახურება. პროგრამის მიზანს სამიზნე მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ციფრული ცნობიერების ამაღლება, ინტერნეტის სარგებლიანი გამოყენების ხელშეწყობა და სახელმწიფო ელექტრონული სერვისების გამოყენების გაზრდა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისია ინტერნეტის გამოყენების საბაზისო უნარების განვითარებისთვის საინფორმაციო შეხვედრებსა და სემინარებს ატარებს. თემატური სწავლებები დაფუძნებულია მოსახლეობის საჭიროებების კვლევის შედეგებზე, რომელიც ტარდება პროექტის სამიზნე რეგიონებში.

2022 წელს კომუნიკაციების კომისიამ 30 თემატური სემინარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 49 დასახლების მაცხოვრებლებს ჩაუტარა. გადამზადდა 350 ბენეფიციარი, რომლებმაც ელექტრონული ფოსტის შექმნისა და გამოყენების, ინფორმაციის მოძიების მეთოდების, სასარგებლო ონლაინ აპლიკაციების, ონლაინ საკომუნიკაციო არხებისა და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესები შეისწავლეს. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო შეხვედრები ელექტრონული აუქციონის პორტალის (eAuction.ge) გამოყენებისა და ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებების შესახებ ჩატარდა.

ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში დაეირავებულმა საკონსულტაციო კომპანია Ernst&Young-მა, კომუნიკაციების კომისიის დაკვეთითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვანი დოკუმენტები მოამზადა. კერძოდ: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და საქართველოში უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზნით, დასრულდა მუშაობა უნივერსალური მომსახურების პროექტზე. უნივერსალური მომსახურების თაობაზე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის მიზანი, რომელიც ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების ახალ კოდექსს ეყრდნობა, მომხმარებელთა ცალკეული კატეგორიებისათვის ხელმისაწვდომ ფასად და განსაზღვრული ხარისხით, ინტერნეტთან წვდომის უზრუნველყოფაა. კანონპროექტთან ერთად, მომზადებულია, ასევე, რეკომენდაციები უნივერსალური მომსახურების აღსრულებასთან დაკავშირებით.


საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამა, მსოფლიო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, 2020 წლიდან ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, საქართველოს 1,000-მდე სოფელს და 500,000 მოქალაქეს, მათ შორის, მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობას, მიეცემა შესაძლებლობა მიიღოს მაღალი ხარისხის ინტერნეტი და ისარგებლოს ისეთი ციფრული სერვისებით, როგორებიცაა: ელექტრონული ჯანდაცვა, დისტანციური სწავლება, ელექტრონული მმართველობა და ა.შ. ამასთან, პროექტი მიზნად ისახავს ციფრული უნარების განვითარებისა და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობას. ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამა - „Log-In Georgia“, საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა.

2022 წელს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში 288 მოქმედი¹ პირი დაფიქსირდა. 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ სამმა კომპანიამ: „მაგთიკომმა“, „სილქნეტმა“ და „ვიონი საქართველომ“ (ბრენდული სახელით „ბილანი“) მიიღო (A კატეგორიის² კომპანიები) და მათ მიერ მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა მთლიანი შემოსავლის 86% შეადგინა, ხოლო იმ კომპანიების ჯამური შემოსავალი, რომლებმაც 2022 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღეს (E კატეგორიის კომპანიები), დარგის მთლიანი შემოსავლის 0,4% იყო.

ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით




ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა შემოსავლის განაწილება კატეგორიების მიხედვით



2022 წელს ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ავტორიზებული პირების მიერ მიღებული შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 200 მლნ ლარით გაიზარდა და 1,469 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც საცალო შემოსავალი 1,202 მლნ ლარი იყო. ბოლო 5 წლის განმავლობაში, საცალო შემოსავლის წლიური ზრდა³ 9%-ია.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირების მიერ მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)



	2018	2019	2020	2021	2022
● საცალო	846	919	961	1,058	1,202
● სხვა საკომუნიკაციო და არასაკომუნიკაციო	391	266	192	211	267
● სულ	1,237	1,185	1,153	1,269	1,469

მსოფლიოს გლობალური სატელეკომუნიკაციო ბაზრის მოცულობამ 2022 წელს 1,8⁴ ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა და 2030 წლამდე მოსალოდნელია სექტორის კიდევ 6,2%-იანი წლიური ზრდა. აღნიშნულის მთავარი მიზეზი ოპტიკურ და 5G ტექნოლოგიებში განხორციელებული ინვესტიციები, ციფრული სერვისების განვითარება, ახალი თაობის მონოპოლიზაციების შექმნა-გავრცელება და შედეგად, მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე გაზრდილი მოთხოვნაა.

²განიხილება კატეგორიები:

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები

¹მოქმედად განიხილება პირი, რომელსაც წლის განმავლობაში ელექტრონული კომუნიკაციებიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა

³წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)

⁴წყარო - www.grandviewresearch.com


მობილური კომუნიკაცია მსოფლიოს ტენდენციების მიმოხილვა

მობილური საკომუნიკაციო სერვისები მსოფლიოს მასშტაბით, სწრაფი ტემპით ვითარდება. ის ხელს უწყობს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის დაჩქარებას და უმთავრეს როლს თამაშობს მრავალი დარგის განვითარებაში.

დარგის წამყვან ექსპერტთა შეფასებით, მობილური საკომუნიკაციო სერვისების განვითარებაში 5G ტექნოლოგიის დანერგვა კიდევ ერთი გარდამტეხი ეტაპი იქნება, ის არაერთ განვითარებულ ქვეყანაში სწრაფად იკიდებს ფეხს და სხვადასხვა ინდუსტრიას ინოვაციური პროდუქტების დანერგვის შესაძლებლობას სთავაზობს.


მზარდია მობილური მომსახურების მომხმარებლების რაოდენობა და მისი სიმკვრივე მსოფლიო მოსახლეობაში.

მსოფლიოს მობილური მომსახურების მომხმარებლების რაოდენობა და კენეტრაცია მსოფლიო მოსახლეობაში (2018, 2022 წლებში და 2030 წლის პროგნოზი⁵, მლრდ)



შესამჩნევად უფრო დიდი ზრდის ტემპი აქვს მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობას.


მსოფლიოს მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა და კენეტრაცია (2018, 2022 წლებში და 2030 წლის პროგნოზი, მლრდ)



⁵წყარო: www.gsma.com
gsmaintelligence.com


მობილური აბონენტების (SIM ბარათები) პენეტრაცია 2018 წლიდან 100%-ს აჭარბებს და მოსალოდნელია, რომ 2030 წლისთვის კიდევ უფრო გაიზარდოს.

მსოფლიოს მობილური აბონენტების რაოდენობა და პენეტრაცია (2018, 2022 წლებში და 2030 წლის პროგნოზი, მლრდ)




5 წელზე ზევით მოსახლეობაში აბონენტების სიმკვრივის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში 2%-ით გაიზარდა და 115%-ს მიაღწინა.

მსოფლიოს მობილური აბონენტების სიმკვრივე 5 წელზე ზევით ასაკის მოსახლეობაში



პროგნოზირებული მაჩვენებლებით 5G ტექნოლოგიის ზრდის ტემპი 2030 წლამდე პერიოდში უპრეცედენტოდ მაღალი იქნება და ის გარკვეულწილად, ჩაანაცვლებს 4G ტექნოლოგიას.

4G და 5G ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების პენეტრაცია აბონენტების მთლიან რაოდენობაში (2022 წელს, 2025 და 2030 წლების პროგნოზი)




წყარო: www.gsma.com
www.macrotrands.net
www.ourworldindata.org

მობილური კომუნიკაციები საქართველოში


2022 წელს საქართველოში მობილური მომსახურების აბონენტების რაოდენობამ⁷ 5.8 მილიონს გადააჭარბა და პენეტრაცია 160%-დან 170%-მდე გაიზარდა⁸. ბოლო ხუთ წელიწადში დაფიქსირებული რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ერთ მომხმარებელს საშუალოდ, ერთზე მეტი მობილური ნომერი აქვს და მობილური მომსახურებების სასურველი შეთავაზების მისაღებად სხვადასხვა ოპერატორის მომსახურებით სარგებლობს. 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა მობილური აბონენტების⁹ რაოდენობა და წლის ბოლოსთვის 5.84 მლნ შეადგინა.

აბონენტების რაოდენობა და პენეტრაცია 5 წელზე გვიან მოსახლეობაში



ბოლო წლებში ზრდა ფიქსირდება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობაში. 2022 წლის ბოლო კვარტალში იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობამ მთლიანი აბონენტების 24% შეადგინა.

აბონენტების რაოდენობა ტიპების მიხედვით (მლნ)




	2018	2019	2020	2021	2022
● ფიზიკური	4	4,05	3,81	4,23	4,46
● იურიდიული	1,45	1,33	1,29	1,32	1,38
● სულ	5,45	5,38	5,1	5,55	5,84

⁷მონაცემები აღებულია 2023 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით

⁸საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოიცავს 5 წლის ასაკიდან პირებს




⁹აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან განუღებია რაიმე სახის მობილური მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩათვლით)



მობილური მომსახურების ყველაზე მეტი აბონენტი „მაგთიკომს“ ჰყავს.

მობილური ოპერატორების საბაზრო წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით 2022 წლის ბოლოსთვის, 2021 წელთან შედარებით, არ შეცვლილა და ასე განაწილდა: „მაგთიკომი“ - 42%, „სილქნეტი“ - 33%, ხოლო „ბილაინი“ - 25%.

აბონენტების რაოდენობა და ბაზრის წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით

	2018	2019	2020	2021	2022
 მაგთიკომი	2.15 41%	2.04 39%	2.07 41%	2.31 42%	2.44 42%
 სილქნეტი SILKNET	1.87 35%	1.79 34%	1.7 33%	1.85 33%	1.96 33%
 ბილაინი	1.27 24%	1.4 27%	1.33 26%	1.4 25%	1.45 25%


2022 წელს ოპერირება დაიწყო მობილურმა ვირტუალურმა ქსელის ოპერატორმა „ეკლექტიკმა“ ბრენდული სახელით „ჰალო“. წლის ბოლოს „Halo“-ს აბონენტების რაოდენობა 3,493-ს შეადგენდა.

ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით


	მაგთიკომი	სილქნეტი	ბილაინი	სულ
ფიზიკური	1.8	1.5	1.1	4.4
იურიდიული	0.6	0.4	0.3	1.3

2022 წელს, მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 702 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2021 წელს მიღებულ საცალო შემოსავალზე 26%-ით მეტია. საცალო შემოსავლებში „მაგთიკომის“ საბაზრო წილი 50%, „სილქნეტის“ - 34%, ხოლო „ბილაინის“ - 16%-ია. დინამიკაში ბაზრის მოთამაშეთა წილი როგორც აბონენტების რაოდენობის, ისე შემოსავლების მიხედვით, უმნიშვნელოდ იცვლება.

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)



ბაზრის წილი საცალო შემოსავლების მიხედვით



¹⁰2018 წელს „სილქნეტისა“ და „ჯეოსელის“ შერწყმა განხორციელდა


შემოსავლებისა და აბონენტების მიხედვით საბაზრო წილების განსხვავებული გადანაწილება კომპანიებს შორის, იმაზე მიუთითებს, რომ „მაგთიკომის“ აბონენტები საშუალოდ, უფრო მეტ თანხას იხდიან მობილურ მომსახურებებში, ვიდრე „ბილაინის“ მომხმარებლები, ხოლო „სილქნეტის“ შემთხვევაში, აბონენტებისა და შემოსავლის წილები თითქმის თანაბარია, რაც ნიშნავს იმას, რომ „სილქნეტის“ აბონენტები საშუალოდ, „ბილაინის“ აბონენტებზე მეტს, მაგრამ „მაგთიკომის“ აბონენტებზე ნაკლებს იხდიან.

2022 წლის განმავლობაში ოპერატორების განაწილება შემოსავლების და აბონენტების მიხედვით



2022 წელს მობილური მომსახურებიდან შემოსავლების 78% ფიზიკურმა პირებმა დააგენერირეს, ხოლო 22% - იურიდიულმა პირებმა. ფიზიკური პირების შემოსავლები, იურიდიული პირი აბონენტების შემოსავლებთან შედარებით, უფრო მეტად მზარდია.

შემოსავალი აბონენტების ტიპების მიხედვით (მლნ ლარი)



	2018	2019	2020	2021	2022
● ფიზიკური	356	369	359	416	542
● იურიდიული	125	131	130	138	154

აბონენტების განაწილება ტიპების მიხედვით გვიჩვენებს, რომ კომპანიებისთვის ეს თანაფარდობა მეტ-ნაკლებად მსგავსია, მხოლოდ „მაგთიკომის“ წილი იურიდიულ პირ აბონენტებში, უსწრებს მის წილს ფიზიკურ პირ აბონენტებში, ხოლო „ბილაინისა“ და „სილქნეტისთვის“ ეს თანაფარდობა პირიქითაა:


ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით

	მაგთიკომი	სილქნეტი	ბილაინი
ფიზიკური	41%	34%	25%
იურიდიული	44%	32%	24%

მობილური მომსახურების შემოსავლები მშპ-სთან მიმართებით

2022 წელს საქართველოში მობილური მომსახურების შემოსავლების ზრდის განაკვეთი მშპ-ს ზრდის¹¹ განაკვეთთან შედარებით, გაიზარდა.


მობილური მომსახურების შემოსავლების ზრდა მშპ-ს ზრდასთან მიმართებაში



	2018	2019	2020	2021	2022
● მშპ ზრდა	4.8%	5.0%	-6.8%	10.3%	9.4%
● მობილური შემოსავლების ზრდა	7.9%	3.8%	-1.9%	13.2%	25.5%

საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორის მნიშვნელობას კიდევ უფრო უსვამს ხაზს მთლიან შიდა პროდუქტში ამ სფეროს 5 წლის საშუალო ზრდის ტემპი, კერძოდ, დანარჩენ სექტორებთან შედარებით, 2022 წლის მონაცემებით, ის ყველაზე მაღალია.

მშპ-ს საშუალო ზრდის ტემპი ბოლო 5 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით



¹¹წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მშპ 2022 -ში აღებულია III კვარტლის მონაცემი

¹²შუდის: სამთომოპოვებითი მრეწველობა; ნყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები; ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები; შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის

ARPU¹³




ARPU (ლარი)	
2018	8.3
2019	8.6
2020	8.6
2021	9.7
2022	11.8

2022 წლის მონაცემების მიხედვით, თვის განმავლობაში ერთი აბონენტისგან მიღებულმა საშუალო შემოსავალმა (დღგ-ს გარეშე) 11.8¹⁴ ლარი შეადგინა.

ARPU-ს მაჩვენებლების ინფლაციის საშუალო მაჩვენებელთან შედარება მიუთითებს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით - 2020 და 2021 წლებში, აბონენტებისგან მიღებული საშუალო შემოსავალი ინფლაციურ მაჩვენებლებს ჩამორჩება, თუმცა 2022 წელს უსწრებს მას, რაც იმას ნიშნავს, რომ 2022 წელს ARPU-ს ზრდა არ არის თანხვედრაში ინფლაციით გამონვეულ ფასის ზრდის შესაძლო გავლენასთან.

ARPU და საშუალო წლიური ინფლაცია



ოპერატორების ქრილში, 2022 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ARPU-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „მაგთიკომს“ აქვს, შემდეგ „სილქნეტს“, ხოლო მობილურ მომსახურებაზე ყველაზე ნაკლებ თანხას „ბილაინის“ აბონენტები ხარჯავენ. ამასთან, ოპერატორების ეს მაჩვენებელი წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, სამივე ოპერატორისთვის გაზრდილია.

ARPU კომპანიების მიხედვით

	მაგთიკომი	სილქნეტი	ბილაინი
2021	10.9	10.1	6.8
2022	14.1	12.1	7.7


¹³ARPU – Average Revenue per User, საშუალოდ ერთი აბონენტისგან მიღებული შემოსავალი

¹⁴დეკემბრის თვის მდგომარეობით

¹⁵2018 წლის ARPU გამრავლებული ყოველწლიურ საშუალო წლიურ ინფლაციაზე

ბოლო წლებში იურიდიული პირი აბონენტები საშუალოდ უფრო მეტ შემოსავალს აგენერირებდნენ, ვიდრე ფიზიკური პირები, თუმცა 2022 წელს ფიზიკური პირი აბონენტების ტარიფების ზრდის ფონზე, საპირისპირო სურათი გვაქვს - ფიზიკური პირი აბონენტების ARPU იურიდიული პირი აბონენტებისას, თითქმის 20%-ით აღემატება.

ARPU აბონენტების ტიპების მიხედვით



ხმოვანი ტრაფიკი და MOU




ხმოვანი ტრაფიკი (მლრდ წუთი)	
2018	9.88
2019	9.92
2020	10.18
2021	10.23
2022	9.17

მსოფლიო ტენდენციის კვალდაკვალ, ტრადიციული ტექნოლოგიებით მიწოდებული ხმოვანი მომსახურების ტრაფიკის შემცირება საქართველოშიც გამოიკვეთა. აღნიშნულის მიზეზი ხმოვანი ზარების განსახორციელებლად OTT (Over The Top) სერვისების სულ უფრო მეტად გამოყენებაა, რაც თავის მხრივ, ზრდის ინტერნეტის მნიშვნელობას და იწვევს მისი ტრაფიკის ზრდას.

2022 წელს ჯამური გამავალი ხმოვანი ტრაფიკი, წინა წელთან შედარებით, 10%-ით შემცირდა და 9,17 მლრდ წუთი შეადგინა. შემცირებულია MOU¹⁶ მაჩვენებელიც. 2022 წლის საშუალო MOU¹⁷-მ 138 წუთი შეადგინა.


¹⁶MOU – Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (ივლისსხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა
¹⁷IV კვარტლის საშუალო

საშუალო MOU აბონენტების და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით



ხმოვანი ტრაფიკი (მლრდ წუთი)

მობილური ოპერატორების ქრილში, 2022 წლის IV კვარტლის MOU-ს მონაცემები განსხვავებულია. საშუალოდ თვეში ყველაზე მეტს „ბილაინის“ აბონენტები საუბრობენ, რაც კომპანიის მიერ შეთავაზებული შედარებით დაბალი ტარიფებითაა გამოწვეული, შემდეგ „სილქნეტის“ მომხმარებლები, ხოლო ყველაზე ცოტას - „მაგთიკომის“ აბონენტები საუბრობენ.



მობილური ინტერნეტი

სწრაფი ტემპით იზრდება მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა და ტრაფიკი, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით. კერძოდ: მოსახლეობის უნარ-ჩვევები თანამედროვე ტექნოლოგიების მოხმარებაში გაუმჯობესებულია და უკვე თითქმის ყველა თაობა აქტიურად იყენებს მობილურ ინტერნეტს; გაზრდილია მოთხოვნა ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის წვდომაზე და ამასთან, სულ უფრო მეტი მომსახურება გადადის ონლაინ/ციფრულ სივრცეში, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოხმარების ზრდას; ტრადიციული ხმოვანი საკომუნიკაციო მომსახურება ჩაანაცვლა სხვადასხვა მობილური აპლიკაციით განხორციელებულმა აუდიო-ვიდეო ზარებმა. აღნიშნული პროცესები, 2019 წლიდან კოვიდ პანდემიის გავლენით, კიდევ უფრო დაჩქარდა.


მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა ყოველ წელს მნიშვნელოვნად იზრდება. 2018 წლიდან 2022 წლამდე მობილური ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის წლიურმა ზრდამ 8,6%¹⁸ შეადგინა.

2022 წლის ბოლოსთვის, მობილური ინტერნეტ მომსახურებით 4,1 მლნ აბონენტი სარგებლობდა, რაც აბონენტების მთლიანი რაოდენობის 70%-ს შეადგენდა.

¹⁸წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)

მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა სიმკვრივის მაჩვენებელი საქართველოს მოსახლეობასთან¹⁹ მიმართებით, კიდევ უფრო მაღალია და 2022 წლის ბოლოსთვის 119% შეადგინა.

მობილური ინტერნეტის აბონენტები (მლნ)



2022 წლის ბოლოსთვის ყველაზე მეტი - 1,48 მლნ მობილური ინტერნეტ მომხმარებელი „სილქნეტს“ ჰყავდა, მას მოსდევს „მაგთიკომი“ 1.45 მლნ მომხმარებლით და „ბილაინი“ – 1.17 მლნ.

მობილური ინტერნეტ მომხმარებლები (მლნ)

	2018	2019	2020	2021	2022
სილქნეტი	1.14	1.19	1.17	1.35	1.48
მაგთიკომი	0.98	1.01	1.08	1.34	1.45
ბილაინი	0.84	0.99	1.00	1.06	1.17



კომპანიების შრილში, აბონენტთა საერთო რაოდენობაში მობილური ინტერნეტ მომხმარებლების წილის მაჩვენებლები განსხვავებულია. პირველ ადგილზე არის „ბილაინი“ - მობილურ ინტერნეტს კომპანიის აბონენტების 81% მოიხმარს. ასეთი მაღალი მაჩვენებელი მობილურ ინტერნეტზე შეთავაზებული ტარიფებითა და სამიზნე აუდიტორიითაა განპირობებული.

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე კომპანიების მიხედვით




¹⁹საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოიცავს 5 წლის ასაკიდან პირებს

2022 წელს მობილური ინტერნეტ ტრაფიკი კვლავ გაიზარდა. მობილური მომსახურების აბონენტებმა 431 პეტაბაიტამდე მობილური ინტერნეტი მოიხმარეს. ეს მოცულობა განპირობებულია მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობისა და ბაზარზე ახალი თაობის ტელეფონების რაოდენობის ზრდით, ასევე 4G ქსელის დაფარვის გაფართოებითა და ინტერნეტ კავშირზე გაზრდილი მოთხოვნით.

2018 წლიდან 2022 წლის ბოლომდე მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის საშუალო წლიური ზრდა 62%-ს შეადგენს. ამასთან, 2020 წლის შემდეგ მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ზრდის ტემპი იკლებს, თუმცა ნომინალური მაჩვენებლით წლიურად თითქმის იგივენაირად - დაახლოებით 100 – 120 პეტაბაიტით იზრდება.

გამოყენებული ინტერნეტის მოცულობა (პეტაბაიტი) და ზრდის ტემპი




მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ნახევარზე მეტს „მაგთიკომის“ აბონენტები მოიხმარენ.

ოპერატორების წილი მობილურ ინტერნეტ ტრაფიკში




ერთი აბონენტის მიერ თვეში მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება (გბ)



4G ტრაფიკის წილი ჯამურ მობილურ ტრაფიკში

მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება ერთი აბონენტის მიერ თვეში კომპანიების მიხედვით (გბ)




4G ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, იკლებს 2G და 3G ტექნოლოგიებით მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის მოცულობა. 2022 წელს მთლიანი მობილური ინტერნეტ ტრაფიკის 94% უკვე 4G ტექნოლოგიაზე მოდის.

იურიდიული პირი აბონენტების სეგმენტი

2022 წლის ბოლოსთვის სახელმწიფო კონსოლიდირებული²⁰ ტენდერის ფარგლებში ჩართული აქტიური აბონენტების რაოდენობამ 290 ათასი შეადგინა, რაც იურიდიული პირი აბონენტების ჯამური რაოდენობის 23%-ია.

იურიდიული პირი აბონენტების განაწილება




- კონსოლიდირებადი
- სხვა იურიდიული

2022 წელს იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებულ ჯამურ - 154 მლნ ლარის შემოსავალში, 41,7 მლნ ლარი კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტებისგან იყო მიღებული.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების ყოველთვიური ARPU 3 ლარით აღემატება სხვა იურიდიული პირი აბონენტების ARPU²¹-ს. კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტებისა და ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებლებს შორის სხვაობა კი 3 ლარია.


საშუალო ARPU (ლარი)



²⁰საჯარო კომპანიებისთვის სახელმწიფო ერთიანი ტენდერით მობილური მომსახურებების შესყიდვა
²¹IV კვარტლის საშუალო ARPU


მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე

2022 წლის ბოლოსთვის, კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტებში მობილური ინტერნეტ მომხმარებლების სიმკვრივე 72%-ია, სხვა იურიდიული პირი აბონენტებისთვის ეს მაჩვენებელი ანალოგიურად, 73%-ს შეადგენს. ფიზიკურ პირ აბონენტებში მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე კი 63%-ია.




კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტები მეტი მოცულობის მობილურ ინტერნეტს მოიხმარენ სხვა იურიდიულ პირებთან შედარებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირი აბონენტების მიერ მოხმარებული მობილური ინტერნეტის მოცულობამ 2022 წელს 367 პეტაბაიტს გადააჭარბა.

ერთი აბონენტის მიერ მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება თვეში (გბ)



რაც შეეხება ხმოვან მომსახურებას, 2022 წელსაც კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტები ყველაზე მეტს საუბრობენ, თუმცა სამივე სეგმენტისთვის MOU შემცირებულია.


საშუალო MOU (წთი)



როუმინგი

ბოლო წლებში როუმინგი უფრო ხელმისაწვდომი გახდა შემცირებული ტარიფების გამო. 2020 წელს კოვიდ პანდემიამ შეამცირა როუმინგით სარგებლობის შემთხვევები, თუმცა 2021 და 2022 წლებში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა.


გასული როუმერების რაოდენობა (ათასი)




	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
გასული როუმერები	109	146	187	146	132	161	215	182	127	42	61	54	57	87	132	127	132	194	227	176

როუმინგული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2022 წელს, სულ 28 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც 7 მილიონი გასული როუმერებიდან მიღებული საცალო შემოსავალი, ხოლო 21 მილიონი - შემოსული როუმერების მომსახურებისთვის მიღებული შემოსავალია. 2022 წლის შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 47%-ით არის გაზრდილი.

შემოსავალი როუმინგიდან (მლნ ლარი)




ტოპ ქვეყნები გასული როუმერებისთვის (მლნ ლარი)




2022 წელს ყველაზე მეტი თანხა - 1.77 მლნ ლარი, როუმინგულ მომსახურებაზე საქართველოდან გასულმა როუმერებმა თურქეთში დახარჯეს, რასაც ძირითადად, ინვესტორების თურქეთის სატრანზიტო ქვეყნად გამოყენება სხვა ქვეყნებში გამგზავრებისას. თურქეთის შემდეგ პირველსამეულში გერმანია, იტალია და არაბეთის გაერთიანებული საემიროებია.

გასული როუმერების მიერ დაგენერირებული შემოსავლის განაწილება სერვისების მიხედვით




ტოპ ქვეყნები ჩამოსული როუმერებისთვის (მლნ ლარი)



საქართველოში ყოფნის დროს, მობილურ მომსახურებაზე ყველაზე დიდი თანხა დახარჯეს რუსეთის ფედერაციიდან და არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან ჩამოსულმა როუმერებმა.

ჩამოსული როუმერების მიერ დაგენერირებული შემოსავლის განაწილება სერვისების მიხედვით



მობილური ნომრების პორტირება


2022 წელს მობილური ოპერატორების ქსელში 52 ათასი ნომრის პორტირება განხორციელდა, რაც 2021 წელთან შედარებით, 15 ათასი პორტირებული ნომრით მეტია და მთლიანი აბონენტების რაოდენობის 1%-ს შეადგენს. ყველაზე მეტი აბონენტი „მაგთიკომის“ ქსელში დაპორტირდა.

პორტირებული ნომრების რაოდენობა (ათასი)

2018	49
2019	52
2020	46
2021	37
2022	52




პორტირებული აბონენტების რაოდენობა (ათასი)





	2018	2019	2020	2021	2022
 მაგთიკომი	18	14	16	21	24
 სილქნეტი SILKNET	18	21	21	9	19
 ბილინი®	13	17	9	6	10

კორტირებული აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)




მობილური მოწყობილობების განაწილება მწარმოებლების მიხედვით



ინტერნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობა მსოფლიოში


2022 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 5,3 მილიარდი ადამიანი (66%) სარგებლობდა ინტერნეტით²². წინა წლის მონაცემთან შედარებით ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა 6,1%-ით გაიზარდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მსოფლიოს 2.7 მილიარდი მოსახლე კვლავ ინტერნეტის გარეშე რჩება.

მსოფლიოს²³ ინტერნეტ მომხმარებლების სტატისტიკა (მლრდ)



ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 89%, ევროპაში.

ინტერნეტ მომხმარებელთა გადანაწილება რეგიონების მიხედვით




²²იგულისხმება როგორც ფიქსირებული, ისე მობილური ინტერნეტის მომხმარებელი

²³წყარო: www.itu.int

www.macrotrends.net

საკომუნიკაციო მომსახურებების ხელმისაწვდომობა არაურბანულ დასახლებებში, ე.წ. „ციფრული გაყოფა“ - კვლავც დიდ გამოწვევად რჩება მსოფლიოში. გამოწვევა გულისხმობს არა მხოლოდ ინტერნეტისა და სხვა საკომუნიკაციო მომსახურებების ფიზიკური ხელმისაწვდომობის შეფერხებას, არამედ, განათლებისა და ცნობიერების კუთხით არსებულ პრობლემას. აღნიშნულზე ინტერნეტის მომხმარებელი აბონენტების ქალაქად და სოფლად არსებული წილიც მიუთითებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროპაში ამ კუთხით მნიშვნელოვნად უკეთესი მაჩვენებელია.

ინტერნეტ მომხმარებელთა წილი²⁴ განაშენიანების მიხედვით




ფიქსირებული ფართობლოვანი²⁵ ინტერნეტ მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების განვითარება კვლავ მკვეთრად მზარდი ტენდენციით ხასიათდება და გამოირჩევა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის განვითარების მაჩვენებლით. კერძოდ, ქვეყანაში ხელმისაწვდომ სხვა ფართობლოვან ტექნოლოგიებს შორის ყველაზე დიდი - 80%-იანი წილი ოპტიკურ ტექნოლოგიას უკავია. გამომდინარე იქიდან, რომ დედაქალაქსა და რამდენიმე დიდ ქალაქში ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურება თითქმის გაჯერებულია, ზრდის ტემპი სოფლებში უფრო დიდია.

2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 1,08 მილიონი შეადგინა. წინა წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 7%-ით - 70,6 ათასი აბონენტით გაიზარდა: ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა - 7%-ით, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა - 11%-ით. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, აბონენტების რაოდენობის წლიური ზრდის ტემპმა, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი აბონენტებისათვის 6% შეადგინა.

ფიზიკური პირი აბონენტების წილი მთლიან რაოდენობაში 95.2%-ია, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების - 4.8%.


აბონენტების რაოდენობა ხელშეკრულების ტიპის მიხედვით (ათასი)



²⁴წყარო: www.oecd.org

²⁵ITU-ს განმარტებით - ეს არის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა გადაცემა განხორციელდეს 256 კბ/წმ ან მეტი სიჩქარით


2022 წელს ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა და 1,03 მილიონი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 66,4 ათასი აბონენტით მეტია. შესაბამისად, გაიზარდა ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებში²⁶ და 92,7% შეადგინა.



სააბონენტო სიმკვრივე შინამეურნეობებში	
2018	74.2%
2019	80.9%
2020	83.3%
2021	86.7%
2022	92.7%

2022 წელს, წინა წელთან შედარებით, ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის ყველაზე დიდი ზრდა - 22,7 ათასი აბონენტით, „მაგთიკომს“ და 22,4 ათასი აბონენტით - „სილქნეტს“ ჰქონდა, თუმცა აღნიშნული აბონენტების ყველაზე დიდი - 21,8%-იანი ზრდა „სქაიტელთან“ დაფიქსირდა, რაც 10,3 ათას აბონენტს გულისხმობს.

ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)




	2018	2019	2020	2021	2022
● მაგთიკომი	365	430	458	474	497
● სილქნეტი	275	282	285	285	308
● ახალი ქსელების ჯგუფი ²⁷	65	65	57	59	60
● სკაიბელი	13	17	25	50	60
● სხვა	104	103	99	94	104

²⁶ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე, პროცენტულ მაჩვენებელში
²⁷„ახალი ქსელების“ ჯგუფში გაერთიანებულია „ახალი ქსელების“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ აბონენტების რაოდენობა. ისინი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან

2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, იურიდიული პირი აბონენტების ყველაზე დიდი რაოდენობა „სილქნეტს“ ჰყავს, მეორე ადგილზე „მაგთიკომია“, ხოლო მესამე ადგილს, წინა წლის მსგავსად, „სქაიტელი“ იკავებს, რომელსაც აბონენტებად უმეტეს წილად, საჯარო სკოლები ჰყავს.


იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)



	2018	2019	2020	2021	2022
სილქნეტი	18	20	20	20	21
მაგთიკომი	14	13	13	14	15
სქაიტელი	0	3	3	5	6
ჯგუფი	4	4	3	3	3
სხვა	5	5	5	5	6


2022 წელს, ფიქსირებული ფართობოლოგანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავალი წინა წელთან შედარებით, 14%-ით გაიზარდა და 336 მლნ ლარი შეადგინა.

საცალო შემოსავალი (მილიონი ლარი)



შემოსავლებისა და აბონენტების რაოდენობების საშუალო ზრდის ტემპი განსხვავებულია. შემოსავლების 5 წლის საშუალო ზრდის ტემპის მაჩვენებელი 11%-ია; აბონენტების რაოდენობის კი - 6%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საშუალოდ, ერთი აბონენტის მიერ ინტერნეტ მომსახურებაში გადახდილი საფასური წლიდან წლამდე იზრდება, აღნიშნული ტენდენციის ანალიზის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიაში მიმდინარეობს საქართველოში ინტერნეტ მომსახურების საცალო ფასების შედარებითი ანალიზი (ე.წ. „ბენჩმარკინგი“) ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

საცალო შემოსავლის და აბონენტების რაოდენობის ზრდის ტემპი




იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავალი მთლიანი ოდენობის 27%-ს შეადგენს, მაშინ, როცა ამ ტიპის აბონენტების რაოდენობა ბაზრის მხოლოდ 5%-ია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იურიდიული პირი აბონენტების მომსახურების საფასური მნიშვნელოვნად აღემატება ფიზიკური პირი აბონენტების მიერ გადახდილ სააბონენტო გადასახადს.

შემოსავლისა და აბონენტების გადანაწილება აბონენტების ტიპების მიხედვით




აღსანიშნავია, რომ 2022 წელს შემოსავლის 90% ბაზრის ოთხმა მოთამაშემ დააგენერირა, ხოლო დანარჩენი 10% 154 კომპანიაზე გადანაწილდა. „მაგთიკომს“, შემოსავლის მიხედვით, ბაზრის 46,7% აქვს, „სილქნეტს“ – 33,6%, „სქაიტელს“ – 5,8%, ხოლო „ახალი ქსელების ჯგუფს“ – 3,3%.

შემოსავლების გადანაწილება კომპანიების მიხედვით




განცალკევებულად ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავლის წილების მიხედვით, ფიზიკურ პირებში ყველაზე დიდი წილი „მაგთიკომს“ აქვს, ხოლო იურიდიულ პირებში - „სილქნეტს“.

ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით




იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით




ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლისა და მშპ-ის ცვლილების პროცენტული მაჩვენებლები 2022 წელს კვლავ დადებითია. თუმცა, მშპ-ს ზრდის ტემპი 11%-დან - 10%-მდე შემცირდა, ხოლო ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის ზრდის ტემპი 7%-დან 14%-მდე გაიზარდა.

მშპ-სა და ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლის ზრდის ტემპი




2022 წელს ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-მ 22,3 ლარი, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების ARPU-მ 157,1 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს 17%-იან, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების ამ მაჩვენებლის 5%-იან ზრდას წარმოადგენს.

ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების ARPU




2022 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU თბილისში, რეგიონებში არსებული აბონენტების ამ მაჩვენებელს 50%-ით აღემატება. დედაქალაქში და რეგიონებში ARPU, წინა წელთან შედარებით, თითქმის თანაბრად გაიზარდა - 16,9%-ით და 17,4%-ით შესაბამისად.

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU თბილისსა და რეგიონებში



ფიზიკური პირი აბონენტების ARPU ყველაზე მაღალია ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზე და ის 22,7 ლარს შეადგენს, ხოლო ფიქსირებულ უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიაზე ერთი აბონენტის დანახარჯი, საშუალოდ თვეში 19,6 ლარია. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, ARPU ყველა ტექნოლოგიაზე გაიზარდა და ყველაზე დიდი - 20,2%-იანი ზრდა ფიქსირებულ LTE ტექნოლოგიაზე შეინიშნებოდა, ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზე - 18,4%-იანი, ფიქსირებულ უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიაზე - 4,6%-იანი ზრდა, ხოლო xDSL-ზე 0,2%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU (ლარი) ტექნოლოგიების მიხედვით



ფიქსირებულ ფართობოლოვან ინტერნეტ მომსახურებაში ერთი აბონენტის მიერ თვეში საშუალოდ დაგენერირებული შემოსავლის, ARPU-ს ანალიზი მიუთითებს, რომ ფიზიკური პირი აბონენტების ARPU, გასულ 5 წლიან პერიოდთან შედარებით, 2022 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. თუ წინა წლების საშუალო ზრდა 3% იყო, მიმდინარე წელს ამ მაჩვენებელმა 17% შეადგინა. აღნიშნული ძირითადად ბაზარზე მოქმედი ორი ყველაზე დიდი საბაზრო წილის მქონე კომპანიის - „მაგთიკომისა“ და „სილქნეტის“ მიერ მომსახურების პირობების ცვლილებითაა განპირობებული. კერძოდ, „მაგთიკომის“ შემთხვევაში, ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების მინიმალური - 20 მბ/წმ სიჩქარის პაკეტი, რომლის ფასი 30 ლარს შეადგენდა, 30 მბ/წმ-იანი სიჩქარის შეთავაზებით ჩანაცვლდა, რომლის ფასი 37 ლარით განისაზღვრა. „სილქნეტის“ შემთხვევაში კი მსგავსი შეთავაზება ჩანაცვლდა 35 ლარიანი პაკეტით, რომლის სიჩქარე 25 მბ/წმ-ია.

საქართველოში 2022 წელს, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების სიმკვრივემ შინამეურნეობებში 82,1%²⁸ შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით, 6%-ით მაღალია.


2022 წლის ბოლოს მონაცემებით, ფიქსირებულ ფართობოლოვან მომსახურებას სულ 135 ავტორიზებული პირი ეწეოდა²⁹. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მომსახურებას აწვდიდა 78, ფიქსირებული უსადენო ინტერნეტით - 95, xDSL-ით - 6 კომპანია, ფიქსირებული LTE ტექნოლოგიით მომსახურებას კი მხოლოდ „სილქნეტი“ აწვდიდა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების სიმკვრივის ზრდა შინამეურნეობაში და აღნიშნული ტექნოლოგიის მიმწოდებელი კომპანიების რაოდენობის ზრდა, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ბაზრის განვითარებაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, ფიქსირებული ფართობოლოვანი მომსახურების ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მიმწოდებლების რაოდენობა 7%-ით გაიზარდა. ფიქსირებული უსადენო (FWA) ტექნოლოგიით მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები, რომლებიც ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის განვითარების კვალდაკვალ არ არიან კონკურენტუნარიანები, ცდილობენ თავადაც განავითარონ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურება. ქსელის მოსაწყობად ისინი, ძირითადად, ენერჯო კომპანიებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურას იყენებენ. აღნიშნული დინამიკა მიუთითებს, რომ შედარებით პატარა კომპანიები ცდილობენ აუწყონ ფეხი ბაზრის განვითარებას, თუმცა ამის მიღწევა მათთვის დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული, რის გამოც უწევთ ბაზრიდან გასვლაც კი. ფიქსირებული უსადენო (FWA) ტექნოლოგიით მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 13%-ით (14 კომპანია) შემცირდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ მცირე და საშუალო ოპერატორების განვითარებისა და კონკურენციის ზრდის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია მოხდეს ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი საბითუმო დაშვების, ე.წ. ფართობოლოვანი ინტერნეტის ბაზრის - „Bitstream“-ის საბითუმო მომსახურების სეგმენტის შესწავლა და მისი შედეგების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მარეგულირებელი მექანიზმების შემოღება, რაც უზრუნველყოფს მომსახურების ბაზრის ამ სეგმენტზე შესვლის ბარიერების მოხსნას და კონკურენციის ზრდას.

ფიზიკური პირი აბონენტების უმეტესი - 88,5%, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობს, სხვა ტექნოლოგიებიდან ყველაზე დიდი წილი ფიქსირებულ უსადენო ტექნოლოგიაზე მოდის.


ფიზიკური პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით



²⁸ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა გაყოფილი შინამეურნეობების რაოდენობაზე
²⁹მოიცავს კომპანიებს, რომელთაც 2022 წლის IV კვარტალში ყავდათ 1 აბონენტი მაინც


იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით, მცირედ განსხვავებულია. აქ ფიქსირებულ უსადენო (FWA) და xDSL ტექნოლოგიას შედარებით უფრო დიდი წილი უჭირავს, ვიდრე ფიზიკური პირი აბონენტების სეგმენტზე.

იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




ბოლო 5 წლის განმავლობაში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა ზრდას განაგრძობს და მისი წლიური ზრდის ტემპი 9,9%-ს შეადგენს. წინა წელთან შედარებით, აღნიშნული ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა 8,5%-ით - 74,4 ათასი აბონენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს აღნიშნული მონაცემი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე წინა წელს, როცა აბონენტების ზრდამ 47 ათასი შეადგინა. აბონენტების რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილი ფიქსირებულ უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიას უჭირავს. ის, ასევე, მეორე ადგილზეა აბონენტების ზრდის ტემპის მიხედვითაც. აღსანიშნავია, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების ზრდამ ფიქსირებულ უსადენო ინტერნეტთან შედარებით, 19,5-ჯერ მეტი შეადგინა, რისი მიზეზიც ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურების ქსელის განვითარება და შესაბამისად, მისი ხელმისაწვდომობის ზრდაა. 2018 წლიდან მოყოლებული, წელიწადში საშუალოდ 30,4%-ით იკლებს xDSL ტექნოლოგიისა და ფიქსირებული LTE ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა, ავტორიზებული პირები სულ უფრო აქტიურად ცდილობენ მოძველებული და შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობების მქონე ტექნოლოგია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით ჩაანაცვლონ.

აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




2022 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების ფიზიკური პირი აბონენტების 54,6%, „მაგთიკომის“ მომსახურებით სარგებლობდა, 31.9% - „სილქნეტის“, სხვა ოპერატორების წილი ჯამში 13,5%-ს შეადგენდა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით




ოპტიკურ-ბოჭკოვანი და xDSL ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, გაცილებით დიდია ბაზრის იმ მოთამაშეების რიცხვი, რომლებიც ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას ფიქსირებული უსადენო ტექნოლოგიით ახორციელებენ. 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, აღნიშნულ ტექნოლოგიაზე 87 კომპანიიდან აბონენტების რაოდენობის ყველაზე დიდი წილი - 45,7% „სქაიტელს“ აქვს.

ფიქსირებული უსადენო ინტერნეტის ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით



რაც შეეხება xDSL ტექნოლოგიას, ფიზიკური პირი აბონენტების 80,9% „სილქნეტის“ მომხმარებელი იყო, ხოლო 14,9% - „ახალი ქსელების ჯგუფის“, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 4,3%-ს შეადგენდა.

xDSL ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით




³⁰„ახალი ქსელები“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ ურთიერთდამოკიდებული, აფილირებული პირები არიან

³¹სხვაში შემავალი კომპანიებია: გლობალ ერთი, სერვისნეტი და საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერების ასოციაცია გრენა


ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის განვითარება შესაძლებელს ხდის აბონენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტ მომსახურება. 2022 წლის ბოლოს ყველაზე მეტი აბონენტი - 56,4% სარგებლობდა ინტერნეტ მომსახურებით, რომლის დეკლარირებული სიჩქარე³² 30 მბ/წმ-დან 99 მბ/წმ-მდე დიაპაზონში იყო, როდესაც წინა წელს ყველაზე მეტი (67%) აბონენტი 10 მბ/წმ-დან 29 მბ/წმ-მდე დეკლარირებულ სიჩქარეზე მოდიოდა. აღნიშნული ცვლილება გამოიწვია „მათიკომის“ მხრიდან ფიზიკური პირი აბონენტებისათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მიწოდებული ფიქსირებული ფართობოლოგანი ინტერნეტის ყველაზე მოთხოვნადი, მინიმალური პაკეტის პირობების ცვლილებამ - სიჩქარის გაზრდამ 20 მბ/წმ-დან 30 მბ/წმ-მდე. რაც შეეხება ყველაზე დაბალი დეკლარირებული სიჩქარის დიაპაზონს 9 მბ/წმ-მდე, აღნიშნული დიაპაზონის სიჩქარის მქონე აბონენტების წილი განაგრძობს შემცირებას და უმეტესად რეგიონებში გვხვდება.

აბონენტების რაოდენობის გადანაწილება დეკლარირებული სიჩქარეების დიაპაზონების მიხედვით




30 მბ/წმ-დან ზემოთ დიაპაზონის სიჩქარის მქონე აბონენტების წილი ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაში მეტია და 63,8%-ს შეადგენს. ფიქსირებული უსადენო, ფიქსირებული LTE და xDSL ტექნოლოგიებზე დომინირებს 9 მბ/წმ-მდე დიაპაზონი და 68,4%-ს შეადგენს, რაც ამ ტექნოლოგიების ტექნიკური შეზღუდვებითა და მახასიათებლებით არის გამოწვეული.

აბონენტების რაოდენობის გადანაწილება ტექნოლოგიებისა და სიჩქარეების დიაპაზონების მიხედვით



³²ფიქსირებული ფართობოლოგანი ინტერნეტ მომსახურების ნაწილში სიჩქარეების ანალიზისას კომპანიების მიერ აბონენტებისთვის შეთავაზებული დეკლარირებული მონაცემებია აღებული


იურიდიული და ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის გადანაწილება ინტერნეტ მომსახურების სიჩქარეების დიაპაზონების მიხედვით



განსხვავდება იურიდიული და ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის გადანაწილება ინტერნეტ მომსახურების სიჩქარეების დიაპაზონების მიხედვით. იურიდიული პირების შემთხვევაში, 9 მბ/წმ-მდე დიაპაზონი დომინირებს, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში - 30 მბ/წმ-დან 99 მბ/წმ-მდე დიაპაზონი. აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირი აბონენტების შემთხვევაში, ფიზიკური პირი აბონენტების შეთავაზებებისგან განსხვავებით, კომპანიების მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან წვდომის სიჩქარის დეკლარირება ხდება, რომელიც დაბალია ინტერნეტის ადგილობრივ რესურსებთან წვდომის სიჩქარესთან შედარებით.


ფიზიკურ პირ აბონენტებში დეკლარირებული სიჩქარეების გადანაწილების ანალიზი, განცალკევებულად, არა დიაპაზონების მიხედვით, 2022 წელს, წინა წლებთან შედარებით, განსხვავებულ სურათს აჩვენებს, კერძოდ, თუ წინა წლებში 20 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტ პაკეტი დომინირებდა, ახლა ყველაზე პოპულარული 30 მბ/წმ ინტერნეტ პაკეტია (53,7%), როგორც თბილისში (56,9%), ასევე რეგიონებში (51,2%), მეორე დომინანტური სიჩქარე კი 25 მბ/წმ-ია. ეს გამოწვეულია აღნიშნულ ბაზარზე მოქმედი უმსხვილესი კომპანიების მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზე მინიმალური პაკეტის მაქსიმალური სიჩქარის გაზრდით, „მაგთიკომის“ შემთხვევაში - 20 მბ/წმ-დან 30 მბ/წმ-მდე, ხოლო „სილქნეტის“ შემთხვევაში - 25 მბ/წმ-მდე.

ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება ყველაზე მოხმარებადი პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით




რეგიონებში იზრდება მოთხოვნა მაღალ-სიჩქარიან ინტერნეტზე. 25-30 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტ მომსახურებით 419 ათასი აბონენტი სარგებლობს.

ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით (თბილისი)




ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით (რეგიონები)




2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობის გადანაწილება თბილისსა და რეგიონებში, წინა წელთან შედარებით, არ შეცვლილა.

ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში (წილი, ათასი აბონენტი)




აბონენტების ზრდის ტენდენცია თბილისსა და რეგიონებში (აბონენტების რაოდენობა, ათასი)




2022 წელს, წინა წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობის 7,6%-იანი ზრდა დაფიქსირდა რეგიონებში, თბილისში კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა 6,3% შეადგინა.

აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით თბილისსა და რეგიონებში




აბონენტების რაოდენობა რეგიონებში კომპანიების მიხედვით (ათასი)



³³„ახალი ქსელების ჯგუფი“ გაერთიანებულია „ახალი ქსელების“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ აბონენტების რაოდენობა


2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების პენეტრაცია 92.7%-ია. პენეტრაცია ყველაზე დიდია თბილისში და განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე თბილისში 132%-ია, რაც გამონვეულია ძირითადად, იჯარით გაცემულ/საიჯაროდ განსაზღვრულ უძრავ ქონებაში არსებული ინტერნეტ მომსახურებით, რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები მოსახლეობის აღრიცხვიანობით და ასევე, ერთ ოჯახში სხვადასხვა პროვაიდერის რამდენიმე ინტერნეტ მომსახურების არსებობით. აღნიშნული მიზეზების გამო, ინტერნეტის სიმკვრივის მაჩვენებელი ბათუმის და ქობულეთის გავლენით, დიდია აჭარაშიც - 126%. რეგიონებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 20%, ისევ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია.

ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე რეგიონების მიხედვით




2022 წლის ბოლოს საქართველოს ხუთი დიდი ქალაქის: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობა ქვეყნის აბონენტების რაოდენობის 61%-ს შეადგენდა. აღნიშნულ ქალაქებში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი ვითარდება და შესაბამისად, მზარდია ამ ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა.

აბონენტების რაოდენობა საქართველოს 5 დიდ ქალაქში ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




აბონენტების გადანაწილება საქართველოს 5 დიდ ქალაქსა და სხვა დასახლებებში ტექნოლოგიების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ ხუთივე დიდ ქალაქში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების წილი ქალაქის ფართობოლოგიანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მთლიან რაოდენობაში 97%-ია.


ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი - 48%, 457 ათასი აბონენტი თბილისშია. საქართველოს ხუთ დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში ჯამში ამ ტექნოლოგიის მომხმარებელთა 67% მოდის (639 ათასი აბონენტი), დანარჩენ ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე კი - 33% - 313 ათასი აბონენტი.

ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების გადანაწილება საქართველოს 5 დიდ ქალაქსა და სხვა დანარჩენ ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე




ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურება ხელმისაწვდომია³⁴ საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბაში, რაც შეეხება სოფლებს, საქართველოში სულ 3,385 სოფელია, საიდანაც 2,510-ში არის ინტერნეტ მომსახურების ერთი აბონენტი მაინც, წინა წელს აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომი იყო საქართველოს მხოლოდ 2,487 სოფელში.

ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობა დასახლებაში (ცხრილში მოცემულია დასახლებების რაოდენობა)



საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების რაოდენობა³⁵ 229 ათასია, მაშინ, როცა ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა 51,5 ათასს შეადგენს. რაც ნიშნავს, რომ ორგანიზაციების მხოლოდ 22,5%-ს აქვს ამ ტიპის ინტერნეტ მომსახურება. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ იურიდიული პირებისათვის განკუთვნილი მომსახურება, ფიზიკური პირებისგან განსხვავებით, ძვირია და შესაბამისად, შესაძლოა მცირე და საშუალო ორგანიზაციები ფიზიკური პირებისთვის განკუთვნილი შეთავაზებებით ან მობილური ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობდნენ. აღნიშნული მონაცემებით, ინტერნეტ მომსახურება თბილისში მოქმედი ორგანიზაციების 28%-ს აქვს.

მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ამათ შორის



³⁴ხელმისაწვდომობაში იგულისხმება დასახლებაში ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების 1 აბონენტის არსებობა მაინც (ფიზიკური ან იურიდიული)

³⁵წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ფიქსირებულ ინტერნეტთან კომბინაციაში სხვა საკომუნიკაციო სერვისების მოხმარება

საქართველოში ფიქსირებულ ფართობოლოვან ინტერნეტ მომსახურებასთან ერთად, აბონენტები ინტერნეტის მიმწოდებელი კომპანიის სხვა სერვისებითაც სარგებლობენ. რამდენიმე მომსახურებას ერთად, ძირითადად, „სილქნეტი“, „მაგთიკომი“ და „ახალი ქსელების“ ჯგუფი სთავაზობენ.

ინტერნეტ მომსახურებასთან კომბინაციაში მაუწყებლობის ტრანზიტის (IPTV ტექნოლოგია), ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების (PSTN ან VoIP ტექნოლოგია) და მობილური მომსახურების მოხმარება 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით კვლავ ანალოგიურ სურათს გვაძლევს³⁶: ინტერნეტის მომხმარებელი ფიზიკური პირი აბონენტების ყველაზე დიდი - 57,3%-იანი წილი ინტერნეტთან ერთად მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურებითაც სარგებლობს. სამი სერვისის კომბინაციაში ინტერნეტის, ტელევიზიის და მობილური მომსახურებები დომინირებს (8%), თუმცა, წინა წელთან შედარებით, 3%-ით არის შემცირებული. წინა წლის მსგავსად, ერთი პროვაიდერის ოთხი მომსახურებით აბონენტების უმნიშვნელო ნაწილი - 0.2% სარგებლობს.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი იმ კომპანიების წილი, რომლებიც ინტერნეტთან კომბინაციაში მომხმარებლებს სთავაზობენ სხვა მომსახურებებსაც, ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მთლიანი ბაზრის 85%-ს შეადგენს (აბონენტების რაოდენობის მიხედვით).

ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მოხმარება ცალკე და სხვა მომსახურებებთან კომბინაციაში




³⁶ანალიზში მონაწილეობს „მაგთიკომის“, „სილქნეტის“ და „ახალი ქსელების“ ჯგუფის ფიზიკური პირი აბონენტები

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება³⁷


2022 წელს ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მიწოდება სადენიანი, უსადენო (CDMA) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიებით ხდებოდა. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე IV კვარტლის მონაცემებით, 25 კომპანია ოპერირებდა. ფიქსირებული სადენიანი ტექნოლოგიით მომსახურებას მომხმარებელს 8 ავტორიზებული პირი, უსადენოთი – 1, ხოლო VoIP-ით - 21³⁸ კომპანია აწვდიდა.

2022 წლის ბოლოს ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 314 ათასი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით, 13%-ით, 45 ათასი აბონენტით ნაკლებია. ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების, შესაბამისად, შემოსავლებისა და ტრაფიკის შემცირება მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად, მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და ამით გამოწვეული OTT (Over-The-Top) სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია.

აბონენტების რაოდენობა (ათასი)



აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




³⁷მონაცემები აღებულია 2023 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით

³⁸ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების რაოდენობის ჯამს


შესაბამისად, მცირდება ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებში და 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, 22%-ს³⁹ შეადგენს. განსხვავებით მობილური მომსახურების პირობებისა, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ფიქსირებულ მომსახურებას არ მოიხმარს, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან, მისთვის სატელეფონო ნომრის/ხაზის გაუქმება მოკლე ვადაში არ ხდება, რაც მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს აბონენტების რაოდენობის შენარჩუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა.

სიმკვრივე შინამეურნეობაში




აბონენტების კლებასთან ერთად, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ჯამური საცალო შემოსავალი კლების ტენდენციით ხასიათდება.

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




საცალო შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)




³⁹ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებით მოსარგებლე ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა შეფარდებულია ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობასთან

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკის კლების ტენდენციაც გრძელდება. თუ 2021 წელს ტრაფიკის მოცულობა 377 მლნ ნუთს შეადგენდა, 2022 წელს 310 მლნ ნუთამდე შემცირდა.

გამავალი ნუთები (მლნ)




გამავალი ნუთები (მლნ)




2022 წელს ფიქსირებული სადენიანი და VoIP სატელეფონო მომსახურებაზე ყველაზე მეტი აბონენტი „სილქნეტს“ ჰყავდა. VoIP ტექნოლოგიაზე, „სილქნეტის“ გარდა, ბაზრის შედარებით დიდი მოთამაშეები „ლაგი“, „ჯეონეთი“, „მაიფონი“ და „ინექსფონი“ არიან.

სადენიანი ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება



VoIP ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება



მაუწყებლობის ტრანზიტი⁴⁰


2022 წლის მეოთხე კვარტალში, მაუწყებლობის ტრანზიტის მიმღები 755 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.5%-ით - 4 ათასი აბონენტით მეტია. 2018 წლის შემდეგ აბონენტების რაოდენობის ყოველწლიური საშუალო ზრდა 2.1%-ია.

შესაბამისად, გაიზარდა სააბონენტო სიმკვრივეც - მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების სიმკვრივემ შინამეურნეობებზე⁴¹ 68.1% შეადგინა.



მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებულმა საცალო შემოსავლის წლიურმა ოდენობამ 136.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 6%-ით - 7.1 მლნ ლარით მეტია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საცალო შემოსავლების ყოველწლიური საშუალო ზრდა 9.5%-ია.

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




⁴⁰მონაცემები წარმოდგენილია 2023 წლის 17 თებერვლის მდგომარეობით

⁴¹მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე

⁴²მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან კომპანიების ნაწილმა ინფორმაციის კორექტირება მოახდინა


2022 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, IPTV ტექნოლოგია მაუწყებლობის ტრანზიტის კვლავ ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. მისი წილი წინა წელთან შედარებით 3%-ით გაიზარდა და 81.3% გახდა. IPTV-ის საცალო შემოსავლების წილიც მთლიან შემოსავალში 3%-ით გაიზარდა და 90%-ს შეადგენს.

აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




	2018	2019	2020	2021	2022
DVBT	18.8	33.2	39.6	42.6	43.9
IPTV	482.9	547.2	556.6	581.3	613.9
თანამგზავრული	93.6	69.1	54.5	46.1	35.0
ინტერნეტ ტელევიზია	16.7	8.6	15.5	27.2	15.0
კოაქსიალური	25.6	28.0	26.5	20.8	18.4
რადიოსიხშირული	56.8	44.8	39.3	33.0	28.9

საცალო შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)




	2018	2019	2020	2021	2022
IPTV	72.6	93.9	103.1	112.0	121.5
რადიოსიხშირული	9.3	6.6	5.6	0.4	0.4
თანამგზავრული	6.9	6.0	5.6	0.4	0.2
კოაქსიალური	5.7	4.0	3.3	0.3	0.2
DVBT	1.2	2.3	2.8	0.3	0.4
ინტერნეტ ტელევიზია	0.2	0.5	0.7	0.02	0.03

2022 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2021 წლის იმავე მარჯვენელთან შედარებით, IPTV-ის აბონენტების რაოდენობა 6%-ით, ხოლო საცალო შემოსავლების წლიური ოდენობა 9%-ით გაიზარდა.




წლის ქრილში, თვის საშუალო ARPU გაზრდილია IPTV, DVBT, რადიოსიხშირულ და ინტერნეტ ტელევიზიების ტექნოლოგიებში.



IPTV მომსახურებას 2022 წლის ბოლო კვარტალში, ძირითადად, ორი ოპერატორი - „მაგთიკომი“ და „სილქნეტი“ აწვდიდა.




თანამგზავრული, კოაქსიალური და რადიოსიხშირული ტექნოლოგიების
გაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა (ათასი)




2022 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2021 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, თანამგზავრული ტექნოლოგიების ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა - 24%-ით, კოაქსიალურის - 12%-ით, ხოლო რადიო-სიხშირული ტექნოლოგიების ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა - 12%-ით შემცირდა.

საცალო შემოსავლები (მლნ. ლარი)



შემცირდა თანამგზავრული, კოაქსიალური და რადიოსიხშირული ტექნოლოგიების ტრანზიტის წლიური საცალო შემოსავლებიც: თანამგზავრული - 52%-ით, კოაქსიალური - 6%-ით, რადიოსიხშირული - 4%-ით.

სააბონენტო შემოსავლების გადანაწილება ხელშეკრულების ტიპის მიხედვით



აბონენტების გადანაწილება ხელშეკრულების ტიპის მიხედვით



⁴³მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან კომპანიების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა

მულტიპლექს მომსახურება

2022 წელს საქართველოში სულ 28 მულტიპლექსის ოპერატორი საქმიანობდა, თუმცა მულტიპლექსის მომსახურებით კომერციული შემოსავალი მხოლოდ 11-მა მათგანმა მიიღო. დანარჩენი ოპერატორები საკუთარ არხებს/არხს ავრცელებდნენ, შესაბამისად, მულტიპლექსით კომერციულ მომსახურებას არ ეწეოდნენ.

მულტიპლექსით მომსახურებიდან ოპერატორებმა შემოსავლის სახით, წლის განმავლობაში, 7.3 მლნ ლარი მიიღეს, რომლის ძირითადი ნაწილი „სტერეო+“-სა და „საქართველოს ტელერადიოცენტრზე“ მოდიოდა.

მულტიპლექსების მიერ დაგენერირებული შემოსავლების განაწილება


სტერეო +	72.55%
საქართველოს ტელერადიოცენტრი	23.64%
სხვა	3.81%



ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები


2022 წელს ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის⁴⁴ ოდენობა 236 მლნ ლარს შეადგენდა.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიცია (მლნ ლარი)




⁴⁴მოიცავს მობილური და ფიქსირებული (სადენიანი და უსადენო) მომსახურების ქსელსა და მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების ოდენობას. კაპიტალური ინვესტიციების ოდენობაში შედის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული იმ პირების მონაცემები, რომლებმაც წლიურად მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს

ელექტრონულ კომუნიკაციაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება ქსელის ტიპების მიხედვით




ელექტრონულ კომუნიკაციაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი 3 კომპანია „მაგთიკომი“, „სილქნეტი“ და „ბილაინია“. მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია მთლიანი ოდენობის 90%-ს შეადგენს.

ელექტრონულ კომუნიკაციაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი)




2022 წელს მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის ყველაზე დიდი წილი - 51%, „მაგთიკომზე“ მოდის, ხოლო ფიქსირებულ მომსახურებაში (ფიქსირებული სადენიანი მომსახურების ქსელი, ფიქსირებული უსადენო მომსახურების ქსელი, მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურება) 40%-იანი მარჯვენებით პირველ ადგილს „სილქნეტი“ იკავებს.

მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი)




ფიქსირებულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი)




მობილურ მომსახურებებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის ყველაზე დიდი წილი - 65% ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე⁴⁵ მოდის, ხოლო ფიქსირებულში - აპარატურაზე - 49%.

მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის განაწილება (მლნ ლარი)



ფიქსირებულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის განაწილება (მლნ ლარი)



⁴⁵ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში მოიაზრება ქსელური კაბელები და არხები, ხოლო აპარატურა მოიცავს ყველა სახის აპარატურას, მათ შორის - ქსელის აპარატურას

მაუწყებლობის საქართველოს განვითარების ანგარიში

2022 წელს მაუწყებლობის დარგში 111 მოქმედი⁴⁶ პირი დაფიქსირდა, რომელთა ჯამური შემოსავალი, სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლების ჩათვლით, 281.4 მლნ ლარია. გასულ წელთან შედარებით, შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის რეალიზაციით, რამაც 65.1 მილიონი ლარი შეადგინა.


სწორედ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მიიღო 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი და ჯამური შემოსავლის 50%-ით A კატეგორიაში⁴⁷ ერთადერთი მაუწყებელია.

ხოლო იმ პირების ჯამურმა შემოსავალმა, რომლებმაც 2022 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღეს (E კატეგორიის 63 პირი), მთელი შემოსავლების 1% შეადგინა.


2022 წელს 107 მოქმედი მაუწყებელი იყო, რომლებსაც მაუწყებლობიდან შემოსავალი⁴⁸ დაუფიქსირდათ. მათმა ჯამურმა შემოსავალმა 101 მლნ ლარი შეადგინა.

მაუწყებლობიდან 10 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 2-მა პირმა: „ტელეიმედმა“ და „მთავარ-მა არხმა“ მიიღო (B კატეგორიის კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 35% იყო, ხოლო იმ პირების ჯამურმა შემოსავალმა, რომლებმაც 2022 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღეს (E კატეგორიის 64 პირი), მთელი შემოსავლების 2.4% შეადგინა.

მოქმედ მაუწყებელთა განაწილება ჯამური შემოსავლის მიხედვით



მოქმედ მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით




2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყანაში ავტორიზებულია 116 სატელევიზიო სამაუწყებლო არხი, ლიცენზირებულია 43 და ავტორიზებულია 6 რადიო მაუწყებელი. აქედან ღია საეთერო ეროვნული სატელევიზიო მაუწყებელი იყო 19. ამას ემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის და აჭარის ტელევიზიის სამი არხი. შესაბამისად, 2022 წელს სულ 22 ღია საეთერო ეროვნული სამაუწყებლო არხი მაუწყებლობდა.

2022 წლის განმავლობაში შემოსავალი უფიქსირდება 75 სატელევიზიო და 40 რადიო მაუწყებელს.

2022 წელს მაუწყებლობიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 101 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 94.2 მლნ ლარი ტელევიზიებმა, 6.7 მლნ ლარი კი რადიოებმა მიიღეს.

მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)⁴⁹



⁴⁷კატეგორიები შემოსავლების მიხედვით:

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები


⁴⁶მოქმედად განიხილება პირი, რომელსაც წლის განმავლობაში მაუწყებლობიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა

⁴⁸მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი გულისხმობს მაუწყებლის მიერ მიღებულ შემოსავალს გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლებისა

⁴⁹მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან მაუწყებლებს ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა

2022 წელს ტელევიზიებისა და რადიოების ჯამური სარეკლამო⁵⁰ შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 7.6%-ით შემცირდა და 79.9 მილიონი ლარი შეადგინა.

მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი⁵¹ (მლნ ლარი)



2022 წელს, ტელევიზიების კომერციული სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხა 73.6 მილიონი ლარია, რაც წინა წელთან შედარებით, 7.8%-ით არის შემცირებული.

2022 წლის მეორე კვარტლიდან აზარტული თამაშების სამაუწყებლო რეკლამა აიკრძალა. რეგულაციის ამოქმედებამდე, აზარტული თამაშების ორგანიზატორი კომპანიები მაუწყებლების მსხვილ დამფინანსებლებს წარმოადგენდნენ. 2022 წელს აზარტული თამაშების სექტორიდან მიღებულმა სარეკლამო შემოსავალმა 4.8 მილიონი შეადგინა, 2021 წელს კი - 17.9 მილიონი ლარი იყო.


სატელევიზიო კომერციული რეკლამის შემოსავალი (მლნ ლარი)

2022	73.6
2021	79.8
2020	61.4
2019	66.8
2018	67.6



აღსანიშნავია, რომ რეკლამის დამკვეთების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით 36.8%-ით გაიზარდა. აზარტული თამაშების რეკლამის აკრძალვიდან გამომდინარე, მკვეთრად შეიცვალა დამფინანსებლების სტრუქტურა (ბიზნეს სექტორის კუთხით). კერძოდ, თუ 2021 წელს მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ძირითადი წყარო სათამაშო ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები (44%) იყო, 2022 წელს სარეკლამო დაკვეთების კუთხით წამყვან ბიზნეს სექტორს სურსათისა და სასმელების მიმართულება წარმოადგენდა 29%-იანი წილით, 28.56%-ით მეორე ადგილი ფარმაციას, ხოლო მესამე და მეოთხე ადგილები დისტრიბუციასა და ფინანსების სექტორებს ეკავა.

შემოსავლების განაწილება საქტორების მიხედვით



⁵⁰რეკლამა აერთიანებს 5 კატეგორიას - პირდაპირი რეკლამა (მათ შორის ფასიანი პოლიტიკური რეკლამა), სპონსორობა, ტელეშოპინგი, განცხადებები და პროდუქტის განთავსება

⁵¹იგულისხმება ყველა ტიპის შემოსავალი, გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლისა

⁵²მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან მაუწყებლების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა


⁵³დამრგვალების გამო მონაცემები 100-ზე არ ჯამდება

აღსანიშნავია, რომ აზარტული თამაშების რეკლამის აკრძალვით ყველაზე მეტად ის არხები დაზარალდნენ, რომლებიც წინა წლის მონაცემებით მეტად იყვნენ დამოკიდებულნი აზარტული სექტორიდან მიღებულ შემოსავლებზე, ტოპ მაუნწყებლების მიერ აზარტული თამაშების სექტორში დასაქმებული დამფინანსებლებისგან დაკარგულმა შემოსავლებმა ჯამურად 13.1 მილიონი ლარი შეადგინა.

აზარტული თამაშების რეკლამის აკრძალვამ უარყოფითი ეფექტი მოახდინა სარეკლამო შემოსავლებზე. თუმცა, სარეკლამო დამკვეთების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა კვარტლიდან კვარტლამდე გარკვეულწილად დადებით ეფექტს იძლევა და ამ ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, საშუალო ვადიან პერიოდში, აღნიშნული ეფექტის დაძლევაა მოსალოდნელი.


აღსანიშნავია, რომ სატელევიზიო მაუნწყებლების მიერ მიღებული ჯამური⁵⁴ სამაუნწყებლო შემოსავლის 67.5%-ს რეკლამა და სპონსორობა შეადგენდა.

სატელევიზიო მაუნწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით



ტელევიზიების მიერ მიღებული ჯამური⁵⁵ სარეკლამო შემოსავლის ძირითად წყაროს რეკლამა, პროდუქტის განთავსება და სპონსორობა შეადგენდა.

სატელევიზიო მაუნწყებლების მიერ მიღებული კომერციული სარეკლამო შემოსავლების განაწილება კატეგორიების მიხედვით




⁵⁴გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არა სამაუნწყებლო შემოსავლისა
⁵⁵მოიცავს ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებით მიღებულ შემოსავალსაც
⁵⁶მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან მაუნწყებლების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლების⁵⁷ ოდენობის მიხედვით, 2022 წელს ყველაზე დიდი წილი - 26.7% „ტელეიმედს“ ეკავა, „მთავარ არხს“ – 10.7%, „მედია ჰოლდინგს“⁵⁸ – 10.4%, „სილქ მედიას“ (ევრონიუს ჯორჯია) – 7.7%, „ტელეკომპანია პირველს“ - 6.6%, „ფორმულას“ – 6.6%, „პოსტვ“-ს – 5.2%, „აჭარასპორტ.ტვ“-ს⁵⁹ - 4.9%, საზოგადოებრივ მაუწყებელს - 3.8%, „ბი ემ ჯი“-ს - 2.7%. სხვა მაუწყებლების შემოსავლების ჯამურმა წილმა 14.6% შეადგინა.

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით⁶⁰


ტელეიმედი	26.7%
მთავარი არხი	10.7%
მედია ჰოლდინგ	10.4%
სილქ მედია	7.7%
ტელეკომპანია პირველი	6.6%
ფორმულა	6.6%
პოსტვ	5.2%
აჭარასპორტ.ტვ	4.9%
საზოგადოებრივი მაუწყებელი	3.8%
ბი ემ ჯი	2.7%
სხვა	14.6%



მიღებული სატელევიზიო კომერციული სარეკლამო⁶¹ შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2022 წელს ყველაზე დიდი წილი „ტელეიმედს“ ეკავა - 34.1%, „მთავარ არხს“ – 13.6%, „მედია ჰოლდინგს“ – 12.5%, „ტელეკომპანია პირველს“ - 7.9%, „ფორმულას“ – 7.8%, „პოსტვ“-ს – 6.6%, საზოგადოებრივ მაუწყებელს - 4.2%, „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს – 2.6%, „ბი ემ ჯი“-ს – 2.6%, „სილქნეტს“ – 1.5%. სხვა მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 6.6% შეადგინა.

სატელევიზიო კომერციული სარეკლამო შემოსავლების განაწილება მაუწყებლების მიხედვით

ტელეიმედი	34.1%
მთავარი არხი	13.6%
მედია ჰოლდინგ	12.5%
ტელეკომპანია პირველი	7.9%
ფორმულა	7.8%
პოსტვ	6.6%
საზოგადოებრივი მაუწყებელი	4.2%
ჯი-დი-ეს თი-ვი	2.6%
ბი ემ ჯი	2.6%
სილქნეტი	1.5%
სხვა	6.6%



⁵⁷გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არა სამაუწყებლო შემოსავლისა

⁵⁸„მედია ჰოლდინგ“ მოიცავს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ს, კომედი არხსა და მარაოს

⁵⁹„აჭარასპორტ.ტვ“ მოიცავს Setanta Sports 1, Setanta Sports 2, Setanta Sports 3


⁶⁰დამრგვალების გამო მონაცემები 100-ზე არ ჯამდება

⁶¹კომერციულ სარეკლამო შემოსავალს მოიცავს: პირდაპირი რეკლამა, სპონსორობა, ტელეშოპინგი, განცხადებები და პროდუქტის განთავსება

პირდაპირ და გადახვევის რეჟიმები ყურებადობა

2022 წელს ერთი ადამიანი საშუალოდ, დღის განმავლობაში ტელევიზორს დაახლოებით 143 წუთს უყურებდა.

პირდაპირ და გადახვევის რეჟიმები ყურებადობა (წუთი)



რადიომაუწყებლობა

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლები (მლნ ლარი)

2022	6.3
2021	7.2
2020	6.8
2019	8.8
2018	8.6



რაც შეეხება რადიომაუწყებლებს, 2022 წელს რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლებმა 6.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით, 0.9 მლნ ლარით ნაკლებია.

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ძირითად წილს, 99.8%-ს რეკლამა და სპონსორობა შეადგენდა, პროდუქტის განთავსებასა და განცხადებებს კი მცირე წილი ეკავა.

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით



⁶²დაჯამების სხვაობა გამოწვეულია მონაცემების დამრგვალებით

რადიო მაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2022 წელს ყველაზე დიდი წილი - 55.5% რადიო ჰოლდინგ ფორტუნას ეკავა. რადიო იმედს - 10.0%, რადიო პალიტრას - 5.6%, ქართულ რადიოს - 5.0%, მდ ჯგუფს - 4.3%, მედია ჰოლდინგ - აფხაზეთის ხმას - 3.1%, სამაუწყებლო კომპანია ჰერეთს - 2.1%, რადიო ჯორჯიან თაიმსს - 1.8%, კომპანია მედიასტრიმს - 1.8%, ჩვენს რადიოს კი 1.4% ეკავა. სხვა რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 9.4% შეადგინა.

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების განაწილება კომპანიების მიხედვით


რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	55.5%
რადიო იმედი	10.0%
რადიო პალიტრა	5.6%
ქართული რადიო	5.0%
მდ ჯგუფი	4.3%
მედია ჰოლდინგი - აფხაზეთის ხმა	3.1%
სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი	2.1%
რადიო ჯორჯიან თაიმსი	1.8%
კომპანია მედიასტრიმი	1.8%
ჩვენი რადიო	1.4%
სხვა	9.4%



მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები


2022 წელს მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების⁶³ ოდენობამ 26.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 42.5%-ით ნაკლებია.

მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები (მლნ ლარი)⁶⁴



⁶³ კაპიტალური ინვესტიციების ოდენობაში შედის იმ მაუწყებლების მონაცემები, რომლებმაც წლიურად მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს
⁶⁴ 2021 და 2022 წლებში გამოყოფილია „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ მიერ განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები

მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული ინვესტიციის
ოდენობა კატეგორიების შესაბამისად (მლნ ლარი)




მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული
კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება
კომპანიების მიხედვით


ტელეიშედი	40%
მედია ჰოლდინგ	16%
სილქნეტი	15%
საზოგადოებრივი მაუწყებელი ⁶⁵	15%
მთავარი არხი	10%
სხვა	4%

⁶⁵შედის როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ისე „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის კატეგორიები კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი)



მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის კატეგორიები კომპანიების წილები



სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები

2022 წელს კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში სულ 434,299,755 ლარი შევიდა. გასულ წელს მაუწყებლების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში⁶⁶ გადასახადების⁶⁷ სახით გადახდილმა თანხამ 38,145,575 ლარი შეადგინა, ხოლო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ შეტანილმა თანხამ - 396,119,119 ლარი. რაც შეეხება ლიცენზირებიდან მიღებულ შემოსავალს, 2022 წელს სულ კომუნიკაციების სფეროდან სახელმწიფო ბიუჯეტში 15,759 ლარი შევიდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ჯარიმის⁶⁸ სახით ბიუჯეტში 19,302 ლარი ჩაირიცხა.

⁶⁶მონაცემები ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა

⁶⁷საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი (სასოფლო-აღასასოფლო)

⁶⁸ადმინისტრაციული ჯარიმები იხ. დანართი 8

ქართული ინტერნეტ სივრცე არალეგალური აუდიო-ვიზუალური პროდუქციის გარეშე


ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით, კომუნიკაციების კომისია დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებთან ერთად, წლებია ინტერნეტ სივრციდან არალეგალური აუდიო-ვიზუალური პროდუქციის ამოღებაზე აქტიურად მუშაობს.

გასული წლის განმავლობაში, 50-ზე მეტი ქართული და 200-ზე მეტი უცხოური არალეგალური საიტის მონიტორინგი ჩატარდა.

გამომდინარე იქიდან, რომ მეკობრეობის სრულად აღმოფხვრა პრიორიტეტად რჩება, კომუნიკაციების კომისია, სამუშაო რეჟიმში, პერმანენტულად მიმართავს ვებ-გვერდებს, ამოიღონ საკუთარი პლატფორმებიდან არალეგალური აუდიო-ვიზუალური პროდუქცია და მიიღონ კანონის შესაბამისი ზომები.

საავტორო უფლებების დარღვევით ინტერნეტ სივრცეში აუდიო-ვიზუალური პროდუქციის განთავსება, ქვეყნის იმიჯისა და რეპუტაციის დაზიანების გარდა, სერიოზულ ფინანსურ ზარალს აყენებს კომპანიებს, რომლებსაც იგივე აუდიო-ვიზუალური პროდუქცია ლეგალურად აქვთ შექმნილი. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის ნაწილში, კომუნიკაციების კომისია რამდენიმე წელია, კომპეტენციის ფარგლებში, ეტაპობრივად მოქმედებს. პირველ ეტაპზე, კომუნიკაციების კომისიამ მაუწყებლებისა და საკაბელო კომპანიებიდან არალეგალური აუდიო-ვიზუალური პროდუქცია ფაქტობრივად სრულად ამოიღო.

კომუნიკაციების კომისიას, საქპატენტსა და ინტერნეტმეკობრეობის წინააღმდეგ შექმნილ ასოციაციას, Motion Picture Association of America-მ, რომელიც „დისნეის“, „ვორნერ ბრაზერსს“, „უნივერსალ ფიქჩერსს“, „სონის“, „პარამაუნტ ფიქჩერსს“ და „ნეტფლიქსს“ აერთიანებს, საქართველოში ინტერნეტმეკობრეობის გამო გაფრთხილების წერილით მიმართა. ამერიკული კინოსტუდიები შეშფოთებას გამოთქვამდნენ საქართველოში არსებულ საიტებზე არალეგალური ფილმების ჩვენების გამო და პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში, ქვეყანას სანქციების შესახებ აფრთხილებდნენ, რაც კინო და ტელე მსოფლიო პრემიერების დაგვიანებით მოწოდებას, ან რიგ შემთხვევაში, მათ სრულად შეზღუდვას გულისხმობდა. კინოსტუდიებმა გამოთქვეს იმედი, რომ კომუნიკაციების კომისიის დახმარებით, ქართულ ინტერნეტ სივრცეში არალეგალური, არაკანონიერი ფილმები და სერიალები ხელმისაწვდომი აღარ იქნება.



2022 წელს გამართული მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) 56-ე ყოველწლიურ შეხვედრაზე, კომუნიკაციების კომისიის მიერ მედიაწიგნიერების მიმართულებით, მათ შორის, გლობალური მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები, EPRA-ს საბჭოს წევრებმა, ცნობიერების ამაღლების საუკეთესო მაგალითად



კომუნიკაციების კომისიამ კვირეულის ფარგლებში, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, პედაგოგებისა და მშობლებისთვის, თბილისსა და რეგიონებში, სხვადასხვა აქტივობა ჩაატარა, მათ შორის:

- მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლებში მედიაწიგნიერების დღე პირველად აღინიშნა. თბილისსა და რეგიონებში, მოსწავლეებისა და პედაგოგების ჩართულობით, მედიაწიგნიერების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, მრავალფეროვანი აქტივობები გაიმართა, მათ შორის, ჩატარდა მედიაწიგნიერების შესახებ გაკვეთილი, სადაც მოსწავლეებმა დეზინფორმაციის უარყოფით ზეგავლენებზე მიიღეს ინფორმაცია. მოსწავლეებმა კომუნიკაციების კომისიის მიერ წინასწარ მიწოდებული საგანმანათლებლო მასალების მიხედვით, დამოუკიდებლად მოამზადეს და გამოფინეს საინფორმაციო ბანერები, რომლებზეც ყალბი ინფორმაციის აღმოჩენისთვის საჭირო და აუცილებელი რჩევები იყო დატანილი. ზოგიერთი სკოლა მედიაწიგნიერების დღეს ფლეშმობის სახით შეუერთდა და სკოლის ეზოები თემატურად მოხატეს. ასევე, გაიმართა ფილმების ჩვენება, რომელიც მოზარდებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს უვითარებს;
- მედიაწიგნიერების მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, მედიააკადემიაში სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო სიმულაციური თამაში ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც, კონკრეტული თემის გარშემო სტუდენტებმა მედიის წარმომადგენლების, ყალბი ინფორმაციის გამავრცელებლისა და დეზინფორმაციასთან მებრძოლი ორგანიზაციის წარმომადგენლების როლები მოირგეს;
- მედიააკადემიაში კიბერუსაფრთხოების შესახებ სტარტაპერებისა და სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელიც ინტერნეტ თაღლითობასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას მიეძღვნა;
- ინტერნეტის მავნე ზეგავლენისგან ბავშვების დაცვისა და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ბავშვების ინტერნეტთან დაკავშირებული ქცევის, ჩვევებისა და უსაფრთხოდ გამოყენების წესების შესახებ.

მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეული შემაჯამებელი კონფერენციით დაიხურა, რომელშიც მონაწილეობა კომუნიკაციების კომისიასთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის, გაეროს ბავშვთა ფონდის და დიდი ბრიტანეთის მარეგულირებელი ორგანოს (Ofcom) წარმომადგენლებმა მიიღეს. აღსანიშნავია საქართველოში მედიანიგნიერების განვითარების მიმართულებით დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების, უნივერსიტეტების და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობა. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ორი პანელური დისკუსია, რომლებიც მედიანიგნიერების განვითარებაში ფორმალური და არაფორმალური განათლების როლსა და მნიშვნელობას, ასევე დეზინფორმაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და მედია სტანდარტებს მიეძღვნა.

მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეული, კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებით, საქართველოში უკვე მეორედ, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2021 წლის 25 მარტს მიღებული რეზოლუციის ფარგლებში ჩატარდა. კვირეულის მიზანი საზოგადოებაში მედიანიგნიერების საჭიროებისა და როლის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაა.

მედიის გასაღები



2022 წელს კომუნიკაციების კომისიამ ბავშვებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის მედიანიგნიერების ახალი პროექტი - „მედიის გასაღები“ დაიწყო. ეს არის ფინური მოდელის მიხედვით შექმნილი ონლაინ პლატფორმა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ფილმების პოზიტიურ შინაარსზე და მოზარდებს ფილმებისა და მულტფილმების გააზრებაში ეხმარება. „მედიის გასაღები“ ევროკომისიის მიერ აღიარებული პროექტია, რომელიც მოზარდებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას ფილმების ანალიზით უწყობს ხელს.

2022 წლის განმავლობაში www.mediatsigniereba.ge -ზე, „მედიის გასაღების“ პროექტის ფარგლებში, 100 ფილმის, მათ შორის, 30 ქართული და 70 უცხოური ფილმის შესახებ ინფორმაცია განთავსდა, რომელიც სპეციალურად აღნიშნული პლატფორმისთვის პროფესიონალი ფსიქოლოგებისა და კინომცოდნეების მიერ შემუშავდა. ფილმები სპეციალური ასაკობრივი კატეგორიების მიხედვითაა დაყოფილი. თითოეულ მათგანს თან ახლავს ინდივიდუალური აღწერა, კითხვები დისკუსიისთვის და ინფორმაცია, თუ რა დადებით შინაარსზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. „მედიის გასაღები“ მშობლებს, მასწავლებლებსა და მოზარდებს სთავაზობს ფილმებს ოთხი ასაკობრივი ჯგუფისთვის, კერძოდ: 4-დან 8 წლამდე, 9-დან 11 წლამდე, 12-დან 14 წლამდე და 15-დან 18 წლამდე.

ფილმების მიმოხილვა ორ მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავს. პირველი განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიას, თუ ვისთვის არის ფილმი სარგებლის მომტანი; ხოლო მეორე - თუ რა პოზიტიურ შინაარსს შეიცავს ფილმი და რამდენად დადებითად აისახება მოზარდის განვითარებაზე. ასევე, შემოთავაზებულია ფილმის დეტალური განხილვა - რა არის ფილმის მთავარი თემა, რაზეც მისი ყურების შემდეგ ბავშვებმა და მშობლებმა ერთად უნდა იმსჯელონ.


„მედიის გასაღები“ მოზარდებს საშუალებას აძლევს კრიტიკული და ლოგიკური აზროვნებით, მედიანიგნიერების უნარ-ჩვევების გამოყენებით, ყურადღება გაამახვილონ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, რომლებიც მათ კრიტიკული აზროვნების განვითარებაში დაეხმარება. მოზარდები შეძლებენ დამოუკიდებლად განსაზღვრონ ინფორმაციის სანდოობა, გააანალიზონ შინაარსი, შეაფასონ მთავარი სათქმელი და მედია პროდუქტის არსი.

პროექტი შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს, სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ და ფილმების ჩვენებითა და მათი ანალიზით, მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების უნარები განუვითარონ.

პროექტის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისია სკოლებში კინოჩვენებებს მართავს და მოსწავლეებს ფილმების მიმოხილვის პროცესში აქტიურად რთავს. ფილმის ყურების შემდეგ, მოზარდები კომუნიკაციების კომისიის მედიანტივრების ტრენერთან ერთად განიხილავენ მას.

„მედიის გასაღების“ კინოჩვენებებში მონაწილეობა 100-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო, „მედიის გასაღებს“ კი უკვე 40,000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს.

**დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა:
კრიტიკული აზროვნების განვითარება
სკოლებში**



2022 წელს კომუნიკაციების კომისიამ ევროკავშირის მისიის მიერ მხარდაჭერილი პროექტი „დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა: კრიტიკული აზროვნების განვითარება სკოლებში“ პედაგოგების მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე გააგრძელა. პროექტის მიზანი დეზინფორმაციით გამომწვეული ნეგატიური გავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლება, მედიანტივრებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება და მასწავლებელთა შესაბამისი ცოდნის ამაღლებაა.

დეზინფორმაციასთან გამკლავებაში კომუნიკაციების კომისიამ საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 900-ზე მეტი პედაგოგი გადაამზადა. პროექტი 2021 წელს დაიწყო და 500 პედაგოგის გადაამზადებას ითვალისწინებდა. მასწავლებლების გადაამზადება მოწვეული ექსპერტების მიერ შემუშავებული შემოქმედებითი და ინტერაქციული საგანმანათლებლო მოდულით დაიწყო, რომელიც სპეციალურად აღნიშნული პროექტისთვის შეიქმნა. ინტერაქციული საგანმანათლებლო მოდული, რომელიც პრაქტიკულ სავარჯიშოებს მოიცავს, აგებულია სწავლების აქტუალურ და თანამედროვე მიდგომებზე და ეხება ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, დეზინფორმაციის იდენტიფიცირების სხვადასხვა ხერხი და ინფორმაციის გადამოწმების მეთოდები.

შემდგომი განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, 2022 წელს კომუნიკაციების კომისიამ ევროკავშირთან შეთანხმებით, პროექტი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს გადასცა.

პროექტის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოთი და საგანმანათლებლო მოდულით, დეზინფორმაციასთან გამკლავებაში საჯარო სკოლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებს უკვე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი გადაამზადებს. სემინარები თბილისსა და რეგიონებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში გაგრძელდება. პედაგოგები მიიღებენ ცოდნას დეზინფორმაციის, ანტიდასავლური პროპაგანდის ნეგატიური ზეგავლენისა და მათგან თავის დაცვის მექანიზმების შესახებ. ამასთან, სასწავლო სემინარები პედაგოგებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ ამომწურავი და გააზრებული ინფორმაცია ევროპული ღირებულებებისა და საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის შესახებ. შედეგად, საქართველოს მასშტაბით, მოქმედი პედაგოგები კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარებს განვიითარებენ. პროექტის ფარგლებში სერტიფიცირებული მასწავლებლები მიღებულ გამოცდილებას პრაქტიკაში გამოიყენებენ და ცოდნას მოსწავლეებს გაუზიარებენ.

მედიანიგნიერების ინტეგრირება ფორმალურ განათლებაში

2022 წელს კომუნიკაციების კომისიამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და გაეროს ბავშვთა ფონდთან პარტნიორობით, ასევე, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, ფორმალურ განათლებაში მედიანიგნიერების დანერგვის ხელშეწყობის პროცესი დაიწყო.

პროექტის ფარგლებში, სკოლებში მედიანიგნიერების საჭიროებების კვლევა და შეფასება განხორციელდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდა მედიანიგნიერების საგანმანათლებლო სტანდარტი, სახელმძღვანელო და შესაბამისი სასწავლო მოდული მასწავლებლებისთვის. პროექტის ფარგლებში შექმნილი ახალი რესურსების მიხედვით, გადამზადდებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერები და პედაგოგები.

მედიანიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების პროექტი მე-10 კლასელებისთვის არჩევითი საგნის დამატებას გულისხმობს. პროექტის ფარგლებში 500 მასწავლებელი გადამზადდება, რომლებიც საგანს სკოლებში ასწავლიან.



კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“

2022 წელს, კომუნიკაციების კომისიამ მედიააკადემიასთან ერთად, მედიანიგნიერების კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ მერვედ, მათ შორის ხუთჯერ სკოლის მოსწავლეებისთვის, ხოლო სამჯერ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ჩაატარა. ეს არის კონკურსი, რომლის მიზანი მოზარდებში კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების უნარების განვითარებაა. კონკურსის წესების თანახმად, მონაწილეებმა უნდა აღმოაჩინონ მედიასივრცეში გავრცელებული ყალბი ინფორმაცია (Fake News), რომელიც არ ყოფილა დადასტურებული, როგორც ყალბი. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაციის აღმოჩენის გზა, შესაბამისი წყარო და პარალელურად, დაადგინონ რეალური ფაქტები და ამბავი.



საკუთესო ნამუშევრების ავტორებს კომპეტენტური ჟიური ავლენს. გამარჯვებულებს კი, კომუნიკაციების კომისია ულტრათანამედროვე პრიზებს გადასცემს.

კონკურსის პარალელურად, კომუნიკაციების კომისიამ ფაქტების გადამოწმებისა და ყალბი ინფორმაციის აღმოჩენის შესახებ, 2022 წლის განმავლობაში, თბილისსა და რეგიონებში შვიდი უნივერსიტეტის 500 სტუდენტს, ასევე თბილისის, კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და იმერეთის 28 სკოლის 400-ზე მეტ მოსწავლეს სასწავლო სემინარები ჩაუტარა.

კომუნიკაციების კომისია ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს პროფესიული განვითარების საშუალებასაც აძლევს და სერტიფიცირებულ სემინარებს უტარებს. წარმატებული სტუდენტები კომუნიკაციების კომისიის მედიანიგნიერების პროექტებში ერთვებიან როგორც ტრენერები და მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას მოსწავლეებს თავად უზიარებენ.

მედიის ეკონომიკა

2022 წელს კომუნიკაციების კომისიამ მედიის ეკონომიკის მიმართულებით თბილისსა და რეგიონებში ოცდახუთი სკოლის 836 მოსწავლე გადაამზადა. მოსწავლეებმა სოციალური მედიის დაფინანსების წყაროების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს, ისწავლეს, თუ რა როლი აქვს თითოეულ მომხმარებელს სოციალური მედიის დაფინანსებაში და ზოგადად, როგორ მუშაობს სოციალური მედიის ეკონომიკა. მოზარდებმა დეტალურად მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა პლატფორმის ალგორითმების შესახებ.

“მედიის ეკონომიკა” ევროპის მასშტაბით აღიარებული პროექტია, რომელიც მაღალი კლასის მოსწავლეებისათვის ციფრული მედიის დაფინანსებისა და მედია ეკონომიკის პრინციპების შესწავლას ითვალისწინებს. პროექტი ასევე, აღიარებულია „Evas Foundation“-ის მიერ, როგორც უნიკალური მიდგომა მედიის ეკონომიკისა და მედია საფრთხეების შესასწავლად. კომუნიკაციების კომისიამ პროექტის ავტორთან, ალესანდრა ფალკონთან ერთად, ქართულ სკოლებზე მორგებული სასწავლო სქემა შეიმუშავა. მოდულის სწავლება მულტიმედიური პლატფორმებისა და ინტერნეტის გამოყენებით, როგორც ჯგუფებში, ისე ინდივიდუალურად, პრაქტიკული და ინტერაქტიული აქტივობების მეშვეობით მიმდინარეობს. კურსის სამიზნე აუდიტორია IX, X და XI კლასის მოსწავლეები არიან.


Happy Onlife

მოზარდების ინტერნეტის მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნით, 2022 წელს, კომუნიკაციების კომისიამ ქვეყნის მასშტაბით 25 სკოლის დაწყებითი კლასების 1,236 მოსწავლე გადაამზადა. Happy Onlife-ის მეშვეობით, მოსწავლეები ინტერნეტში უსაფრთხო ნავიგაციის წესებს გაეცნენ და თამაშის გზით ისწავლეს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ინტერნეტი უსაფრთხოდ, როგორ დაიცვან თავი ინტერნეტში არსებული საფრთხეებისა და კიბერბულინგისაგან.

Happy Onlife - ეს არის ონლაინ აპლიკაცია მოზარდებისთვის, რომლის მიზანია ბავშვებმა თამაშით ისწავლონ ციფრული მედიის უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი გამოყენება, ონლაინ შინაარსის კრიტიკული შეფასება და ანალიზი. Happy Onlife, რომელიც ევროკავშირის 9 ქვეყანაში მედიაინჟინერებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან პროექტადაა მიჩნეული, ხელს უწყობს მშობლებსა და მასწავლებლებს აქტიურად იზრუნონ ბავშვების მედიაინჟინერების უნარ-ჩვევების განვითარებაზე და დაიცვან ისინი კიბერბულინგისგან.

Happy Onlife ადაპტირებულია 9 ენაზე. კომუნიკაციების კომისიამ Happy Onlife-ის ქართული ვერსია შექმნა, რომელიც ნებისმიერი მსურველისთვის, როგორც iOS, ისე Android სისტემების მობილურ მოწყობილობებსა და პერსონალურ კომპიუტერებზე უფასოდაა ხელმისაწვდომი.

2022 წელს აპლიკაცია 2,000-მა მომხმარებელმა ჩამოტვირთა, ჯამში საქართველოში აპლიკაციას უკვე 15,000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს.



პროგრამირების სახელმძღვანელო „გამარჯობა რუბი“

„გამარჯობა რუბის“ წიგნები - „თავგადასავალი პროგრამირების სამყაროში“ და „მოგზაურობა კომპიუტერში“ - ფინური წიგნების სერიაა, რომელიც დაწყებითი კლასის ბავშვებში, პროგრამირებისა და კომპიუტერული მეცნიერებების საწყისების დაუფლებასთან ერთად, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარების განვითარებას ისახავს მიზნად.

2022 წელს კომუნიკაციების კომისიამ მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, 5,000 წიგნი დაბეჭდა და დამატებით 40 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებს უსასყიდლოდ გადასცა. კომუნიკაციების კომისიამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, აღნიშნული სკოლების პედაგოგებს „გამარჯობა რუბის“ წიგნებით სწავლებაზე საგანმანათლებლო სემინარი ჩაუტარა.

2019 წლიდან „გამარჯობა რუბის“ წიგნებით 21 სკოლის დაწყებითი კლასის 3,250 მოსწავლე სწავლობდა.

„გამარჯობა რუბი“ - ეს არის 25 ქვეყანაში აღიარებული და წარმატებული ფინური საბავშვო წიგნების სერია, რომლის ქართულად თარგმნისა და გამოცემის უფლება კომუნიკაციების კომისიამ წიგნის ავტორისგან, ლინდა ლიუკასისგან ექსკლუზიურად მიიღო.




კომუნიკაციების კომისიამ წიგნების სერია სკოლებს უსასყიდლოდ გადასცა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, განათლების ახალი რეფორმის ფარგლებში, „გამარჯობა რუბი“ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოდ 2019 წლიდან შევიდა. პედაგოგები კომუნიკაციების კომისიამ სპეციალურად აღნიშნული წიგნებით სწავლების მეთოდის მიხედვით გადაამზადა.

მედიაციური ონლაინ ჰაბი
www.mediatsigniereba.ge

კომუნიკაციების კომისიისთვის უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში მედიაციური განვითარების პროცესში სულ უფრო მეტი დაინტერესებული მხარე ჩაერთოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მედიაციური ონლაინ პლატფორმა - www.mediatsigniereba.ge, რომელიც საქართველოში მედიაციური მიმართულებით მომუშავე, მათ შორის საჯარო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ უწყებებისთვის ერთიან ონლაინ სივრცეს, ერთგვარ ჰაბს წარმოადგენს და მედიაციური მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე წვდომას ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფს.

2022 წელს მედიაციური პლატფორმას დაემატა ოთხი ახალი წევრი: ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU), არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“, არასამთავრობო ორგანიზაცია „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ და „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი“. დამატებით, მედიაციური პლატფორმაზე, 2022 წლის განმავლობაში განთავსდა 30 საინფორმაციო სტატია, რომლებიც მედიაციურასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს ეხება, როგორებიცაა: პერსონალური მონაცემების დაცვა, ონლაინ სივრცეში ქცევის წესები, კიბერუსაფრთხოება, ჯანსაღი ონლაინ ცხოვრება, ციფრული მოქალაქეობა, ეკრანთან გატარებული დროის მართვა, მედიაციური განათლებისა და მედიის ზეგავლენის შესახებ სწავლება და სხვა. საინფორმაციო სტატიები განკუთვნილია როგორც მოზარდებისთვის, ისე მასწავლებლებისა და მშობლებისთვის. პლატფორმას, 2022 წლის მდგომარეობით, 40,000-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა.






ციფრული წიგნიერების განვითარებისა და ციფრული მედიის მიმართულების სტარტაპების დახმარების მიზნით, მედიააკადემიის მედიალაბმა 2022 წელს აქტიურად იმუშავა. მედიალაბი ხელს უწყობს საინტერესო პროექტების განვითარებას და ქმნის ახალ შესაძლებლობებს სტარტაპერებისთვის, რომლებიც ციფრული მედიის სფეროში ინოვაციური, პროგრესული და თანამედროვე გადაწყვეტების შექმნასა და დანერგვაზე მუშაობენ. მედიალაბის აქსელერატორი სტარტაპებს ეხმარება კონსულტაციებით, სემინარებითა და შესაბამისი სპეციალისტების რჩევებით, ასევე სთავაზობს ისეთ რესურსებზე წვდომას, როგორებიცაა: უახლესი კომპიუტერული ტექნიკა, უფასო სამუშაო სივრცე, სხვადასხვა ტიპის აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მედიალაბი სტარტაპებს პოტენციურ ინვესტორებსა და პარტნიორებთან კომუნიკაციაში ეხმარება.

2022 წელს მედიალაბის საერთო სამუშაო სივრცეში 25 ღონისძიება ჩატარდა და სივრცით 600-მდე ბენეფიციარმა ისარგებლა, 10-ზე მეტმა სტარტაპმა კი, აქსელერაციისა და ინკუბაციის პროგრამა გაიარა.


კონფერენცია თაბაშის უმეცნელებისთვის

2022 წელს, მედიააკადემიაში მედიალაბის ორგანიზებით, Digital Road Studios-სთან თანამშრომლობით და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან პარტნიორობით, თამაშის შემქმნელებისთვის ორდღიანი კონფერენცია გაიმართა. ორი დღის განმავლობაში მედიალაბში სტარტაპებთან ექსპერტები მუშაობდნენ და საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ. ჩატარდა მასტერკლასები 3D-ის, VFX-ის, გეიმ-დიზაინის, Unity-ს და UE5-ის მიმართულებებით.

კონფერენციის ფარგლებში, სტარტაპერებს შესაძლებლობა ჰქონდათ პოტენციური ინვესტორებისთვის საკუთარი სტარტაპები წარედგინათ, ხოლო სტუმრებს - ადგილზე გაცნობოდნენ თამაშების ქართველი შემქმნელების ნამუშევრებს და მათთვის უკუკავშირი გაეზიარებინათ. ღონისძიებას ასევე, ესწრებოდნენ დამსაქმებლები და ინვესტორები, მათ შორის, Rigntail Studios-სა და Arena Games-ის წარმომადგენლები.



სტარტაპიდების კონკურსი „იდეადრომი“



2022 წელს მედიალაბმა ორჯერ ჩაატარა სტარტაპიდების კონკურსი „იდეადრომი“, რომლის მიზანი პოტენციური სტარტაპერებისა და სტარტაპიდების აღმოჩენა, მათი რეალობად ქცევა, დაფინანსების მოზიდვა და რაც მთავარია, პროდუქტის ბაზარზე გატანის ხელშეწყობაა. კონკურსის ფარგლებში მონაწილე სტარტაპ გუნდებმა ერთკვირიანი ინტენსიური გადამზადება გაიარეს და გამოცდილ მენტორებთან ერთად, საკუთარი იდეების დახვეწასა და განვითარებაზე იმუშავეს. გუნდებთან ასევე იმუშავეს გამოცდილმა სტარტაპერებმა და კომერციალიზაციის ექსპერტებმა, მათ შორის იურისტმა, ფინანსისტმა და მარკეტინგის სპეციალისტმა. მონაწილეებმა გაიარეს სწავლებები თემებზე: სტარტაპიდის ვალიდაცია, გუნდის მართვა, პროტოტიპირება და პროდუქტის ტესტირების მეთოდები, მარტივი ფინანსები და იურიდიული საკითხები სტარტაპებისთვის, ასევე იდეისთვის შესაფერისი ბიზნეს მოდელის შერჩევა. პრაქტიკულ სწავლებებზე დაფუძნებით მიღებული ცოდნა და გამოცდილება კონკურსანტებს შესაძლებლობას აძლევს იდეები რეალურ პროდუქტებად აქციონ და გლობალურ ბაზარზე გასატანად მოამზადონ.

მედიალაბმა კონკურსი „იდეადრომი“ 2020 წლიდან უკვე მეხუთედ ჩაატარა. გასული წლის კონკურსების თემები ციფრულ სივრცეში კომუნიკაციის გამართვა, საგანმანათლებლო გეიმინგი, ყალბი ინფორმაციისგან თავის დაცვა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა იყო.

კონკურსის საპრიზო ფონდი 10,000 ლარია.

მონაწილე გუნდების უმეტესობა წარმატებით აგრძელებს საქმიანობას, ხოლო, ზოგიერთი მათგანის პროდუქტი უკვე გლობალურ ბაზარზეცაა წარმოდგენილი.

2022 წლის გამარჯვებული გუნდები Pharao და Stori AI არიან. ორივე გუნდმა სხვადასხვა კონკურსში გაიმარჯვა და დღემდე საკუთარი პროექტების განვითარებას აგრძელებენ. გუნდმა Pharao ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში დაგეგმა გამგზავრება პარტნიორებისა და ინვესტორების მოსაზიდად, ხოლო გუნდი Stori AI, ჯიბის 150,000 ლარიანი გრანტის მოპოვების შემდეგ, დამატებითი ინვესტიციის მოსაპოვებლად აშშ-ში მიემგზავრება.

2021 წლის „იდეადრომის“ მონაწილე გუნდმა Base2-მა, მოიპოვა დაფინანსება პროტოტიპის შესაქმნელად და დაასრულა მუშაობა პროდუქტის პირველ ვერსიაზე. მათი საგანმანათლებლო თამაში მალე უამრავ მოზარდს პროგრამირების საფუძვლებს სახალისო და საინტერესო მეთოდით შეასწავლის. პროდუქტი 2023 წელს საქართველოს სკოლებში შევა. სტარტაპმა Colis-მა ჯიბის 150,000 ლარიანი დაფინანსება მოიპოვა, სტარტაპ ბაბლერის მიერ შექმნილ სოციალურ ქსელს კი უკვე ათასობით მომხმარებელი ჰყავს. 2022 წელს გაეშვა Skilltape-ის პლატფორმა, Vezir-ის აპლიკაცია, იგეგმება „იდეადრომის“ მონაწილე კიდევ ერთი სტარტაპის, webixx-ის პროდუქტების გაშვებაც.

ვიდეო გაკვეთილები და საგანმანათლებლო რესურსი მედიალაბისგან

ცნობიერების ამაღლების, გამოცდილების გაზიარებისა და ციფრული წიგნიერების განვითარების მიზნით, მედიალაბი ონლაინ პლატფორმებზე მუდმივად ავრცელებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალებს ციფრული მედიითა და სტარტაპებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

მედიალაბის სხვადასხვა პლატფორმაზე 2022 წელს სამოცზე მეტი სტატია განთავსდა, ჯამში კი მედიალაბის პლატფორმებზე მომხმარებელს შეუძლია ორასამდე გამოქვეყნებულ მასალას გაეცნოს.

2022 წელს მედიალაბის ვებ-გვერდს, ყოველთვიურად 11,000-ზე მეტი მომხმარებელი სტუმრობდა და ინფორმაციულ მასალას ეცნობოდა.

მედიალაბის „ფინსტუკ“ გვერდს 24,000-მდე გამომწერი ჰყავს, საიდანაც 5,300 - 2022 წელს დაემატა.

2022 წელს მედიალაბის პროექტებს შეემატა ვიდეო გაკვეთილები, რომლებსაც მედიალაბის სოციალურ ქსელში ჯამურად 850,000-მდე ნახვა აქვს.

ვიდეო გაკვეთილები მოიცავს სტარტაპის განვითარებასთან დაკავშირებულ თემებს, მათ შორის:

სტარტაპის წამოწყებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რისკებს, ფინანსებს, იურიდიულ საკითხებს, ინდუსტრიის ანალიზს, სტარტაპის მასშტაბირებას, პრობლემაზე დაფუძნებული ღირებულების შეთავაზებას და ა.შ. გარდა ამისა, მედიანწიგნიერების კვირეულის ფარგლებში შეიქმნა ვიდეო გაკვეთილები კიბერბულინგზე და ინტერნეტ თაღლითობის სხვადასხვა ფორმაზე, როგორცაა ფინანსური და იმეილ თაღლითობა.




სემინარების ციკლი მედილაბში

სტარტაპერებისა და ციფრული მედიით დაინტერესებული ბენეფიციარებისთვის, სტარტაპერებსა და ეკოსისტემაში ჩართულ სპეციალისტებს შორის რესურსების, ცოდნისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით, 2022 წელს მედილაბმა სემინარები და მასტერკლასები ჩაატარა. სემინარების ციკლი მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: მოლაპარაკებების ხელოვნება, სტარტაპების საქმიანობასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხები, ფინანსები, იდეის წარდგენა პოტენციური ინვესტორებისთვის და პროდუქტის ტესტირება.

მონაწილეებმა მიიღეს ცოდნა სტარტაპისა და ტრადიციული ბიზნესის თავისებურებების, სტარტაპის სწრაფი ზრდის, სტარტაპთან დაკავშირებული რისკების, სტარტაპ-გუნდის მართვის, ღირებულების შეთავაზების, პროდუქტის ტესტირების, ასევე პროტოტიპის დაგეგმვისა და შექმნის, ბიზნეს მოდელის და ინვესტორებთან მოლაპარაკებების შესახებ.

მედილაბში პირველად ჩატარდა სემინარის სტარტაპებისთვის კიბერუსაფრთხოების შესახებ, სადაც სტარტაპერებმა სფეროს სპეციალისტებისგან მათზე მორგებული რჩევები და დახმარება მიიღეს. ასევე Nasa Space App Challenge-ის პროექტის ფარგლებში, პროტოტიპების მიმართულებით სწავლება ჩატარდა.

2022 წელს ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით, ჩატარდა მასტერკლასები 3D და ვიზუალური ეფექტების შემქმნელებისთვის (VFX), გეიმ-დიზაინერებისთვის, Unity-ის და UE5-ის დეველოპერებისთვის. აღნიშნული სწავლებები ასამდე ბენეფიციარმა გაიარა.





მეოთხე წელია მედიასკოლა, მედია სტანდარტის დამკვიდრების მიზნით, აქტიურად მუშაობს და მედიის წარმომადგენლებს პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში ეხმარება.

2022 წელს მედიასკოლაში ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 10-მდე სწავლება ჩაატარა, რომლებსაც 100-ზე მეტი მონაწილე ჰყავდა.

თეორიულ ცოდნასთან ერთად, მედიის წარმომადგენლებმა პრაქტიკული სამუშაოებიც შეასრულეს თემებზე: პროპაგანდა ომისა და მშვიდობიანობის დროს, მიტინგებისა და დემონსტრაციების უსაფრთხოდ გაშუქება, ევროპის კავშირის ინსტიტუციები და კულტურული მრავალფეროვნება, ამბის გადმოცემა და სტატიის მომზადება, ამბის თხრობა და დრამატურგია, დეზინფორმაცია და მასთან ბრძოლის მეთოდები.

მედიის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოცდილება მიეღოთ და ემუშავათ ჟურნალისტებთან მაკა ანთიძესა და მარიკა ბაკურაძესთან, ფოტოჟურნალისტ დავით მძინარიშვილთან, დრამატურგ ბასა ჭანიკაშვილთან, ასევე, ფსიქოლოგ რუსუდან გორგილაძესთან. ჟურნალისტები ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, კობა გვენეტაძესაც შეხვდნენ, რომელმაც სემინარის მონაწილეებს საქართველოს მაკროეკონომიკური ტენდენციების, ეროვნული ბანკის ფუნქციების, სტრუქტურისა და ამოცანების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

მედიააკადემიის ონლაინ მასტერკლასი

მედიააკადემიის მედიასკოლა ჟურნალისტიკით დაინტერესებულ ადამიანებს უკვე ორი წელია სრულიად უფასოდ, ონლაინ მასტერკლასით აძლევს შესაძლებლობას წარმატებული და პროფესიონალი ავტორებისგან ისწავლონ ის, რაც ზოგადად მედიას, მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის მომზადებასა და პროფესიონალ ჟურნალისტს სჭირდება.

2022 წელს მასტერკლასს ოთხი ახალი ავტორის 29 ვიდეო ლექცია დაემატა. ავტორებთან ერთად თემებიც მრავალფეროვანი და საინტერესოა, როგორც ტელემენეჯერების, ჟურნალისტებისა და პროდიუსერებისთვის, ასევე იმ მაყურებლისთვის, რომელიც მედიაპროდუქტის შექმნით არის დაინტერესებული.

მედიამენეჯერისა და პროდიუსერის, გიორგი ხაბურზანიას სალექციო კურსი დაინტერესებულ მსმენელებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა პირველი მეგამოუ საქართველოში, რა გზა გაიარა ქართულმა სატელევიზიო შოუს ინდუსტრიამ, როგორ კეთდება ყველაზე პოპულარული მეგამოუ და რა უნარებია საჭირო ხარისხიანი პროექტებისა და გადაცემების მოსამზადებლად.



ჟურნალისტი მაკა ანთიძე მსმენელებს სააგენტო „როიტერში“ მიღებულ 30 წლიან გამოცდილებას და პრაქტიკულ მაგალითებს უზიარებს იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება სტატია, როგორ უნდა იმუშაოს და გადმოსცეს ჟურნალისტმა ამბავი, მათ შორის საგანგებო სიტუაციების გაშუქებისას, ასევე, რა თვისებები უნდა ჰქონდეს კორესპონდენტს და როგორ უნდა მომზადდეს ხარისხიანი ინტერვიუ.

BBC-ის ხარისხის მართვის მენეჯერის, ნათია აბრამიას მასტერკლასით მაყურებელი ეცნობა ინფორმაციას, თუ როგორ მართონ მედიაპროექტები და კრეატიული გუნდები შეზღუდული რესურსებით ისე, რომ მუდმივად გააუმჯობესონ ხარისხი და დაზოგონ დრო. ავტორი მსმენელებს უზიარებს ყველა იმ თანამედროვე მეთოდს, რომელიც დღეს მსოფლიოს წამყვან მედია ორგანიზაციებში მართვის პროცესის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.

თეატრმცოდნე და ტელენამყვანი ნიკა წულუკიძე სალექციო კურსით ჟურნალისტებს ტელევიზიაში საკუთარი სახასიათო მიმართულების დამკვიდრებაში ეხმარება და ონლაინ ლექციებში იმ ნიუანსებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში მომუშავე ჟურნალისტებსა თუ სტუდენტებს სჭირდებათ.

მასტერკლასის პირველი და მეორე ციკლი უკვე 9 ავტორის, მათ შორის ჟურნალისტების: ეკა ბერიძის, თამთა სანიკიძისა და მაკა ანთიძის, დრამატურგ ბასა ჭანიკაშვილის, ფოტორეპორტიორ დავით მძინარიშვილის, ოპერატორ დავით ჩხიკვიშვილის, მედია მენეჯერ გიორგი ხაბურზანიას, ხარისხის მართვის მენეჯერ ნათია აბრამიას, ასევე თეატრმცოდნისა და ტელენამყვან ნიკა წულუკიძის ონლაინ ლექციებს მოიცავს.

მასტერკლასის ონლაინ სერიებს, დაწყების დღიდან, ჯამურად მილიონ ხუთასი ათასზე მეტი ნახვა აქვს.



მედიაკრიტიკის ონლაინ-პლატფორმა www.mediacritic.ge განაგრძობს მედიის წარმომადგენლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას და როგორც ჟურნალისტებს, ისე საზოგადოებას, მედიაპროდუქტების კრიტიკულ ანალიზს სთავაზობს. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, სადაც ონლაინ და სოციალური მედიის მეშვეობით ხშირად ვრცელდება დეზინფორმაცია და სხვადასხვა შინაარსის ყალბი ინფორმაცია, მედიაკრიტიკის პლატფორმა ქმნის ინფორმაციის პროფესიულ და კვალიფიციურ ფილტრს. ეს არის ერთგვარი გზამკვლევი საზოგადოებასა და მედიას შორის, რომელიც ამავდროულად, ხელს უწყობს ჟურნალისტებისა და პროდიუსერების პროფესიულ განვითარებას.

2022 წლის განმავლობაში, პლატფორმაზე 147 მასალა გამოქვეყნდა.

მედიაკრიტიკა სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს, რომელთა სტატისტიკაც ასეთია:

45 რეპლიკა - მცირე ფორმატის კრიტიკული სტატია, რომელიც ძირითადად, ეხება ყოველდღიურ ახალ ამბებს;

52 რეცენზია - ანალიტიკური სტატია, რომელიც მოიცავს ერთი ან რამდენიმე მედიაპროდუქტის ანალიზს;

50 ბლოგი - საავტორო ხასიათის ანალიტიკური სტატია.

მედიაკრიტიკის ფაისბუქ-გვერდს 20,390 გამომწერი ჰყავს, მათ შორის 5,780 გამომწერი 2022 წელს დაემატა. მედიაკრიტიკის ფაისბუქის გვერდზე განთავსებულ მასალებს, დაარსების დღიდან 4 მილიონზე მეტი მომხმარებელი გაეცნო, ხოლო მხოლოდ 2022 წლის განმავლობაში, მედიაკრიტიკის პლატფორმას 350,000-მდე ვიზიტორი ჰყავდა.

მეოთხე წელია მედიაკრიტიკა პროფესიონალ ჟურნალისტებთან და მედიის ექსპერტებთან ერთად შემუშავებული სარედაქციო კოდექსის საფუძველზე მუშაობს, რომლის ძირითადი პრინციპებია - ინფორმაციის სიზუსტე, მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება, საზოგადოებრივი ინტერესი და ანგარიშვალდებულება, ასევე ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნა, ბალანსი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სარედაქციო დამოუკიდებლობა და ნდობა. მედიაკრიტიკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალები სწორედ აღნიშნული მედიასტანდარტების დარღვევებზე სთავაზობს მკითხველს პუბლიკაციებს.

გასათვალისწინებელია, რომ მედიაკრიტიკის მიერ გასაანალიზებელი მედია-პროდუქტები რამდენიმე კრიტერიუმის საფუძველზე ირჩევა, მათ შორის: რამდენად რეიტინგულია არხი, რომელი პროფესიული სტანდარტია დარღვეული, რამდენად მძიმეა დარღვევა და ასევე, რამდენად ხშირად არღვევს არხი მედიასტანდარტს.

• **კომუნიკაციების კომისია აღმოსავლეთ კარტინორის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებლის დამოუკიდებელი კლავტორის თავმჯდომარა** - EaPeReg-ის მე-20 პლენარულ სხდომაზე, 2023 წლის თავმჯდომარედ კომუნიკაციების კომისია აირჩიეს, რომელიც პლავტფორმას ერთი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. პლენარულ სხდომაზე, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკის ტელეკომუნიკაციების ოფისის (CTU) ორგანიზებითა და ევროკომისიის ხელშეწყობით გაიმართა, კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მზია გოგილაშვილმა და EaPeReg-ის სპექტრის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (SEWG) თავმჯდომარემ - სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენელმა რომან ქურდაძემ EaPeReg-ის 2023 წლის სამოქმედო გეგმა წარადგინეს, რომელიც მონაწილეებმა ერთხმად დაამტკიცეს. სამუშაო გეგმა როუმინგისა და სპექტრის რეგიონული ხელშეკრულებების ხელმოწერას, ელექტრონული კომუნიკაციების ევროპული მარეგულირებლების ორგანოს (BEREC), ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებლების გაერთიანებასა (EMERG) და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე, ევროკომისიის მიერ ინიცირებული პროექტის, EU4Digital-ის ტელეკომის წესების კომპონენტში აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებს.

EaPeReg-ის თავმჯდომარედ კომუნიკაციების კომისია მესამედ აირჩიეს. კომისია თავდაპირველად ქსელის მუშაობას 2015 წელს, შვედეთის ფოსტისა და ტელეკომის ორგანოსთან (PTS) ერთად, ხოლო შემდეგ 2019 წელს, ლატვიის საზოგადოებრივი მომსახურებების კომისიასთან (SPRK) ერთად ხელმძღვანელობდა. 2023 წელს კი კომუნიკაციების კომისიასთან ერთად, ვიცე-თავმჯდომარის სტატუსით, EaPeReg-ის მუშაობას ირლანდიის კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია (ComReg) უხელმძღვანელებს.

EaPeReg-თან თანამშრომლობის ფარგლებში 2022 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა ჩატარდა, მათ შორის:

1. კომუნიკაციების კომისიის წევრი ეკატერინე იმედაძე და საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის წარმომადგენელი მზია გოგილაშვილი, EaPeReg-ის ხელმძღვანელობასთან ერთად, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) გენერალურ დირექტორატსა და ITU-ს ევროპის ოფისის დირექტორს შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში, მხარეები ერთობლივ ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილეობაზე, მათ შორის, ახალი თაობის (5G) ქსელის დანერგვის, ინფრასტრუქტურის ციფრული რუქისა და ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის მიმართულებაზე შეთანხმდნენ.
2. ასევე, შედგა შეხვედრები ელექტრონული კომუნიკაციების ევროპული მარეგულირებლების ორგანოს (BEREC), BEREC-ის მხარდამჭერ სააგენტოსა (BEREC Office) და EaPeReg-ს შორის, სადაც მხარეები მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებასა და ექსპერტულ სამუშაო ჯგუფებში ურთიერთჩართულობაზე შეთანხმდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ისეთ თემებს, როგორებიც არის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი გარემოს დამოუკიდებლობა, ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრების ანალიზი, 5G ქსელები, ქსელების უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება და საერთაშორისო როუმინგის ტარიფების შემცირება.
3. კომუნიკაციების კომისიამ EaPeReg-ის მარეგულირებლების დამოუკიდებლობისა და ფართო-ზოლოვანი მომსახურების ექსპერტთა ჯგუფის (IRB EWG) წევრებს უმასპინძლა. ღონისძიება, რომელსაც რუმინეთის, ლატვიის, ლიეტუვას, ჩეხეთის, ირლანდიის, იტალიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის მარეგულირებელი ორგანოების, ასევე ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებლების ევროპული ორგანოს (BEREC) წარმომადგენლები ესწრებოდნენ, კომუნიკაციების კომისიის წევრმა ეკატერინე იმედაძემ გახსნა და ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობაზე, ასევე, უწყვეტი კავშირის დამომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის სატელეკომუნიკაციო სექტორის როლზე ისაუბრა. სამუშაო შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი ევროკომისიის მიერ ინიცირებული და დაფინანსებული პროექტის, EU4Digital-ის ტელეკომუნიკაციების წესების, კერძოდ, მარეგულირებლების დამოუკიდებლობის გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეჯამება იყო. ამავდროულად, ქვეყნებმა IRB EWG-ის 2023 წლის სამუშაო გეგმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს. მათ შორის, ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად, განაახლეს ინტერნეტთან წვდომის (IAS) მონიტორინგის კითხვარი და სატელეკომუნიკაციო ბაზრის ანალიზის

მეთოდოლოგიები. ასევე, განიხილეს ფართოზოლოვანი მომსახურების ტარიფების შემცირების დირექტივასთან დაკავშირებული ციფრული რუქის დანერგვის მიმართულებით განსახორციელებელი სამუშაოები. სამუშაო შეხვედრებზე კომუნიკაციების კომისიის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა კოლეგებს ბაზრის ანალიზის განახლებული წესების დანერგვასთან და რეგულირებადი ბაზრების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული პროექტის შესახებ გამოცდილება გაუზიარეს.

4. EaPeReg-ის წევრი ქვეყნების ჩართულობით დაიწყო ევროკომისიის მიერ ინიცირებული და დაფინანსებული პროგრამის, EU4Digital-ის მეორე ეტაპი, რომლის მიზანიც, პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზართან დაახლოებაა. ჩატარდა პროგრამის მეექვსე კომპონენტის - ტელეკომის წესების შესახებ შეხვედრა, სადაც განიხილეს ის მიმართულებები, რომლებიც მეორე ეტაპის განმავლობაში დაგეგმილი. კერძოდ: პროექტის გუნდი, EaPeReg-ის სპექტრის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფს, ქვეყნებისთვის 5G ტექნოლოგიისთვის შესაბამისი სიხშირული დიაპაზონების გადანაწილებისთვის გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმების შედგენაში, ასევე ფართოზოლოვან ინტერნეტ-მომსახურებებზე წვდომის შეფასება-მონიტორინგში დაეხმარება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონული ხელშეკრულების ტექსტის სრულყოფასა და რეგიონული ხელშეკრულების ხელმოწერას.

• ტელეკომუნიკაციების მნიშვნელოვანი განხილვა სინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო

სამიტის ფორუმზე - საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტის (WSIS) მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმის სესიაში - „ხელშემწყობი გარემო“, კომუნიკაციების კომისიის წევრმა ეკატერინე იმედაძემ მიიღო მონაწილეობა და ელექტრონული კომუნიკაციებისა და მედიის განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფაში, მარეგულირებელი ორგანოების როლზე ისაუბრა. მან ყურადღება ადეკვატური მარეგულირებელი გარემოს შექმნასა და ციფრული ეკო-სისტემის განვითარებაზე გაამახვილა.

• ციფრული კავშირის საერთაშორისო სამიტზე საქართველოს, როგორც ციფრული ჰაბის

ჩამოყალიბების პრესაქტივის განხილვა - კომუნიკაციების კომისიის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის თანაორგანიზებით, ციფრული კავშირის საერთაშორისო სამიტი ჩატარდა. პანელი, რომელიც საქართველოში ციფრული შესაძლებლობების განვითარების უპირატესობასა და ციფრული ჰაბის ჩამოყალიბებას მიეძღვნა, კომუნიკაციების კომისიის წევრმა ეკატერინე იმედაძემ გახსნა. მან სამხრეთ კავკასიის ციფრული დერეფნების ეკონომიკური პოტენციალის რეალიზებასა და რეგიონში ციფრული სერვისების მიწოდებელი ჰაბის ფორმირების პროცესში, სატელეკომუნიკაციო სექტორის და კომუნიკაციების კომისიის, როგორც დარგის ექსპერტისა და ზედამხედველის როლზე ისაუბრა.

სამიტი კომუნიკაციების კომისიის წევრმა ვახტანგ აბაშიძემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან, ლევან დავითაშვილთან და მსოფლიო ბანკის რეგიონალურ დირექტორთან, შარლ კორმიერთან ერთად გახსნა, რომელმაც საქართველოზე, როგორც ციფრულ ჰაბზე და ასევე, მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჩამოყალიბების პერსპექტივაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ არსებული სატელეკომუნიკაციო მაგისტრალური ინფრასტრუქტურით, ქვეყანას აქვს გარანტირებული უპირატესობა გახდეს ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის დამაკავშირებელი.

• ტელეკომ ბაზარზე კონკურენციის განვითარების ტენდენციები აშშ-ს კომერციული სამართლის

განვითარების პროგრამის ღონისძიებაზე - აშშ-ს კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებული ღონისძიების მონაწილე ამერიკელ და ევროპულ პარტნიორებს, კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა, საქართველოში ტელეკომუნიკაციების სექტორის რეგულირებისა და განვითარების ტენდენციები წარუდგინეს.

სამდღიანი ღონისძიება თემაზე „კონკურენცია ტელეკომუნიკაციების სფეროში“, კომუნიკაციების კომისიის წევრმა ნათია კუკულაძემ გახსნა, რომელმაც ტელეკომუნიკაციების სექტორში კონკურენციის მნიშვნელობასა და კონკურენციის სამართლის აღსრულების კუთხით, კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილებებზე გაამახვილა ყურადღება. ნათია კუკულაძემ ასევე, ისაუბრა კომუნიკაციების კომისიასა და კონკურენციის სააგენტოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებას უზრუნველყოფს.

როგორია კონკურენციის რეგულირება ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში, რა უფლებამოსილებები აქვს კომუნიკაციების კომისიას კონკურენციის სამართლის აღსრულების კუთხით და რა ტენდენციებია საქართველოში რეგულირებადი ბაზრებზე, ასევე როგორია კონკურენციის რეგულირება და კონკურენციის უზრუნველყოფის რა მექანიზმები არსებობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში - აღნიშნულ თემებზე სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ეკატერინე სიჭინავამ და სამართლებრივი დეპარტამენტის იურისტმა ლევან მაისურაძემ ისაუბრეს.

• ინტერნეტის ხარისხის გაზომვის ქართული კლატფორმა Sheamotsme.ge-ს წარდგენა
ინტერნეტის გაზომვის საერთაშორისო დღის ფარგლებში - კომუნიკაციების კომისიისა და მცირე და საშუალო ოპერატორების ასოციაციის ორგანიზებით, ინტერნეტის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების გაცნობის მიზნით, ონლაინ კონფერენცია ჩატარდა. ინტერნეტის გაზომვის საერთაშორისო დღის - IMD-ის მიზანი ინტერნეტის შემოწმების ეფექტიანი მექანიზმების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაა. კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში უსაფრთხო და ხარისხიანი კავშირის მნიშვნელობაზე, აუცილებლობაზე და ამ მიმართულებით თანამედროვე გამოცდილების გაზიარების საჭიროებებზე ისაუბრა. ერთ-ერთი სესია ინტერნეტის ხარისხის მონიტორინგს მიეძღვნა, სადაც კომუნიკაციების კომისიის მიერ ინტერნეტის ხარისხის კონტროლისთვის შექმნილი პლატფორმა Sheamotsme.ge სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენელმა მიხეილ ჭლამაძემ წარადგინა და პროექტის ეფექტიანობაზე ისაუბრა.

• პოლონეთის დახმარების პროექტი საქართველოს ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზრასთან დაახლოებისთვის - დასრულდა პოლონეთის დახმარების პროექტი - „Polish Aid Project“, რომლის მიზანი საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარება და ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზრასთან დაახლოება იყო. პოლონეთის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს ექსპერტების ჩართულობით, პროექტი ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცავდა თემებს: გაფართოებული ურთიერთჩართვა და IP ტრანზიტი; იურიდიული პირი აბონენტების, როგორც სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმღები პირების უფლებების დაცვა; წინასწარი (ex ante) რეგულირება, ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგია, ბაზრების გეოგრაფიული საზღვრების დადგენა და ბაზარზე არსებული კონკურენციის შეფასება; მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების დადგენის წესები.

• საუმაო შეხვედრები ლატვიის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისის ექსპერტებთან - კომუნიკაციების კომისიამ, რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის მართვის საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ლატვიის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისის (ECO) ექსპერტებს უმასპინძლა. საუმაო ვიზიტი, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციონალური განვითარების, ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) პროექტის ფარგლებში გაიმართა.

• ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის საუმაო ჯგუფის შეხვედრები - 2022 წელს კომუნიკაციების კომისიის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, სერგო შავგულიძემ მონაწილეობა მიიღო ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) საუმაო ჯგუფის შეხვედრებში, სადაც მიწისზედა მობილურ მომსახურებასთან ერთად, ფიქსირებულ სამსახურებთან უსადენო დაშვების, სამოყვარულო და სამოყვარულო-თანამგზავრული მომსახურებების და ასევე, საზღვაო მობილური მომსახურების საკითხები განიხილეს.

• თანამშრომლობა კოლეგა მარეგულირებელ ორგანოებთან - 2022 წლის განმავლობაში კომუნიკაციების კომისია აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების კუთხით. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებები აშშ-ს ფედერალურ კომუნიკაციების კომისიასთან (FCC), ლიეტუვას რადიოსა და ტელევიზიის კომისიასთან (RTCL) და სომხეთის რესპუბლიკის TV-რადიო კომისიასთან. შეთანხმებების მიზანს, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუნჯებლობის დარგების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, საუკეთესო პრაქტიკის, მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების, სტანდარტებისა და შემუშავებული მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაცვლა წარმოადგენს.

2022 წელს, მომსახურების გაუმჯობესებისთვის, თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა კომუნიკაციების კომისიასა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკ) შორის. შეთანხმების მიზანია, ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა ორივე მარეგულირებლის მიერ და ამ მიმართულებით ეფექტიანობის გაზრდა.

მომხმარებელთა უფლებების ეფექტიანად დაცვის მიზნით, 2022 წელს პირველად ჩატარდა ქვეყანაში მოქმედი მარეგულირებელი ორგანოების ერთიანი კონფერენცია, თემაზე „კონკურენცია და მომხმარებელთა უფლებები“. კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ვახტანგ აბაშიძემ კოლეგებთან ერთად, ღონისძიება გახსნა და ტელეკომუნიკაციების სექტორში კონკურენციის მნიშვნელობასა და კონკურენციის სამართლის აღსრულების კუთხით, კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილებებზე გაამახვილა ყურადღება. ასევე, ისაუბრა კომუნიკაციების კომისიისა და კოლეგა მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებას უზრუნველყოფს.

• ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი საქართველოში - კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ახალგაზრდული ფორუმი, საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის მე-8 ფორუმი - GeolGF 2022 და ქსელური ოპერატორების ფორუმი - NOG-2022 გაიმართა. ახალგაზრდული ფორუმის მიზანს ინფორმაციული უსაფრთხოების, მედიაინჟინერებისა და კომუნიკაციების სფეროს შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება და მათი ჩართულობის ხელშეწყობა წარმოადგენდა. GeolGF 2022-სა და NOG-2022-ზე დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი თემები და გამოწვევები იყო განხილული. მათ შორის: ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, საქართველოში მედია და ინფორმაციული წიგნიერების განვითარება, ინფორმაციული უსაფრთხოება, დეზინფორმაცია, საავტორო უფლებებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ასევე, საქართველოსა და რეგიონის საერთაშორისო შეერთების გამოწვევები.

• სამეცნიერო დისკუსია 5G-ის თემაზე - კომუნიკაციების კომისიისა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) ორგანიზებით, 5G ტექნოლოგიის დანერგვასა და პერსპექტივებზე სამეცნიერო დისკუსია გაიმართა. კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ საქართველოში 5G ქსელის დანერგვისა და ხელშეწყობის შესახებ ისაუბრა, ხოლო კომუნიკაციების კომისიის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი სანდრო ქარუმიძე შეხვედრაზე 5G-ის სპექტრისა და ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიური განვითარების თემით წარსდგა. კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს, თუ რა კეთდება საქართველოში 5G ქსელის დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით, რა პერსპექტივა აქვს საქართველოში ახალი თაობის ტექნოლოგიის განვითარებას.

• უსაფრთხო ინტერნეტის დღე საქართველოში - უსაფრთხო ინტერნეტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება პარტნიორებთან ერთად, კომუნიკაციების კომისიის წევრმა ივანე მახარაძემ გახსნა, რომელმაც ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების გამოწვევებზე, ასევე ყალბ ინფორმაციასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით კომუნიკაციების კომისიის როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა. კომუნიკაციების კომისიის წევრმა საზოგადოებას მედიაინჟინერების განვითარების მიზნით, კომუნიკაციების კომისიის პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ მედიაინჟინერების უნარ-ჩვევების განვითარება კომუნიკაციების კომისიის მთავარ პრიორიტეტად რჩება.

• ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმი საქართველოში - 2022 წელს კომუნიკაციების კომისიაში საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმის ფარგლებში, ტელეკომ სფეროსა და მედიაინჟინერების მიმართულებით, პანელური დისკუსიები გაიმართა. ღონისძიება USAID-ის ეკონომიკური მმართველობის მხარდაჭერით, კომუნიკაციების კომისიისა და საქართველოს ICT კლასტერისა და ციფრული ტრანსფორმაციის საქართველოს კონსორციუმის ორგანიზებით ჩატარდა. პანელურ დისკუსიებზე საქართველოში ტელეკომ ბაზრის გახსნისა და ქვეყანაში მედიაინჟინერების განვითარების მნიშვნელობაზე სფეროს წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა საკუთარი მოხსენებები წარადგინეს. პირველი პანელური დისკუსია, რომელიც კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ და საქართველოს ICT კლასტერის ხელმძღვანელმა, დავით კიზირიამ გახსნეს, ქვეყანაში ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში სატელეკომუნიკაციო სექტორის როლსა და განვითარების პერსპექტივებს ეხებოდა. პანელის ფარგლებში განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორებიცაა ციფრული ჰაბი და საქართველოში რეგიონის უსაფრთხო ციფრული კორიდორის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, 5G ტექნოლოგიის დანერგვისა და ბაზარზე ვირტუალური ოპერატორების დაშვების საჭიროებები და ხედვა, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონებში, საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის მიმდინარეობა და ინოვაციური ციფრული პლატფორმები საქართველოში. დისკუსიაში მონაწილეობა მსოფლიო ბანკის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, „ოუენ ნეტის“, MVNO ასოციაციის, GITA-ს, მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაციის, ასევე მონაცემთა ანალიზის ლაბორატორიის წარმომადგენლებმა მიიღეს. დისკუსიის ფარგლებში მონაწილეებმა ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები განხილეს.

მეორე პანელი საინფორმაციო ერაში მედიაინჟინერების როლის მნიშვნელობას მიეძღვნა, რომელიც კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ გახსნა. აღნიშნულ პანელზე განხილული იყო თემები მედიაინჟინერების მიმართულებით. მათ შორის: რა სიკეთეები და გამოწვევებია ქვეყანაში მედიაინჟინერების განვითარების კუთხით, როგორია მედიაინჟინერების როლი სამოქალაქო განათლებასა და სასწავლო პროცესში, რა ქმედითი ნაბიჯებია გადადგმული მედიაინჟინერების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისთვის, რა როლი აქვს მედიაინჟინერებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით. მონაწილეებმა დისკუსიის ფარგლებში, ციფრული წიგნიერებისა და კიბერეთიკის მიმართულებით განხორციელებული პროექტები შეაჯამეს. აღნიშნულ პანელში მონაწილეობა კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებთან ერთად, პარტნიორებმა, მათ შორის, გაეროს ბავშვთა განვითარების ფონდის (UNICEF), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, მედიააკადემიის, ჯეოლაბის, PH International-ისა და BTU-ს წარმომადგენლებმა მიიღეს. ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმის ფარგლებში, 5 დღიანი ღონისძიება ოთხ ძირითად თემაზე ჩატარდა, კერძოდ: სამთავრობო ტექნოლოგიები და ციფრული ტრანსფორმაცია, საფინანსო ტექნოლოგიები, განათლება, მედიაინჟინერება და კომუნიკაციები.

• მარეგულირებადი ორგანოების ეროვნული პლატფორმის კონფერენციაში მედიის რეგულირებისა და მედიანიგნიერების თემაზე - 2022 წელს კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა მარეგულირებელი ორგანოების ეროვნული პლატფორმის (EPRA) ყოველწლიურ შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის: კომუნიკაციების კომისიის წევრი, ივანე მახარაძე კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებთან ერთად, EPRA-ს 55-ე შეხვედრას დაესწრო, სადაც არასრულწლოვნებზე რეკლამის მავნე ზეგავლენის საკითხი განიხილეს. EPRA-ს წევრმა ორგანიზაციებმა ვრცლად იმსჯელეს მედიის თავისუფლების მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს დეზინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, განსაკუთრებით კი კონფლიქტის პირობებში. ასევე, განიხილეს მედიის მარეგულირებელი ორგანოების მნიშვნელობა ციფრულ გარემოში. შეხვედრაში მონაწილე დელეგატებმა როგორც ტრადიციული, ისე ონლაინ მედიის რეგულირებასთან დაკავშირებით გაცვალეს ინფორმაცია და გამოცდილება. შეხვედრის ფარგლებში, ცალკე სესია ახალი აუდიოვიზუალური დირექტივის (AVSMD) განხორციელების კონტექსტში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებასა და ამ პროცესში სირთულეებისა და გამომწვევების თაობაზე ინფორმაციის გაზიარებას დაეთმო.

EPRA-ს 56-ე შეხვედრაში მონაწილეობა კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ, მედიანიგნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, მარიამ დახუნდარიძემ და აუდიო-ვიზუალური მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა, კონსტანტინე ქორიძემ მიიღეს. შეხვედრა მედიანიგნიერების განვითარებას, მარეგულირებლების როლსა და მედიანიგნიერების ხელშეწყობის მექანიზმებს ეხებოდა. მედიანიგნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, მარიამ დახუნდარიძემ, 47 ქვეყნის 150 წარმომადგენელს, გლობალური მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების კვირეულის ფარგლებში, საქართველოში დაგეგმილი ღონისძიებები წარუდგინა, რომელიც EPRA-ს საბჭოს წევრებმა მედიანიგნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და განვითარების ხელშეწყობის საუკეთესო მაგალითად შეაფასეს. შეხვედრის ფარგლებში, ქვეყნების წარმომადგენლებმა ასევე, ისაუბრეს ახალი აუდიოვიზუალური დირექტივის (AVSMD) განხორციელების კონტექსტში ვიდეო-გაზიარების პლატფორმების (VSPs) რეგულირების, ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებისა და ამ პროცესში არსებული გამომწვევების შესახებ.

• მედიაგარემოს შეფასება - შეხვედრა ეუთოს წარმომადგენლებთან - 2022 წელს კომუნიკაციების კომისიის წევრი, ივანე მახარაძე მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენელს, ტერეზა რიბერიოს შეხვდა, რომელსაც საქართველოში არსებულ მედიაგარემოზე მიაწოდა ინფორმაცია. ასევე, გააცნო ის შედეგები, რაც ქვეყანას მედიის თავისუფლების მიმართულებით აქვს. ამასთან, შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს.

• სენატორების ვიზიტი კომუნიკაციების კომისიაში - კომუნიკაციების კომისიამ ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის მედიის კომიტეტის დელეგაციას უმასპინძლა. სენატის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, ირჟი რუსიკკას, კომუნიკაციების კომისიის წევრები: ვახტანგ აბაშიძე, ივანე მახარაძე და ნათია კუკულაძე შეხვდნენ. შეხვედრაზე საქართველოში არსებულ მედიაგარემოს შესახებ ისაუბრეს. კომუნიკაციების კომისიის წევრებმა ჩეხ სენატორებს მედიის მიმართულებით კომუნიკაციების კომისიის საქმიანობისა და პრიორიტეტების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. მხარეებმა დეტალურად განიხილეს მედიის თავისუფლების კუთხით მიღწეული შედეგები და საზოგადოებაში მედიანიგნიერების განვითარების მნიშვნელობა. ყურადღება გამახვილდა მედიაში არსებულ გამომწვევებსა და გეგმებზე, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობაზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გაესვა ხაზი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების აუცილებლობას, რაც აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების დირექტივასთან მიახლოებას გულისხმობს.

• UNICEF-ისა და USAID-ის კონფერენცია მედიანიგნიერების თემაზე - კომუნიკაციების კომისიამ გაეროს ბავშვთა ფონდისა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო, რომელიც ახალგაზრდებში მედიანიგნიერების განვითარებასა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. კონფერენციაზე USAID-ის ფინანსური დახმარებით განხორციელებული პროექტები განიხილეს და შეაჯამეს. კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ UNICEF-ისა და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რომელსაც კომუნიკაციების კომისია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდთან პარტნიორობით, ფორმალურ განათლებაში მედიანიგნიერების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს. მედიანიგნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მარიამ დახუნდარიძემ, UNICEF-ისა და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი პროექტის შესახებ მიაწოდა მონაწილეებს ინფორმაცია.

• ერთობლივი პროექტები და თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან - 2022 წელი მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. კომუნიკაციების კომისიასა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს (KIU) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. თანამშრომლობის ფარგლებში, მხარეები საერთაშორისოდ აღიარებულ სასწავლო და სამეცნიერო რესურსებს გააზიარებენ, ხოლო, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების თანამონაწილეობით, სტუდენტებისა და ლექტორებისთვის სასწავლო სესიები, სემინარები და კონფერენციები ჩატარდება. სტუდენტების ჩართულობით, ასევე, განხორციელდება ერთობლივი პროექტები, როგორც თანამედროვე ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ისე მედიანინჟინერების მიმართულებებით. მედიანინჟინერების განვითარების ფარგლებში, კომუნიკაციების კომისია და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ციფრული მედია პროდუქტებისა და მედია სტარტაპ პროექტების კუთხითაც ითანამშრომლებენ, სადაც მნიშვნელოვან როლს კომუნიკაციების კომისიის მედიალაბი შეასრულებს.

2022 წელს კომუნიკაციების კომისიის პარტნიორ უნივერსიტეტებს, რომლებსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (BTU) წარმოადგენდნენ, ევროპის უნივერსიტეტი შეუერთდა. ევროპის უნივერსიტეტში, ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის, მედია და ინფორმაციული ინჟინერება, როგორც დამატებითი არჩევითი საგანი შევიდა. საინფორმაციო ცენტრთან, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ თანამშრომლობით, კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელი აქტიურად ატარებს საგანმანათლებლო სემინარებს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტებისთვის.

• მედიანინჟინერების მასტერკლასი ვებსტარის უნივერსიტეტში - კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ ვებსტარის უნივერსიტეტის პროფესორთან, ტომას კლეინერთან ერთად, ვებსტარის უნივერსიტეტის საქართველოს კამპუსში მედია კომუნიკაციების თემაზე მასტერკლასი ჩაატარა. სასწავლო სემინარის ფარგლებში, ნათია კუკულაძემ სტრატეგიული კომუნიკაციებისა და მედიანინჟინერების მნიშვნელობაზე ისაუბრა და კრიზისული კომუნიკაციის დროს სტრატეგიული კომუნიკაციების განსაკუთრებულ როლზე გაამახვილა ყურადღება. მასტერკლასის ერთ-ერთ მთავარ თემას დეზინფორმაცია და ყალბი ინფორმაცია წარმოადგენდა.

**ტექნოლოგიების განვითარების
პროსპექტივებზე საგანმანათლებლო
ლიტერატურის მხარდაჭერა**


2022 წელს კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერით, აპარატის მრჩეველთა საბჭოს წევრების ავტორობით, თანამედროვე ტექნოლოგიების სტანდარტებისა და საკომუნიკაციო ქსელის განვითარების, არსებული გამოწვევების, 5G და 6G ქსელების განვითარებისა და უსაფრთხოების შესახებ წიგნები გამოიცა. კერძოდ: სერგო შავგულიძის თანაავტორობით - „გზა 6G-მდე: გამოწვევები კომუნიკაციების ინჟინერებისთვის“ და „უსაფრთხოების ახალი ტექნოლოგიები 6G ქსელებისთვის“ - სამეცნიერო და სახელმძღვანელო წიგნებში მიმოხილულია ევოლუცია არსებული 5G ქსელებიდან მომავალი 6G ქსელებამდე. შესწავლილია ისეთი განვითარებადი ტექნოლოგიები და თემები, როგორიცაა: ხელოვნური ინტელექტი, უპილოტო საფრენი აპარატები, ფართომასშტაბიანი თანამგზავრული თანავარსკვლავედები. წარმოდგენილია 6G ქსელების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური ტენდენციები, საფრთხეები, გადაწყვეტილებები და ფიზიკური ფენის უსაფრთხოების როლი კონტექსტით გაცნობიერებული უსაფრთხოებისთვის 6G ქსელებში.

ტელეკომუნიკაციის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის გამოიცა რევაზ სვანიძის სახელმძღვანელო „გადაცემის ციფრული ბოჭკოვანი-ოპტიკური სისტემები და ტექნოლოგიები⁶⁹“, რომელიც გადაცემის ბოჭკოვან - ოპტიკური სისტემებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით ქართულ და საერთაშორისო ჟურნალებში ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო კვლევებს მოიცავს. ასევე, რევაზ სვანიძის ავტორობით გამოიცა წიგნი „5G მობილური ტექნოლოგიები და ელექტრომაგნიტური გამოსხივება“, სადაც 5G მობილური ტექნოლოგიის მახასიათებლები, ტექნოლოგიის დანერგვის, მობილური სადგურებისა და მობილური ტელეფონების ელექტრომაგნიტური გამოსხივების, მათი ეკოლოგიისა და ადამიანზე მავნე ზეგავლენის საკითხებია განხილული.

⁶⁹ელექტრონული სახელმძღვანელო - „გადაცემის ციფრული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემები და ტექნოლოგიები“ - <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/429531?mode=full>

დანართი 1

კომუნიკაციების კომისიის სტრუქტურა



2022 წლის ფაქტიური

სულ შემოსავლები	14,880,109
შემოსავალი რეგულირების საფასურიდან	10,953,196
შემოსავალი რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან	3,348,704
სხვა შემოსავლები	578,209
სულ ხარჯები	12,088,477
კაპიტალური დანახარჯები	379,975
შრომის ანაზღაურების ხარჯები	7,244,472
მივლინების ხარჯები	275,858
მომსახურების ხარჯები	493,712
ელექტრონული მომსახურების ხარჯები	198,883
საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	181,870
კომუნიკაციის ხარჯები	35,004
კომუნალური ხარჯები	109,273
საკანცელარიო ხარჯები	7,285
დაცვის ხარჯები	146,160
საწვავის ხარჯი	79,284
საწევრო ხარჯები	24,933
რემონტისა და შენახვის ხარჯები	177,913
სხვა ხარჯები	18,633
წარმომადგენლობითი ხარჯები	80,041
საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	251,867
მედიანგინიერება	2,383,315
მედიანგინიერების ხარჯები	456,511
ა(ა)იპ მედიააკადემია	1,926,804

2023 წლის გეგმა

სულ შემოსავლები და რეზერვი	17,935,000
შემოსავალი რეგულირების საფასურიდან	10,750,202
შემოსავალი რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან	2,968,027
სხვა შემოსავლები	558,772
სარეზერვო ფონდი	3,658,000
სულ ხარჯები	17,935,000
კაპიტალური დანახარჯები	1,201,331
შრომის ანაზღაურების ხარჯები	8,701,626
მივლინების ხარჯები	315,492
მომსახურების ხარჯები	1,258,161
ელექტრონული მომსახურების ხარჯები	250,655
საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	222,564
კომუნიკაციის ხარჯები	42,344
კომუნალური ხარჯები	114,810
საკანცელარიო ხარჯები	10,243
დაცვის ხარჯები	182,160
საწვავის ხარჯი	80,149
საწევრო ხარჯები	20,237
რემონტისა და შენახვის ხარჯები	243,839
სხვა ხარჯები	20,888
წარმომადგენლობითი ხარჯები	145,385
გაუთვალისწინებელი ხარჯები	25,072
საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	243,518
მედიანგინიერება	4,856,528
მედიანგინიერების ხარჯები	1,697,028
ა(ა)იპ მედიააკადემია	3,159,500

დანართი 3

მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა

2022 წელს კომუნიკაციების კომისიასთან არსებულმა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოსახლეობასთან 100-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა, სადაც მომხმარებლებს მათი უფლებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიწოდებოდა. შედეგად, გასულ წელს, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ყველაზე მეტი - 1227 განცხადება/საჩივარი შევიდა⁷⁰, რაც გაცილებით მეტია წინა წლებთან შედარებით. მათი უმრავლესობა წინა წლის მსგავსად, ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანებასა და მომსახურების შეზღუდვას ეხებოდა.

2022 წლის თემატურად წარმოდგენილი საჩივრების სტატისტიკა⁷¹

თემატიკა	რაოდენობა
ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანება და მომსახურების შეზღუდვის ან/და შეწყვეტის პირობები	375
სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება	188
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	174
სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა	131
მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე და სადავო დავალიანება	62
მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება	39
საანძო მეურნეობების განთავსების/ექსპლუატაციაში შეყვანის შედეგად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში რადიაციული დასხივება	13
სააბონენტო ნომრის გასხვისება	10
არასასურველი კომერციული მოკლე ტექსტური შეტყობინებები (SPAM)	10
სხვა	202

⁷⁰ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში momkhmarebeli.comcom.ge

⁷¹ საერთო და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდროულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა

2022 წელს, Sheamotsme.ge-ს ფარგლებში, ინტერნეტის ხარისხის შესახებ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში მხოლოდ 42 საჩივარი შევიდა, საიდანაც ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის ჩართულობით, დაკმაყოფილდა 21, ხოლო 21 საჩივარი დახარვეზდა. საჩივრების უმრავლესობა თბილისში, ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიასთან დაკავშირებით იყო.

დაფიქსირებული საჩივრები ტექნოლოგიების მიხედვით:

• ოპტიკურ-ბოჭკოვანი	37
• ფიქსირებული უსადენო	3
• DSL	2

დაფიქსირებული საჩივრები კომპანიების მიხედვით:

• გაბთიკომი	23
• სილქნეტი	12
• ორდუნეტი	2
• სქაიბელი	1
• ეარ ლაინი	1
• სიზნეტი	1
• ულტრა სერვისი	1
• ნიუ ნეტი	1

დაფიქსირებული საჩივრები რეგიონების მიხედვით:

• თბილისი	21
• ბათუმი	7
• ოზურგეთი	4
• ქუთაისი	3
• ხობი	2
• კასპი	1
• ხულო	1
• გურჯაანი	1
• ფოთი	1
• ადიგენი	1

დანართი 4

ლიცენზირება და ავტორიზაცია, თანხმობა წილებისა და აქტივების გასხვისებაზე

- გამოცხადდა 6 კონკურსი კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად;
- გაიცა ერთი კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზია;
- მოდიფიცირდა სათემო რადიომაუწყებლობის ერთი ლიცენზია;
- ვადა გაუგრძელდა კერძო რადიომაუწყებლობის 3 ლიცენზიას;
- გაუქმდა სათემო რადიომაუწყებლობის ერთი ლიცენზია;
- გაუქმდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ერთი ლიცენზია.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- მაუწყებლობაზე ავტორიზაცია გაიარა 5-მა იურიდიულმა პირმა;
- მოდიფიცირდა 5 იურიდიული პირის მაუწყებლობის ავტორიზაცია;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე მაუწყებლობაზე ავტორიზაცია შეუჩერდა 2 იურიდიულ პირს;
- მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაცია ვერ გაიარა 2-მა იურიდიულმა პირმა.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- ავტორიზაცია გაიარა 19-მა იურიდიულმა პირმა;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე ავტორიზაცია გაუქმდა 9 იურიდიულ პირს;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე ავტორიზაცია შეუჩერდა 10 იურიდიულ პირს;
- კომუნიკაციების კომისიის ინიციატივით ავტორიზაცია შეუჩერდა 7 იურიდიულ პირს;
- ავტორიზებადი საქმიანობისთვის გაიცა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის 46 უფლება;
- არაავტორიზებადი საქმიანობისთვის გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 151 უფლება;
- ავტორიზებადი საქმიანობისთვის, დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 7 უფლება, ხოლო მაუწყებლებზე გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 3 უფლება;
- განუხილველად დარჩა 6 კომპანიის განცხადება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ;
- გაუქმდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 5 უფლება;
- სახმობი ნიშანი მიენიჭა 68 რადიომოყვარულს;
- ცვლილებები შევიდა სიხშირეების მინიჭების 3 და რადიომოყვარულისთვის სახმობის მინიჭების 2 გადაწყვეტილებაში;
- სახმობი და ამოცნობის ნიშანი მიენიჭა 14 საზღვაო ხომალდს.

2022 წელს ავტორიზებულ პირთან შერწყმის, ასევე ავტორიზებული პირის წილის, აქციებისა და საოპერაციო აქტივების შეძენაზე კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით გაიცა 18 თანხმობა:

- ავტორიზებული პირის წილის (აქციები) შეძენაზე - 16 თანხმობა;
- ავტორიზებული პირის საოპერაციო აქტივის შეძენაზე - 1 თანხმობა;
- ავტორიზებულ პირთან შერწყმაზე - 1 თანხმობა.

დანართი 5

რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა და თავისუფალი სიხშირული რესურსი

მომხმარებლებისთვის ინოვაციური მომსახურების მიწოდებისა და ქვეყანაში თანამედროვე რადიოსიხშირული სისტემების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ 2022 წლის ივნისში რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა განაახლა⁷².

ცვლილებები ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციაზე (WRC-19) მიღებული ფინალური აქტების, ფოსტის, ტელეკომუნიკაციების ევროპის კონფერენციისა (CEPT) და ელექტრონული კომუნიკაციის კომიტეტის (ECC) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, ასევე ევროკომისიის გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადდა.

განახლებული ეროვნული გეგმა ახალი ტექნოლოგიებისთვის, მათ შორის 5G ქსელების განვითარებისთვის ახალი სიხშირული დიაპაზონების გამოყოფას მოიცავს. ასევე გათვალისწინებულია ფიქსირებული უსადენო ინტერნეტის ფუნქციონირებისთვის დამატებითი სიხშირული ზოლი. სპეციფიკური თანამგზავრული მომსახურებისთვის განისაზღვრა დიაპაზონები, დაბუსტდა ტექნოლოგიური სტანდარტები და მომსახურებების სახეობები.

მათ შორის:

- 5G მობილური კავშირგაბმულობისთვის (IMT-2020) ჰარმონიზებულ იქნა გლობალური მასშტაბით სიხშირული რესურსი 24.25-27.5 გჰც.; განისაზღვრა ტექნიკური პარამეტრების სპექტრის სხვა მომხმარებლებთან თანაფუნქციონირების მიზნით;
- 5 150 - 5 250 მგჰც ზოლში RLAN-ის გამოყენებასთან დაკავშირებით შემსუბუქდა ტექნიკური პირობები. ასევე, განისაზღვრა ახალი ზოლი მე-6 თაობის RLAN-ის ფუნქციონირებისთვის 5945 - 6425 მგჰც;
- 31.0 - 31.3 გჰც და 38 - 39.5 გჰც ზოლები განისაზღვრა დიდი სიმაღლის პლატფორმაზე მოქმედი სადგურებისთვის, ე.წ. HAPS (დიდი სიმაღლეზე მოძრავი თვითმფრინავები და დრონები);
- 17.7 - 19.7 გჰც და 27.5 - 29.5 გჰც სიხშირული ზოლები, ასევე, გამოყენებული იქნება თვითმფრინავებისა და გემების ბორტებზე არსებული მოწყობილობების (ESIM) მიერ გეოსტაციონარულ ორბიტაზე (GSO) არსებულ თანამგზავრებთან ფართოზოლოვანი კავშირისთვის;
- საზღვაო მობილური თანამგზავრული მომსახურებისთვის (MMSI), პირველადი გამოყენების საფუძველზე, განისაზღვრა 1 621.35 - 1 626.5 მგჰც ზოლი, რომელიც გამოყენებული იქნება სამაშველო და გასაჭირში მყოფი ეკიპაჟისთვის GMDSS სიგნალების გადასაცემად.

დანართი 6

კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები

N1, 13.01.22 - „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - 5G ტექნოლოგიის განვითარების მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ მიიღო ეფექტიანი გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ახალი ტექნოლოგიისთვის განკუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ხელმისაწვდომობას, ასევე ლიცენზიების დროულ გაცემასა და ფინანსურ შეღავათებს. ევროკომისიის რეკომენდაციით, კომუნიკაციების კომისიამ მიიღო დადგენილება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობისთვის ფასდაკლების დაწესებაზე, რომელიც 5-20%-დან 80%-მდე გაიზარდა. ცვლილების შესაბამისად, ოპერატორებს ახალი ტექნოლოგიების დასაწერად საჭირო ხარჯები მნიშვნელოვნად შეუმცირდებათ, რაც 5G ტექნოლოგიისა და ციფრული სერვისების დანერგვის პროცესს დააჩქარებს.

⁷²რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა - <https://www.comcom.ge/ge/legal-acts/resolutions/2022-3-.page>

N2, 09.06.22 - „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების ჯეროვნად დაცვის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლითაც განახლდა მომსახურების მიწოდების მიერ მომხმარებლის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის პირობები. ცვლილების შედეგად, განისაზღვრა როგორც ყველა ის ინფორმაცია და მონაცემი, რომელიც საჭიროა მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების დასაცავად, ისე აღნიშნულ მონაცემთა შენახვის ვადები. ცვლილება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მომსახურების მიწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის დავის შემთხვევაში დავის გადაწყვეტისთვის საჭირო ინფორმაციის გარანტირებულად დაცვას, ხოლო მეორე მხრივ, მომსახურების მიწოდებლებს დაავალდებულებს ინფორმაციის შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, გაანადგურონ მომხმარებლის შესახებ მათთან დაცული ინფორმაცია, რათა არ დაუშვან პერსონალური მონაცემების არამართლზომიერი დამუშავება.

N3, 16.06.22 - „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მომხმარებლებისთვის ინოვაციური მომსახურების მიწოდებისა და ქვეყანაში თანამედროვე რადიოსიხშირული სისტემების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, განახლდა რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა. განახლებული ეროვნული გეგმა მოიცავს ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, 5G ქსელების განვითარებისთვის ახალი სიხშირული დიაპაზონების გამოყოფას. ფიქსირებული უსადენო ინტერნეტის ფუნქციონირებისთვის, დამატებით გათვალისწინებულია ახალი სიხშირული ზოლი. ასევე, განისაზღვრა დიაპაზონები სპეციფიკური თანამგზავრული მომსახურებისთვის და დაზუსტდა ტექნოლოგიური სტანდარტები/მომსახურებების სახეობები.

N4, 23.06.22-„სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - მომხმარებლებისთვის მობილური და ფიქსირებული სატელეფონო ნომრების პორტირების გამარტივების მიზნით, პორტირების წესები განახლდა. ნომრების პორტირება მომხმარებლის ერთი კომპანიის მომსახურების მეორით ჩანაცვლებას სატელეფონო ნომრის ცვლილების გარეშე ითვალისწინებს.

განახლებული წესების მიხედვით, მობილური ნომრის პორტირებისას, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს სასურველი მობილური ოპერატორის სერვისცენტრში მისვლის გარეშე, დისტანციურად გააკეთოს პორტირების განაცხადი და ახალი ოპერატორის სიმბარათი მის მიერ მითითებულ მისამართზე მიიღოს. განაცხადის გაკეთებამდე მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება „ცხელი ხაზის“ მეშვეობით მიიღოს ინფორმაცია პორტირების შემაფერხებელი გარემოებების არსებობის შესახებ.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ფიქსირებული ნომრის ახალ ქსელში პორტირებისას შეეძლება შეინარჩუნონ სატელეფონო ნომერი ქსელის ტექნოლოგიის ცვლილების მიუხედავად - იქნება ეს ტრადიციული, ინტერნეტ, ფიჭური თუ სხვა ტექნოლოგიით მომუშავე ფიქსირებული სატელეფონო ნომერი.

ცვლილებები ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა და ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის შესაბამისად მომზადდა.

49. მოსარჩელე: შპს „რკინიგზის ტელეკომი“

დავის საგანი: შპს „რკინიგზის ტელეკომის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 19 მარტის Nგ-20-18/346 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

50. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი“

დავის საგანი: „შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 25 ივნისის Nგ-20-18/527 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 270000 ლარის ოდენობით, კომუნიკაციების კომისიის თანხმობის მოპოვების გარეშე წილის გასხვისებისა და სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო
სტატუსი: მიმდინარე

51. მოსარჩელე: შპს „რკინიგზის ტელეკომი“

დავის საგანი: შპს „რკინიგზის ტელეკომის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 25 ივნისის Nგ-20-18/526 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

52. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი“

დავის საგანი: „შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს Nგ-20-18/652 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 270000 ლარის ოდენობით, კომუნიკაციების კომისიის თანხმობის მოპოვების გარეშე წილის გასხვისებისა და სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო
სტატუსი: მიმდინარე

53. მოსარჩელე: შპს „რკინიგზის ტელეკომი“

დავის საგანი: შპს „რკინიგზის ტელეკომის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს Nგ-20-18/646 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

54. მოსარჩელები: შპს „კავკასუს ონლაინი“ და შპს „რკინიგზის ტელეკომი“

დავის საგანი:

- შპს „კავკასუს ონლაინის“ (ს/კ 211380833) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს Nგ-20-12/649 გადაწყვეტილება;
- შპს „რკინიგზის ტელეკომის“ (ს/კ 202239737) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს Nგ-20-12/651 გადაწყვეტილება;

სტატუსი: მიმდინარე (კომუნიკაციების კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ გააერთიანა ორი საქმე)

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ შეაჩერა საქმის წარმოება სასამართლოში მიმდინარე სხვა დავებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სტატუსი: მიმდინარე

55. მოსარჩელე: „ინტერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს ლიმიტედ“

დავის საგანი: შპს „კავკასუს ონლაინის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის პირველი ოქტომბრის Nგ-20-18/747 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

56. მოსარჩელე: „ნელგადო ლიმიტედ“

დავის საგანი: შპს „კავკასუს ონლაინის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის პირველი ოქტომბრის Nგ-20-18/747 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

57. მოსარჩელე: „ინტერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს ლიმიტედ“
დავის საგანი: შპს „კავკასუს ონლაინის“ (ს/კ 211380833) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის Nგ-20-12/749 გადაწყვეტილება
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუშვებლად ცნო სარჩელი და შეწყვიტა საქმის წარმოება. გასაჩივრებადია სააპელაციო სასამართლოში.
სტატუსი: მიმდინარე

58. მოსარჩელე: შპს „რკინიგზის ტელეკომი“
დავის საგანი: შპს „რკინიგზის ტელეკომის“ (ს/კ 202239737) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის Nგ-20-12/750 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

59. მოსარჩელე: „ვეკო ინვესტიმენტ ენდ ფაინანს ეს ეი“
დავის საგანი: შპს „კავკასუს ონლაინის“ (ს/კ 211380833) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის Nგ-20-12/749 გადაწყვეტილება
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუშვებლად ცნო სარჩელი და შეწყვიტა საქმის წარმოება. გასაჩივრებადია სააპელაციო სასამართლოში
სტატუსი: მიმდინარე

60. მოსარჩელე: შპს „სერვისბოქსი“
დავის საგანი: შპს „ახტელის“ და შპს „ახალი ქსელების“ მიმართ შპს „სერვისბოქსის“ საჩივრების განხილვის თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 8 აპრილის Nგ-21-16/225 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

61. მოსარჩელე: „ვეკო ინვესტიმენტ ენდ ფაინანს ეს ეი“
დავის საგანი: „შპს „კავკასუს ონლაინის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 20 მაისის Nგ-21-18/291 გადაწყვეტილება
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუშვებლად ცნო სარჩელი და შეწყვიტა საქმის წარმოება. გასაჩივრებადია სააპელაციო სასამართლოში.
სტატუსი: მიმდინარე

62. მოსარჩელე: „ინტერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს ლიმიტედ“
დავის საგანი: „შპს „კავკასუს ონლაინის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 20 მაისის Nგ-21-18/291 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

63. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი“
დავის საგანი: „შპს „კავკასუს ონლაინის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 20 მაისის Nგ-21-18/291 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

64. მოსარჩელე: შპს „რკინიგზის ტელეკომი“
დავის საგანი: „შპს „რკინიგზის ტელეკომის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 20 მაისის Nგ-21-18/293 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

65. მოსარჩელე: „ვეკო ინვესტიმენტ ენდ ფაინანს ეს ეი“
დავის საგანი: „შპს „რკინიგზის ტელეკომის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 20 მაისის Nგ-21-18/293 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

66. მოსარჩელე: ნასიბ ჰასანოვი
დავის საგანი: არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური შინაარსის განცხადებების უარყოფა და სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის კომუნიკაციების კომისიის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში გამოქვეყნება
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ, კომუნიკაციების კომისიის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2022 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება გააუქმა და არ დააკმაყოფილა ნასიბ ჰასანოვის სარჩელი, ასევე, არ დააკმაყოფილა მისი შეგებებული სააპელაციო საჩივარი. გასაჩივრებადია საქართველოს უზენაეს სასამართლოში
სტატუსი: მიმდინარე
67. მოსარჩელე: შპს „რკინიგზის ტელეკომი“
დავის საგანი: „შპს „რკინიგზის ტელეკომისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 15 ოქტომბრის Nგ-21-18/568 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე
68. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი“
დავის საგანი: „შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 15 ოქტომბრის Nგ-21-18/570 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე
69. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი“
დავის საგანი: „შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის Nგ-22-18/87
სტატუსი: მიმდინარე
70. მოსარჩელე: შპს „რკინიგზის ტელეკომი“
დავის საგანი: „შპს „რკინიგზის ტელეკომის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის Nგ-22-18/86 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე
71. მოსარჩელე: შპს „TV-21“
მოპასუხეები: შპს „BATUMI MEDIA GROUP“, კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება
შედეგი: მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი, საქმის წარმოება შეწყდა
72. მოსარჩელე: შპს „BATUMI MEDIA GROUP“,
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 06.02.14 N75/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
სტატუსი: მიმდინარე
73. მოსარჩელე: ა(ა)იპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“
დავის საგანი: „ა(ა)იპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის შესახებ“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 30 დეკემბრის №21- 18/745 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა
74. მოსარჩელე: შპს „ახალი ქსელები“ და შპს „ახტელი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2016 წლის 12 აპრილის N232/18 გადაწყვეტილება შპს „ახალი ქსელებისა“ და შპს „ახტელისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. შპს TECH-NOMAX-ის არამართლზომიერ გატარებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები
შედეგი: პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში
სტატუსი: მიმდინარე
75. მოსარჩელე: შპს „BATUMI MEDIA GROUP“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 11 მაისის №341/18 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც შპს „BATUMI MEDIA GROUP“-ს დაეკისრა ჯარიმა 27000 ლარის ოდენობით, სატელევიზიო არხების საავტორო

და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემის გამო. ამასთან, კომპანიას დაევალა სატელევიზიო არხების საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერი გადაცემის დაუყოვნებლივ შეწყვეტა

სტატუსი: მიმდინარე

76. მოსარჩელები: შპს „მაიფონი“, შპს „სითი ტელეკომი“, შპს „ჯტს“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 16 მაისის N345/22 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

77. მოსარჩელე: შპს „მაგთიკომი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 11 მაისის N331/18 გადაწყვეტილება
შედეგი: პირველ და მეორე ინსტანციებში სარჩელი არ დააკმაყოფილა

78. მოსარჩელე: შპს „სტერეო+“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 4 აპრილის N220/2 გადაწყვეტილების ერთ-ერთი ნაწილი MUX D ლიცენზიის მოდიფიცირებისა რუსული არხების გადაცემის შეზღუდვის თაობაზე
სტატუსი: მიმდინარე

79. მოსარჩელე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 29 მარტის N172/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა

80. მოსარჩელე: შპს „კატევე 1“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 15 მარტის N152/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა

81. მოსარჩელე: შპს „სუპერ ტვ“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის N93/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
სტატუსი: მიმდინარე

82. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 21 დეკემბრის N821/19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: პირველმა და მეორე ინსტანციებმა სარჩელი არ დააკმაყოფილა

83. მოსარჩელე: შპს „კატევე 1“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 16 აგვისტოს N486/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა

84. მოსარჩელე: ა(ა)იპ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის 4 აპრილის N198/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა

85. მოსარჩელე: შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის 11 ივლისის Nგ-19-18/407 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა

86. მოსარჩელე სს „სილქნეტი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის 30 აპრილის N266/9, 267/9 და 268/9 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა

87. მოსარჩელე: შპს „სილქნეტი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს Nგ-20-18/648 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

88. მოსარჩელე: შპს „მაგთიკომი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 16 აპრილის, Nგ-20-18/404 და 2020 წლის 19 ნოემბრის Nგ-20-18/867 გადაწყვეტილებები
სტატუსი: მიმდინარე
89. მოსარჩელე: შპს „ახალი ქსელები“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 3 დეკემბრის Nგ-20-16/893 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე
90. მოსარჩელე: შპს „მთავარი არხი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 4 თებერვლის Nგ-21-18/56 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე
91. მოსარჩელე: შპს „მთავარი არხი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 17 ივნისის Nგ-21-18/360 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე
92. მოსარჩელე: ა(ა)იპ „ზემო სვანეთის სათემო ორგანიზაცია“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 29 ოქტომბრის Nგ-20-12/822 გადაწყვეტილება
შედეგი: პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა
93. მოსარჩელე: შპს „მთავარი არხი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის Nგ-21-18/634 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე
94. მოსარჩელე: შპს „მაგთიკომი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 20 ოქტომბრის Nგ-22-20/447 გადაწყვეტილება შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე განცხადების განხილვის შესახებ
სტატუსი: მიმდინარე
95. მოსარჩელე: შპს „მაგთიკომი“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის Nგ-22-20/468 გადაწყვეტილება შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე განცხადების განხილვის შესახებ
სტატუსი: მიმდინარე
96. მოსარჩელე: შპს „ტელეკომპანია კავკასია“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 30 აპრილის №19/426 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ცვლილება შევიდა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის №144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომუნიკაციების კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის №95/19 გადაწყვეტილებაში
სტატუსი: მიმდინარე
97. მოსარჩელე: შპს „სამაუნეებლო კომპანია რუსთავი2“
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის 27 ივნისის №18/382 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც შპს „სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2“-ს დაეკისრა გაფრთხილება „მაუნეებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 69¹ მუხლის მე-2 პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტების, 45¹ მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის და 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და კომუნიკაციების კომისიის 2016 წლის 14 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების“ მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების დარღვევის გამო
სტატუსი: მიმდინარე
98. მოსარჩელე: ა(ა)იპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“
დავის საგანი: „ა(ა)იპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის შესახებ“ კომუნიკაციების კომისიის

2021 წლის 30 დეკემბრის №21-18/745 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით ა(ა)იპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის“ დაეკისრა ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით
სტატუსი: მიმდინარე

99. მოსარჩელე: შპს „მაგი მედია“

დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 30 აპრილის №19/426 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ცვლილება შევიდა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის №144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომუნიკაციების კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის №95/19 გადაწყვეტილებაში
სტატუსი: მიმდინარე

დასკარი 11

აუდიტის დასკვნა

სსიპ “საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია”

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
ინდივიდუალური შემოსავლის და გაუნაწილებელი ფონდების ანგარიშგება	2
ინდივიდუალური გაუნაწილებელი ფონდების ცვლილების ანგარიშგება	3
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	კომისია და მისი საქმიანობა	5
2	საოპერაციო გარემო	6
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ...	15
5	ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები	16
6	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
7	ძირითადი საშუალებები	22
8	არამატერიალური აქტივები	23
9	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
10	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26
11	სავაჭრო და სხვა ვალდებულება	26
12	ამონაგები რეგულირების საფასურიდან	27
13	საიჯარო ამონაგები რესურსებით გამოყენების უფლებებიდან	27
14	მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	28
15	მედიაცადემიის ხარჯები	28
16	მიღებული მომსახურება	28
17	გამოყენებული ნედლეული და მასალები	29
18	გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები	29
19	ფინანსური რისკების მართვა	30
20	გაუნაწილებელი ფონდების მართვა	31
21	სამართლიანი ღირებულების შეფასება	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კომისიის საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომისიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ინდივიდუალურ შემოსავლის და გაუნაწილებელი ფონდების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- ინდივიდუალურ გაუნაწილებელი ფონდების ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომისიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომისიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომისიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომისიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომისიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომისია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)




ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)


2023 წლის 28 აპრილი
თბილისი, საქართველო

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
	ძირითადი საშუალებები	7	6,095	6,384
	არამატერიალური აქტივები	8	191	294
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,286	6,678	6,690
მოკლევადიანი აქტივები				
	მარაგები		4	10
	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,074	912
	სხვა საგადასახადო მოთხოვნა		6	3
	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	7,207	4,331
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,291	5,252	4,514
სულ აქტივები		14,577	11,930	11,204
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
	სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	801	456
	მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	13	1,465	1,541
	სხვა გადასახადების ვალდებულება		-	72
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,266	1,997	1,938
სულ ვალდებულებები		2,266	1,997	1,938
სულ წმინდა აქტივები		12,311	9,933	9,266
გაუნაწილებელი ფონდები				
გაუნაწილებელი ფონდები		12,311	9,933	9,266
სულ გაუნაწილებელი ფონდები		12,311	9,933	9,266

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 28 აპრილს:


კატი ბერიკაშვილი
კომისიის თავმჯდომარე


ნათია დევდარიანი
საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსი

*სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური შემოსავლის და გაუნაწილებელი ფონდების ანგარიშგება*

<i>ათასი ლარი</i>	<i>შენიშვნა</i>	2022	2021
ამონაგები რეგულირების საფასურიდან	12	10,953	9,362
საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებებიდან	13	3,349	3,235
მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	14	(7,770)	(7,710)
მედიაკადემიის ხარჯი	15	(1,927)	(1,664)
მიღებული მომსახურება	16	(1,719)	(1,836)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(673)	(855)
გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ხარჯი	17	(167)	(143)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(304)	(121)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		58	16
ფინანსური შემოსავალი		578	383
წლის გაუნაწილებელი ფონდები		2,378	667

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური გაუნაწილებელი ფონდების ცვლილების ანგარიშგება

ათასი ლარი	გაუნაწილებელი ფონდები	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,266	9,266
2021 წლის გაუნაწილებელი ფონდები	667	667
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	9,933	9,933
2022 წლის გაუნაწილებელი ფონდები	2,378	2,378
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	12,311	12,311

*სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება*

<i>ათასი ლარი</i>	<i>შენიშვნა</i>	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული		14,597	12,452
მომწოდებლისთვის გადახდილი		(3,600)	(3,703)
მედიააკადემიის დაფინანსებისთვის გადახდილი		(1,964)	(1,631)
თანამშრომლებისთვის გადახდილი		(6,168)	(6,137)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები		2,865	981
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(509)	(686)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		578	383
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		69	(303)
უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(58)	(35)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	4,331	3,688
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	10	7,207	4,331

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე 5 დან 33-ე გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 კომისია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“-სთვის (შემდგომში „კომისია“).

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ დაფუძნდა 2000 წლის 1 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). კომისიის შექმნის წინაპირობა არის პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივლისს მიღებული კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“. აღნიშნული კანონი 2005 წელს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით შეიცვალა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით მკაფიოდ გამიჯნულია მთავრობის, როგორც დარგში პოლიტიკის შემმუშავებელი (რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი) ორგანოს და კომისიის, როგორც მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომისია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა.

2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომისიას არ გააჩნდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ძირითადი საქმიანობა. კომისიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაუწყებლობის სფეროს და ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება, ასევე მედიაწიგნიერების განვითარება და ხელშეწყობა. კომისიის შემოსავლის წყარო ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური, ასევე რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახადებია.

კომისიის ძირითად მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორებიც არის:

- კომუნიკაციების სფეროში თანასწორუფლებიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- სატელეკომუნიკაციო ბაზრის გამართული და სტაბილური ფუნქციონირებისთვის ავტორიზებულ და ლიცენზიის მფლობელ პირებს შორის წარმოქმნილი დავებისა და ასევე დარგის მოთამაშეებსა და მომხმარებელს შორის წარმოქმნილი დავების განხილვა;
- სიხშირული სპექტრისა და ნუმერაციის რესურსის ეფექტიანი გადანაწილება;
- რადიოსიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის საშუალებების სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია, მეტროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა;
- მედიაწიგნიერების განვითარება და ხელშეწყობა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ურთიერთჩართვის ტექნიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური საკითხების დარეგულირება, რომლის ძირითადი მიზანი მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ნებისმიერი ოპერატორის მომსახურების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.

კომუნიკაციების კომისია არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას და არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მედიაწიგნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნების მისაღწევად, 2018 წელს კომისიამ დააფუძნა ახალი იურიდიული ერთეული, ააიპ "მედიააკადემია", რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარებას.

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომისიის იურიდიული მისამართია ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქ. #50/18, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 საოპერაციო გარემო

კომისიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და იძლევა განსხვავებული ინტერპრეტირების შესაძლებლობას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

კოვიდ-19. 2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19 პანდემიად ოფიციალურად გამოაცხადა. პანდემიის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები პანდემიის გავლენის შესამცირებლად და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები, მათ შორის საქმიანობის შეწყვეტა. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებობს რისკი, რომ ხელისუფლებამ დააწესოს დამატებით შეზღუდვები 2023 წელს, ვირუსის ახალი ვარიანტების გამოჩენის საპასუხოდ.

2022 წელს საქართველოს ეკონომიკამ პანდემიიდან აღდგენის პოზიტიური დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე ხელი შეუწყო გლობალური ეკონომიკის აღორძინებამ და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდამ. კომისიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომისიის ოპერაციებზე პანდემიის ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გამძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. საერთაშორისო ასპარეზზე ეს განიხილება, როგორც საომარი აგრესია, ხოლო შეჭრა წარმოადგენს ყველაზე ფართომასშტაბიან სამხედრო თავდასხმას ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ ომმა ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა მიატოვა სახლები. უკრაინაში ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ დაუწესა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთს. უამრავმა კომპანიამ შეწყვიტა თავისი ბიზნესი რუსეთსა და ბელარუსში. მოვლენები ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

კომისიას პირდაპირი კავშირი არ აქვს უკრაინასთან, რუსეთთან და ბელორუსთან. ზოგადად მოსალოდნელია, რომ ომს ექნება ყოვლისმომცველი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზეც. შექმნილი ვითარების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ 2022 წელს ზრდის დადებითი დინამიკა აჩვენა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად კომისიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა შეინარჩუნოს კომისიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომისიის პირველ წლიურ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შესაბამისობაშია ფასს სტანდარტებთან („ფასს“).

ფასს-ების პირველად მიღება. კომისიისთვის ფასს-ზე გადასვლის თარიღი 2021 წლის 1 იანვარია, ამ თარიღამდე კომისიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ით. ფასს-ზე გადასვლამდე კომისია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომელიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

კომისიამ ფასს, ფასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მიიღო. გარკვეული გამოწვევების გათვალისწინებით ფასს 1 მოითხოვს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტიულ გამოყენებას, რომელიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასს-ის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებების მომზადებისას 2021 წლის 1 იანვარს და ფასს-ის პირველ საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ყველა პერიოდის განმავლობაში.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ინფორმაცია მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით. კომისიის წინა წლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის სახით 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის და ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული აღიარების და შეფასების პრინციპები შეესაბამება ფასს-ს. ამრიგად, წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი იმის შეჯერება და განმარტება, თუ როგორ აისახა წინა სააღრიცხვო ჩარჩოდან კომისიის ფასს-ზე გადასვლა მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ წარმადობასა და ფულადი სახსრების ნაკადებზე.

აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ, რომელიც თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-თან შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს რიგ მნიშვნელოვან სააღრიცხვო დაშვებებს. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან ლოგიკურ მსჯელობებს კომისიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის მსჯელობას, ან რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ინფორმაციაზე მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია კომისიის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების შეფასების მიზნებისთვის და შედეგად არ მოიცავს მისი შვილობილი კომპანიის - ააიპ „მედიაკადემიის“ კონსოლიდაციას. კომისიას მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომისიის ფუნქციონალური ვალუტა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. კომისიის ფუნქციონალური ვალუტა და კომისიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“ლარი”).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, კონვერტირებულია ქართულ ლარში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის ტრანზაქციები აღრიცხულია იმ დღის ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით, მოგება და ზარალი, რომელიც ამ ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივების და ვალდებულებების დაანგარიშების შედეგად დადგება, წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების“ ნაწილში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წლის ბოლოს გაცვლითი კურსის კონვერტაცია არ ესადაგება არამონეტარულ საგნებს, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულებით, არამონეტარული საგნები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაშია გაზომილი, კონვერტირებულია იმ კურსის გამოყენებით, რომელიც დაფიქსირდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს. სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული არამონეტარული საგნების უცხოური ვალუტა დაფიქსირდება, როგორც მოგება ზარალის სამართლიანი ღირებულების ნაწილი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: აშშ დოლარი 1=2.702 ქართულ ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1=3.0976 ლარს). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარცხებით. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმთავრებელ აქტივებს მომავალში ძირითადი საშუალებების სახით გამოყენების მიზნით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევისთანავე აისახება ხარჯებში.

ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, როცა საჭიროა, იმ შემთხვევაში, თუ მოხდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებები.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად, მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

შენობა-ნაგებობები	7-დან 60-მდე
სიხშირული სპექტრის და სხვა სპეციალური აღჭურვილობა	7-დან 26-მდე
ავტომობილები	6-დან 19-მდე
კომპიუტერული ტექნიკა	6-დან 23-მდე
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	7-დან 30-მდე

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომისია ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოხდებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულება. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, პატენტებით, სავაჭრო ნიშნებით და ლიცენზიებით.

შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, პატენტები და სავაჭრო ნიშნები კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზია

6-დან 21-მდე

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ და მზადაა გამოსაყენებლად, არ ერიცხება ამორტიზაცია და ყოველწლიურად ხდება მათი გაუფასურებაზე ტესტირება. აქტივების, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებას განიხილავენ, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც, ძირითადად, დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება, შესაძლო ანულისების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პრინციპები. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კვოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კვოტირებულ ფასზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასების ისეთი ხერხები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები, ან ინვესტიციის მიმდების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსი).

ტრანზაქციის დანახარჯები ზრდადი დანახარჯებია, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შექმნას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივები, შემცირებული ანარიცხებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (*"ECL"*).

დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების (*"POCI"*) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, კორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომისია ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით (FVTPL, FVOCI და AC).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომისია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომისიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი”), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი”) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

კომისიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომისიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომისიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომისია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას, კომისია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომისია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომისია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომისია იყენებს ფას 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, რომელიც იყენებს მუდმივი მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება გადანაწილებული რისკის მახასიათებლების მიხედვით (დებიტორული დავალიანებები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, საგირავნო უზრუნველყოფის და სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით). მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდების პროფილებს ან ბოლო 360 თვის გაყიდვებს და ამ პერიოდისთვის გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები მორგებულია იმაზე, რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის უნარზე, დაარეგულირონ დებიტორული დავალიანებები.

რადგანაც დებიტორული დავალიანებები ძირითადად ადგილობრივი მომხმარებლებისგანაა, კომისიამ ანალიზი გაუკეთა საქართველოს მაკროეკონომიკურ სცენარებს და შესაბამის წილობრივ წონებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კომისიის მოვალეების ისტორიული ქცევაზე დაყრდნობით, კომისიამ დაადგინა, რომ მშპ და სავალუტო გაცვლითი კურსები ყველაზე რელევანტური ფაქტორია, რომელსაც გავლენა აქვს დებიტორული დავალიანებების აღდგენილობაზე და შესაბამისად მორგებულია ისტორიული ზარალის განაკვეთზე, რაც ეფუძნება მოსალოდნელ ცვლილებებს ამ ფაქტორში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომისია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომისიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომისია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომისია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომისიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) რადგან მათ ფლობენ სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. მაშინ, როდესაც კომისია მეიჯარეა და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არ გადაიცემა მოიჯარეს (ე.ი. საოპერაციო იჯარა) საოპერაციო იჯარიდან მიღებული იჯარის გადახდები აღიარდება, როგორც სხვა შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე. მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღიდან მეიჯარის მიერ იჯარის მოდიფიკაციის აღრიცხვა ახალ იჯარად, იმ წინასწარგადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების გათვალისწინებით, რომლებიც კავშირშია თავდაპირველ იჯარასთან, როგორც ახალი საიჯარო შეთანხმების საიჯარო გადახდების ნაწილი.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხვებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომისიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომისიაში შემოვა.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

გაუნაწილებელი ფონდები. კომისიის ფონდები შედგება მხოლოდ გაუნაწილებელი ფონდებისგან, რაც თავის მხრივ იზრდება ან მცირდება წლის გაუნაწილებელი ფონდების შედეგის შესაბამისად. დამატებით გაუნაწილებელი ფონდების მართვასთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 20.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხვები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხვები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომისიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხვების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხვების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით. გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება ისეთი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი ასეთი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები მოიცავს ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციურ შემოღინებას, რომელიც ზრდის კომისიის წმინდა აქტივებს. კომისიის ამონაგები შედგება ამონაგები რეგულირების საფასურიდან და საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებიდან.

ამონაგები რეგულირების საფასურიდან. ამონაგები რეგულირების საფასურიდან წაროდგენს ელექტრონული კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სფეროს ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილ რეგულირების საფასურს. ამონაგები აღიარდება ყოველთვიურად, წინასწარ დადგენილი ანაზღაურების საფუძველზე.

ტრანზაქციის ფასი წარმოადგენს იმ ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომისია მოელის ხოლო მიღებული თანხები წარმოადგენს მომავალი პოტენციური ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების შემოღინებას არაგაცვლითი ოპერაციებიდან, რომელიც აღიარდება

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასდათმობების გარეშე და დადგენილია საქართველოს კანონის საფუძველზე ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროს ავტორიზებული პირებისათვის, საოპერაციო შემოსავლის 0.75% და 0.5%-ის შესაბამისად.

საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებებიდან. საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებებიდან წარმოადგენს რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობისათვის გადახდილ საიჯარო გადახდებს.

მაშინ, როდესაც კომისია მეიჯარეა და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არ გადაიცემა მოიჯარეს (ე.ი. საოპერაციო იჯარა) საოპერაციო იჯარიდან მიღებული იჯარის გადახდები აღიარდება, როგორც სხვა შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე. მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღიდან მეიჯარის მიერ იჯარის მოდიფიკაციის აღრიცხვა ახალ იჯარად, იმ წინასწარგადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების გათვალისწინებით, რომლებიც კავშირშია თავდაპირველ იჯარასთან, როგორც ახალი საიჯარო შეთანხმების საიჯარო გადახდების ნაწილი.

ტრანზაქციის ფასი წარმოადგენს იმ ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომისია მოელის დაპირებულ რესურსების გამოყენების უფლების გადაცემაზე. ხოლო მიღებული თანხები წარმოადგენს კონკრეტული რაოდენობის და ტიპის რესურსის უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას.

საპროცენტო განაკვეთის შემოსავალი. საპროცენტო განაკვეთის შემოსავალი აღრიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი გადახდილი იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომისიის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომისიის ხელმძღვანელობის ან უფლებამოსილი პირების მიერ ფინანსური ინფორმაციის გამოსაცემად დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომისია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და დაშვებების მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე დაშვებებს, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. დაშვებები, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა მნიშვნელოვანი შეფასებაა, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის, მოდელების და მონაცემების შენატანების განსაზღვრებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვის მეთოდოლოგიის დეტალები გამოვლენილია შენიშვნა 19-ში. დეფოლტის რეიტინგებს დიდი გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის ანარიცხებზე, ისევე, როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელებზე.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

კომისია რეგულარულად განიხილავს და ამტკიცებს მოდელებს და მოდელებში შენატანებს, რათა შეამციროს განსხვავება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და ფაქტობრივი საკრედიტო ზარალის გამოცდილებას შორის. კომისიამ გამოიყენა პერსპექტიული ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, უპირველესად მისი კუთვნილი მაკროეკონომიკური პროგნოზის მოდელის შედეგები. ყველაზე მნიშვნელოვანი წინდახედული ვარაუდები რომლებიც ურთიერთკავშირშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის დონესა და შეწონილობასთან არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომისია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით.

განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების პირობები აღწერილია შენიშვნაში 6-ში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადები. საკუთრების საგნების და ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადების დადგენა მსგავსი აქტივების შეფასებაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. ძირითადი საშუალებების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მოიხმარება მათი გამოყენებისას. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორებიცაა ტექნოლოგიური დამველება და ცვთა, ხშირად იწვევს აქტივებისგან მისაღები სარგებელის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ გამოყენებად ნივთებს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით დადგენილ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც აქტივებისგან ელიან კომისიისთვის სარგებლის მოტანას. შემდეგი ფაქტორები არის უპირველესად გათვალისწინებული: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ცვთა, რომელიც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე და საექსპლუატაციო პროგრამაზე; და (გ) ტექნოლოგიური დამველება, რომლებსაც საბაზრო პირობებში ცვლილებები იწვევს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების 10%-იანი ცვლილება ხელმძღვანელობის შეფასებისგან 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გამოიწვევს ცვთის შემცირებას ან გაზრდას 63 ათასი ლარით (2021: 71 ათასი ლარი).

5 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემულ იქნა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომისიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომისია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე აღნიშნული შესწორებების გავლენის შეფასებას.

5 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომისია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე აღნიშნული შესწორებების გავლენის შეფასებას.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის რვა სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სთვის:

- **ძალაში შესვლის თარიღი:** ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- **დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:** საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- **სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:** დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

5 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

- **ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:** როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან ჯგუფისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფის მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- **სხვა შესწორებები:** სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ნაცვლად. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომისია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე აღნიშნული შესწორებების გავლენის შეფასებას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომისია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე აღნიშნული შესწორებების გავლენის შეფასებას.

5 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან - შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვეველობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომისია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე აღნიშნული შესწორებების გავლენის შეფასებას.

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარება შეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალ-ცალკე;

5 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ საწარმოს არ მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. კომისია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფასს 16-ში, იჯარა: საიჯარო ვალდებულების გაყიდვა და უკულიზინგი (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგი წლიური პერიოდებისთვის).

შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს შემოსავლების აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს მეიჯარემ შემდგომში შეაფასოს ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე მოგება ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს მოგების აღიარების გადავადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულება აქვს განახორციელოს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ინდექსზე ან განაკვეთზე. კომისია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები

კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე ანგარიშგების თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომისია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომისიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2022 წლის 31 დეკემბერს, 2021 წლის 31 დეკემბერსა და 2021 წლის 1 იანვარს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

<i>ათასი ლარი</i>	<i>მოთხოვნები/ (ვალდებულებები) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>მოთხოვნები/ (ვალდებულებები) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>მოთხოვნები/ (ვალდებულებები) 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</i>
ააიპ მედიააკადემია	8	(29)	3

2022 და 2021 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები:

<i>ათასი ლარი</i>	<i>მედიააკადემიის ხარჯები 2022 წელს</i>	<i>მედიააკადემიის ხარჯები 2021 წელს</i>
ააიპ მედიააკადემია	1,927	1,664

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ხელმძღვანელ პირებს წარმოადგენს კომისიის წევრები და კომისიის თავჯდომარე. სულ, ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია, რომელიც აღრიცხულია სახელფასო ხარჯებში 2022 წლის განმავლობაში შეადგენს 1,229 ათას ლარს (2021: 1,046 ლარი). ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ძირითადად მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და პრემიას.

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

7 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა - ნაგებობები	სიხშირული სპექტრის და სხვა სპეციალური აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვი- ლობა	კომპიუტერუ- ლი ტექნიკა	ავტომობილ- ები	სხვა აღჭუ- რვილობა	სულ
<i>ათასი ლარი</i>								
თვითღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	8	3,296	4,691	507	783	655	140	10,080
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 1 იანვარს	-	(783)	(1,746)	(280)	(475)	(400)	(84)	(3,768)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	8	2,513	2,945	227	308	255	56	6,312
დამატებები	-	31	2	120	491	131	7	782
ცვეთის ხარჯი	-	(52)	(437)	(41)	(112)	(59)	(9)	(710)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	8	2,492	2,510	306	687	327	54	6,384
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	8	3,327	4,693	627	1,274	786	147	10,862
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბერს	-	(835)	(2,183)	(321)	(587)	(459)	(93)	(4,478)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	8	2,492	2,510	306	687	327	54	6,384
დამატებები	-	-	24	18	321	5	6	374
ცვეთის ხარჯი	-	(75)	(308)	(44)	(137)	(58)	(10)	(632)
გასვლები	-	-	(4)	(6)	(13)	(5)	(3)	(31)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	8	2,417	2,222	274	858	269	47	6,095
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	8	3,327	4,541	594	1,439	788	143	10,840
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(910)	(2,319)	(320)	(581)	(519)	(96)	(4,745)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	8	2,417	2,222	274	858	269	47	6,095

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

8 არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	ლიცენზიები	პროგრამები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	-	1,705	2	1,707
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 1 იანვარს	-	(1,328)	(1)	(1,329)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	-	377	1	378
დამატებები	26	35	-	61
ცვეთის ხარჯი	(4)	(141)	-	(145)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	22	271	1	294
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	26	1,740	2	1,768
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბერს	(4)	(1,469)	(1)	(1,474)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	22	271	1	294
დამატებები	-	6	-	6
ცვეთის ხარჯი	(4)	(36)	(1)	(41)
გასვლები	-	(68)	-	(68)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	18	173	-	191
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	26	589	2	617
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	(8)	(416)	(2)	(426)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	18	173	-	191

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	1,068	917	822
სხვა ფინანსური მოთხოვნები	2	8	5
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(35)	(34)	(29)
სულ ფინანსური აქტივები* სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,035	891	798
გადახდილი ავანსები	39	21	18
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,074	912	816

კომისია იყენებს ფასს 9-ში არსებულ გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც იყენებს სრულ სასიცოცხლო ვადაზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს, ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდა საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილების მიხედვით.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განსაზღვრულია ანარიცხის მატრიცის მიხედვით რომელიც წარდგენილია ქვემოთ. ანარიცხის მატრიცა ეყრდნობა აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას და კორექტირებულია პერსპექტიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2022 წელი				31 დეკემბერი 2021 წელი				1 იანვარი 2021 წელი			
	სულ	მოსალოდნელი	ნეტო		სულ	მოსალოდნელი	ნეტო		სულ	მოსალოდნელი	ნეტო	
	საკრედიტო	საბალანსო	საკრედიტო	საბალანსო	საკრედიტო	საბალანსო	საკრედიტო	საბალანსო	საკრედიტო	საბალანსო	საკრედიტო	საბალანსო
<i>ათასი ლარი</i>	განაკვეთი	დირებულეზა	სასიცოცხლო პერიოდზე	დირებულეზა	განაკვეთი	დირებულეზა	სასიცოცხლო პერიოდზე	დირებულეზა	განაკვეთი	დირებულეზა	სასიცოცხლო პერიოდზე	დირებულეზა
სავაჭრო მოთხოვნები												
- მიმდინარე	0%	1,033	-	1,033	0%	883	-	883	0%	793	-	793
- 360 დღეზე მეტი	100%	35	(35)	-	100%	34	(34)	-	100%	29	(29)	-
სხვა მოთხოვნები												
- მიმდინარე	0%	2	-	2	0%	8	-	8	0%	5	-	5
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,070	(35)	1,035		925	(34)	891		827	(29)	798

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები სალაროში	1	1	1
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	7,206	4,330	3,687
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,207	4,331	3,688

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საკრედიტო რისკის ხარისხი 2022 წლის 31 დეკემბერის, 2021 წლის 31 დეკემბერისა და 1 იანვრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
მიმდინარე ანგარიშები "BB-"-დან "BB+"-მდე რეიტინგის მქონე ბანკებში	7,202	4,324	3,681
მიმდინარე ანგარიშები "B-"-დან "B+"-მდე რეიტინგის მქონე ბანკებში	5	6	6
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,207	4,330	3,687

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულება	74	235	119
სხვა ფინანსური ვალდებულება	90	78	20
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში	164	313	139
მიღებული ავანსები	637	143	130
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	801	456	269

იხილეთ შენიშვნა 21 ფინანსური ვალდებულების ყველა კლასისთვის სამართლიანი ღირებულების შესახებ.

12 ამონაგები რეგულირების საფასურიდან

<i>ათასი ლარი</i>	2022	2021
ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება	10,521	8,884
მაუწყებლობის რეგულირება	432	478
სულ ამონაგები რეგულირების საფასურიდან	10,953	9,362

2022 წლის განმავლობაში კომისიამ შემოსავლების 73% მიიღო ორი ოპერატორისგან - შპს მაგთიკომი და სს სილქნეტი (2021 წლის განმავლობაში კომისიამ ამავე ორი ოპერატორისგან მიიღო შემოსავლების 71%).

13 საიჯარო ამონაგები რესურსებით გამოყენების უფლებებიდან

<i>ათასი ლარი</i>	2022	2021
ამონაგები გაცემული ნუმერაციის რესურსის უფლებებიდან	2,454	2,300
ამონაგები გაცემული რადიოსიხშირული რესურსის უფლებებიდან	895	935
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	3,349	3,235

კომისიის მომხმარებლებისგან წინასწარ მიღებული ავანსები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, მოიცავს წინასწარ გადახდილ საიჯარო ავანსებს შემდეგნაირად:

<i>ათასი ლარი</i>	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობა	220	325	462
ნუმერაციის რესურსით სარგებლობა	1,245	1,216	1,135
სულ მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	1,465	1,541	1,597

14 მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი

ათასი ლარი	2022	2021
ხელფასები და კომპენსაციები	6,322	6,414
პრემია	1,448	1,296
სულ მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	7,770	7,710

მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯებში შესულია მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები, რომელმაც 2022 წლის განმავლობაში შეადგინა შეადგენს 226 ათასი ლარი (2021 წლის განმავლობაში - 252 ათასი ლარი) და ასევე მედიაწიგნიერების ხარჯები (აიპ მედიააკადემიის გარეშე), რომელიც 2022 წლის განმავლობაში 300 ათასი ლარია (2021: 293).

15 მედიააკადემიის ხარჯები

ათასი ლარი	2022	2021
მედიააკადემია	1,927	1,664
სულ მედია წიგნიერების ხარჯი	1,927	1,664

მედიააკადემიის ხარჯები მოიცავს გაწეულ ხარჯებს, რომელიც დაფინანსებულია კომისიის მიერ.

16 მიღებული მომსახურება

ათასი ლარი	2022	2021
ელექტრონული ონლაინ მომსახურება	437	379
მივლინების ხარჯები	282	36
საკონსულტაციო მომსახურება	267	646
სოციალური მედიის ხარჯი	187	231
დაცვის მომსახურება	146	146
კომუნალური ხარჯი	109	96
დასუფთავების ხარჯი	100	101
ტელეკომუნიკაცია	35	37
საწევრო ხარჯები	25	48
სხვა ხარჯი	131	116
სულ მიღებული მომსახურება	1,719	1,836

მიღებული მომსახურების ხარჯებში შესულია მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები, რომლებმაც 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 26 ათასი ლარი (2021: 21 ათასი ლარი). მედიაწიგნიერების ხარჯებმა (აიპ მედიააკადემიის გარეშე) 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 156 ათასი ლარი (2021: 45 ათასი ლარი).

17 გამოყენებული ნედლეული და მასალები

ათასი ლარი	2022	2021
საწვავი	84	59
სარემონტო მასალები	79	77
სხვა ხარჯი	4	7
სულ გამოყენებული ნედლეული და მასალები	167	143

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები

სასამართლო დავები. ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ზოგჯერ შეიძლება წარმოიქმნას სარჩელი კომისიის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების საფუძველზე, მიაჩნია, რომ რაიმე არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება ამ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელიც გადააჭარბებს იმ ანარიცხებს, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

საგადასახადო წელი საგადასახადო უფლებამოსილი ორგანოების მიერ განხილვისთვის ღია რჩება მომდევნო 3 კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა განსაზღვრული გარემოებების გათვალისწინებით საგადასახადო წელი შეიძლება ღია დარჩეს უფრო დიდხანს. ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სხვა ქვეყნებში.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომისია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატის ცვლილების განხილვა. კომისიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ გლობალურ ტენდენციებს. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომისიის საქმიანობასა და მომავალ გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. მენეჯმენტი აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს კომისიის სრულუფლებიანი ოპერირების უზრუნველსაყოფად. ასევე მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ ეს ინსტრუქციები გავრცელდება იმ სექტორზე, რომლებშიც კომისია ოპერირებს.

19 ფინანსური რისკების მართვა

კომისიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომისიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი, 2022 წლის 31 დეკემბრისა და შესაძარისი პერიოდების მდგომარეობით.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომისიის სამეურნეო საქმიანობის ერთი-ერთი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას.

ლიმიტები. კომისია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის ერთ პარტნიორთან, ან პარტნიორების ჯგუფთან, გეოგრაფიულ და ინდუსტრიის სეგმენტთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. კომისიის მომხმარებლებზე დაფუძნებულ დემოგრაფიას, რომელიც მოიცავს იმ ინდუსტრიის, რომელშიც კომისია მოღვაწეობს დეფოლტის რისკს, საკრედიტო რისკზე ნაკლები გავლენა აქვს. თუმცა, გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში. ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა საკრედიტო პოლიტიკა, რისი მიხედვითაც ყველა ახალი მომხმარებელი განიხილება ინდივიდუალურად კრედიტუნარიანობაზე მანამ, სანამ მათ, კომისიის სტანდარტულ გადახდებისა და მიწოდების პირობებს არ შესთავაზებენ. კომისიის განხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, როცა ისინი ხელმისაწვდომია, და გარკვეულ შემთხვევებში საბანკო რეკვიზიტებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომისია გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომისიისგან და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას.

კომისიის მოვალეების ისტორიულ ქცევაზე დაყრდნობით, კომისიამ გამოავლინა, რომ მშპ და ვალუტის გაცვლითი კურსები ყველაზე რელევანტური ფაქტორებია, რაც მოქმედებს დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე და შესაბამისად, მორგებულია ფაქტორებში მოსალოდნელ ცვლილებებზე დაფუძნებულ ისტორიული ზარალის განაკვეთზე.

კომისია რეგულარულად განიხილავს მეთოდოლოგიასა და ვარაუდებს ფაქტობრივ საკრედიტო ზარალსა და შეფასებებს შორის სხვაობის შესამცირებლად.

19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომისიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასის მიხედვით შემდეგია:

<i>ათასი ლარი</i>	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
<i>სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები (შენიშვნა 9)</i>			
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,074	912	816
<i>ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 10)</i>			
- მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	7,207	4,331	3,688
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკები 31 დეკემბრისთვის	8,281	5,243	4,504

საბაზრო რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით.

სავალუტო რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი ლიკვიდურობის რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით.

20 გაუნაწილებელი ფონდების მართვა

კომისიას არ აქვს გაუნაწილებელი ფონდების მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს გაუნაწილებელი ფონდები რათა დააკმაყოფილოს კომისიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებები. ეს მიიღწევა ეფექტური ფულის მართვით, ძირითადად კომისიის ფულადი სახსრების ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი გეგმებით. წლის განმავლობაში არ მომხდარა რაიმე ცვლილება კომისიის გაუნაწილებელი ფონდების მართვის მიდგომებში.

21 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომელიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით მაგრამ, რომლისთვისაც, სამართლიანი ღირებულება გამოვლენილია. სამართლიანი ღირებულების იერარქია და საბალანსო ღირებულება, რომელთა მიხედვით ხდება სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, შემდეგია:

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

21 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი				2021 წლის 31 დეკემბერი				2020 წლის 1 იანვარი			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
აქტივები												
სხვა ფინანსური აქტივები AC-ით												
- ფული და ფული ეკვივალენტები	7,207	-	-	7,207	4,331	-	-	4,331	3,688	-	-	3,688
- სავაჭრო მოთხოვნები		1,035	-	1,035	-	891	-	891	-	798	-	798
სულ აქტივები	7,207	1,035	-	8,242	4,331	891	-	5,222	3,688	798	-	4,486
ვალდებულებები												
სხვა ფინანსური ვალდებულებები												
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	801	-	801	-	456	-	456	-	269	-	269
სულ ვალდებულებები	-	801	-	801	-	456	-	456	-	269	-	269

სამართლიანი ღირებულებები სამართლიანი ღირებულებების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებზე დადგინდა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების ღირებულების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ არის კოტირებული.

აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრა განსაზღვრული ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

21 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების დადგენილი სამართლიანი ღირებულება ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ვალდებულებები. დადგენილი დაფარვის ვადებით დადგენილი სამართლიანი ღირებულების ინსტრუმენტების ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

